საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 61 (1077) | შაბათი, 3 ივნისი, 1995 წელი. | ფასი 200 000 კუპონი.

გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრის ჯონ მეიჯორის წერილი

მის აღმატებულებას, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს, სახელმწიფოს მეთაურს.



10 DOWNING STREET
LONDON SW1A 2AA

THE PRIME MINISTER

2 May 1995

Thank you for your letter of 20 March and for your kind words. I too greatly enjoyed your visit and was particularly glad to be able to tell you of our plan to open an Embassy in Georgia. Our Ambassador will be arriving in Tbilisi later this year.

ძვირფასო ედუარდ,

ულრმეს მადლობას მოგახსენებთ 20 მარტის წერილისა და თქვენი კეთილი სიტყვებისათვის. მე ასევე ძალზე ნასიამოვნები დავრჩი თქვენი ვიზიტით და განსაკუთრებით მოხარული ვარ, გაცნობოთ ჩვენი გეგმების შესახებ საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩოს გახსნის თაობაზე. ჩვენი ელჩი ჩამოვა თბილისში წლეულს მოგვიანებით.

მე მივესალმები თქვენი მთავრობის მიერ დაწყებულ ეკონომიკურ რეფორმებს, ჩვენ გავაკეთეთ, რაც შესაძლებელი იყო თქვენი დახმარებისათვის — როგორც უშუალოდ, ასევე ევროკავშირის მეშვეობით. მოხარული ვარ, რომ თქვენ გასული წლის ბოლოს დაიწყეთ 1995/96 წლების პროგრამის განხილვა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად. ამის თაობაზე მიღებული შეთანხმება ხელმისაწვდომს გახდის საერთაშორისო სავალუტო ფონდის შემდგომი კრედიტების მიღებას „სტენდ ბაის" ხელშეკრულების საფუძველზე. მე მესმის, რომ მსოფლიო ბანკი, გარკვეული პირობების გათვალისწინებით, ასევე გეგმავს თავისი პროგრამის განხორციელებას. ეს ძალზე მისასალმებელია.

თქვენ თხოვნით მოგვმართეთ ევროკავშირის იმ ვალის რესტრუქტურიზაციის შესახებ, რომელიც მართებს საქართველოს. ევროკავშირი ვერ გადაავადებს სესხებს. მაგრამ, მჯერა, რომ ევროკომისია მზად არის იპოვოს თქვენთვის დახმარების სხვა გზები, რათა თქვენ დაფაროთ გადასახადების ბალანსის დეფიციტი. რაც დაგეხმარებათ საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან „სტენდ ბაის" მიღებაში. ცხადია, ამის აუცილებელი პირობაა ის, რომ საქართველომ სრულად დააკმაყოფილოს ევროკავშირის მოთხოვნები.

გაერთიანებულმა სამეფომ საქართველოს რესპუბლიკას საგანგებო დახმარების აღმოსაჩენად 1993 წლიდან მოყოლებული გამოუყო 5 მილიონი გირვანქა სტერლინგი; ჩვენ, ასევე, მნიშვნელოვანი წვლილი მიგვიძღვის მსოფლიო სასურსათო პროგრამის მიერ თქვენთვის აღმოჩენილ საგანგებო დახმარებაში. ახლახან, გაეროს მოწოდების საპასუხოდ, ჩვენ 8 მილიონი აშშ-ს დოლარი გამოვყავით ამიერკავკასიის სახელმწიფოებისათვის. საბოლოო ჯამში, ამ რეგიონისთვის ჩვენი და გაეროს დახმარებამ 1992 წლის დეკემბრიდან შეადგინა 14 მლნ. გირვანქა სტერლინგი. 1993 წლიდან მოყოლებული ჩვენ, ასევე, გამოვყავით 10 მლნ. გირვანქა სტერლინგი, რომელმაც შეადგინა ევროკავშირის მიერ გაწეული საერთო დახმარების წილი. ჩვენ კვლავაც მივადევნებთ თვალყურს ამიერკავკასიაში მიმდინარე პროცესებს, რათა დახმარება აღმოვუჩინოთ სახელმწიფოებს, რომლებიც მას საჭიროებენ.

მარად თქვენი

ჯონი.

Yours Ever,
John

OVERSEAS PRIVATE INVESTMENT CORPORATION
WASHINGTON, D.C. 20527-0001, U.S.A.

OFFICE OF THE PRESIDENT

საზღვარგარეთ კერძო ინვესტიციების კორპორაცია

პრეზიდენტის ოფისი

ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო,

როდესაც ამა წლის თებერვალში ვიზიტად ვეწვიეთ თბილისს, მე შეგპირდით თქვენ, რომ გავაკეთებ მეტს, რათა ხელი შევუწყო აშშ-ს ინვესტიციებს საქართველოში.

დიდი სიამოვნებით გაცნობებთ, რომ წინა ვიზიტმა ნაწილობრივ გამოიღო ის შედეგი, რომ საზღვარგარეთ კერძო ინვესტიციების კორპორაციას (სკიკ) განზრახული აქვს უზრუნველყოს საქართველოსთვის განკუთვნილი ორი პროგრამის მხარდაჭერა აბსოლუტ ბანკისათვის და ჯორჯიან კომუნიკეიშნს კომპანიისათვის.

როგორც იცით, აბსოლუტ ბანკის პროექტი მეტად საჭირო კაპიტალს მისცემს საქართველოს ეკონომიკას. ჯორჯიან კომუნიკეიშნს კომპანი, ერთობლივი საწარმო, ინტერნეიშნლ ტელხელისა და კავშირგაბმულობის სამინისტროსთან ერთად, უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ტელეკომუნიკაციო მომსახურებას მთლიანად საქართველოსათვის.

დიდად ნასიამოვნები ვიქნები, თუ თქვენ შეძლებთ დაესწროთ ხელმოწერის ცერემონიას, რომელიც დაგეგმილია 19 ივნისს, ვაშინგტონში სკიკ-ის ოფისში. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი დღის წესრიგი არ მოგცემთ დასწრების საშუალებას, ჩვენ გავუწევთ გულითად მასპინძლობას თქვენს მიერ დანიშნულ წარმომადგენელს.

ჩვენ ველოდებით ერთობლივი მუშაობის გაგრძელებას მრავალ პროექტზე, რომლებიც დიდ სარგებელს მისცემენ ჩვენს ერებს.

გულითადად,

რუთ რ. ხარკინი,

პრეზიდენტი და მთავარი აღმასრულებელი პირი.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს, ბატონ ოთარ ფაცაციას

პატივცემულო ოთარ ამბაკოს ძევ,

კიდევ ერთხელ მსურს გამოვხატო თქვენდამი მადლიერება ჩემი გულთბილი მიღების გამო.

ქართველი და რუსი სამთოელების თანამშრომლობისადმი თქვენი კეთილი განწყობა ხელს შეუწყობს მათი სამეცნიერო და საწარმოო კავშირების შემდგომ განვითარებას.

პატივისცემით,

ი. მალიშევი,

რუსეთის ქვანახშირის კომპანია „როსუგოლის" გენერალური დირექტორი.

საქართველოს პარლამენტი: კვირიდან კვირამდე



ისევ სამხარეო მოწყობის შესახებ

— არის თუ არა საჭირო ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის განხილვა მანამ, სანამ პარლამენტი კონსტიტუციის პროექტზე დაიწყებდეს მუშაობას, მით უმეტეს, რომ კონსტიტუციის პროექტის მუხლობრივი განხილვა თავისთავად დააყენებს დღის წესრიგში ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმებისა და სხვა საკითხებზე მსჯელობის აუცილებლობას — დაახლოებით ასე დადგა საკითხი 30 მაისს საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, რომლის სამუშაო გეგმაში შემავალი 34 საკითხიდან იმთავითვე, ეჭვგარეშეა, უმთავრესი ეს ორი საკითხი იყო. აქედან ერთი — სამხარეო მოწყობის შესახებ — 75 პარლამენტარის მოთხოვნით შევიდა საპარლამენტო კვირის დღის წესრიგში. მოთხოვნა დასაბუთებული იყო შემდეგი არგუმენტით: მოქმედი კანონმდებლობისა და პარლამენტის გვერდის ავლით, პრაქტიკულად, დასრულებულია საქართველოს ტერიტორიული მოწყობა. იგულისხმება რეგიონებში (სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულისა და სხვა რეგიონული ხელისუფლებისა და ადმინისტრაციული ინსტიტუტების დაარსება. ამიტომ პარლამენტი ვალდებულია გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი.

საპარლამენტო უმრავლესობამ, რომელმაც მიზანშეუწონლად მიიჩნია კონსტიტუციის პროექტის განხილვამდე ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამხარეო მოწყობის შესახებ მსჯელობა, კოლეგებს შესთავაზა ამ შემთხვევაში პრიორიტეტი მიენიჭებინათ საფინანსო-საბანკო საკითხებთან დაკავშირებული კანონპროექტებისათვის, მოგვიანებით ამავე თხოვნით პარლამენტს მიმართა რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა თემურ ბასილიამ, რომელმაც განმარტა, რომ ეროვნული ბანკისა და საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების შესახებ კანონპროექტების სასწრაფო მიღებასთან უშუალოდ არის დაკავშირებული ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმის დროული და სრულფასოვანი განხორციელება და იმ ვალდებულებების შესრულება, რომლებიც საქართველომ იკისრა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე.

მანამდე კი სხდომაზე საკმაოდ დიდხანს და მწვავედ მიმდინარეობდა კამათი იმის შესახებ, დაემტკიცებინა თუ არა პარლამენტს დღის წესრიგში ორი სადავო საკითხის შეტანა. პარლამენტის წევრმა ჯაბა იოსელიანმა არაერთხელ კატეგორიულად გაიმეორა მოთხოვნა, კენჭისყრაზე დაეყენებინათ საკითხი სამხარეო მოწყობის კანონიერების შესახებ, პარლამენტმა ან უნდა დააკანონოს სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილებები, ან მოითხოვოს მათი გაუქმება, — განაცხადა მან, — სხვაგვარად გამოდის, რომ პარლამენტის აზრი უგულებელყოფილია. ამ განხილვის მთავარი მიზანი პარლამენტის უფლებების დაბრუნება უნდა იყოს.

ასეთივე კატეგორიულობით მოითხოვა ამავე საკითხის დღის წესრიგში შეტანა პარლამენტარმა ირაკლი წერეთელმა.

ხანგრძლივი დავა კენჭისყრამ გადაწყვიტა და პარლამენტი შეუდგა „ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ" პირველი მოსმენით მიღებული კანონპროექტის მუხლობრივ განხილვას. ძირითადი უთანხმოება წარმოიშვა იმ მუხლთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს რაიონული რგოლების მმართველობის ფორმებსა და მათი არჩევისა თუ დანიშვნის პრინციპებს. ვიცე-სპიკერმა რუსუდან ბერიძემ შემოიტანა წინადადება, სადავო მუხლის გარეშე ეყარათ კენჭი კანონპროექტისათვის. საპარლამენტო უმრავლესობამ კი, რომელიც პრინციპულად არ ეთანხმებოდა ამ საკითხზე საპარლამენტო მსჯელობის გამართვას, დააფიქსირა თავისი პოზიცია და კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

კანონპროექტი ჩავარდა, რის შემდეგაც საპარლამენტო უმრავლესობის კოორდინატორმა ვიცე-სპიკერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა ერთხელ კიდევ განმარტა ის მიზეზი, რომელსაც ემყარებოდა უმრავლესობის პოზიცია: კონსტიტუციის პროექტის განხილვის დაწყებამდე, წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო კომისიის მიერ აზრის გამოთქმამდე, ამგვარ საკითხებზე მსჯელობა მხოლოდ და მხოლოდ აფერხებს და ხელს უშლის საკონსტიტუციო მუშაობას. სწორედ ამიტომ გამოუცხადა ბოიკოტი უმრავლესობამ წარმოდგენილ კანონპროექტს.

31 მაისს პარლამენტმა, შექმნილი ეკონომიკური ვითარებისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან შეთანხმებათა შეზღუდული ვადების გათვალისწინებით, დილის სხდომა მთლიანად ეროვნული ბანკისა და საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების შესახებ კანონპროექტების განხილვას დაუთმო. პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი „ეროვნული ბანკის შესახებ" და კანონპროექტთა პაკეტი „ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში".

საღამოს სხდომაზე პარლამენტი მისი თავმჯდომარის — საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მონაწილეობით შეუდგა „სამხარეო მოწყობის შესახებ" საკითხის განხილვას.

ბატონმა ჯაბა იოსელიანმა კამათის დაწყებამდე გარკვეული კორექტივი შეიტანა საკითხის ფორმულირებაში და განაცხადა, რომ განსახილველია არა ქვეყნის სამხარეო მოწყობა, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონის დარღვევის ფაქტი.

საპარლამენტო დებატების დაწყებამდე სახელმწიფოს მეთაურმა ვრცლად და ამომწურავად განმარტა ყველა ის საკითხი, რომლებიც პარლამენტის ერთი ნაწილისათვის დიდი ხნის დავისა და კამათის საგნად იქცა. თავდაპირველად მან ილაპარაკა ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა ურთიერთობის ზოგად პრინციპებზე და აღნიშნა, რომ ეს ორგანოები უნდა განიხილებოდეს როგორც სახელმწიფო სტრუქტურათა ერთიანი სისტემა. იმისათვის, რომ გარკვეული წინააღმდეგობანი კონფრონტაციად არ გადაიზარდოს, ხდება შესაბამისი ნორმების, საკონსტიტუციო აქტების, კანონების მიღება, რაც არეგულირებს ურთიერთობას ცენტრსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. არ არსებობს კანონი, რომელიც მოაწესრიგებდა ადგილობრივი მმართველობის სისტემას, მაგრამ არსებობს კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ, არსებობს სათანადო უფლებებით აღჭურვილი სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტი, რომლის მოვალეობაც ის არის, რომ არ შეჩერდეს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა. მართვადი გახდეს ერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაციიდან მეორეზე გადასვლის ყველა პროცესი.

რესპუბლიკაში ფართომასშტაბიანი რეფორმების განხორციელების პირობებში, წინა პლანზე წამოიწია პრობლემებმა, რომელთა გადაწყვეტა ერთი რაიონის ფარგლებში შეუძლებელია. ეს ეხება კრიმინალურ, მაფიოზურ კლანებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლასაც. ამიტომ, ამ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი კვლავაც მოითხოვს კოორდინაციას ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. სწორედ სახელმწიფოს განვითარების გარდამავალმა ეტაპმა მოითხოვა სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის ინსტიტუტის შემოღება.

რაც შეეხება ფედერალურ მოწყობას, ეს საკითხი, სახელმწიფოს მეთაურის აზრით, უნდა განიხილოს ჯერ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ, შემდეგ პარლამენტმა და ბოლოს საქართველოს მოსახლეობამ უნდა გამოთქვას თავისი აზრი.

შეეხო რა სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის ინსტიტუტის მნიშვნელობას, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ იგი ქვეყანაში მიმდინარე ძალზე სასურველი ინტეგრაციული პროცესების ხელშემწყობი ინსტიტუტია, რომელიც არ ეწინააღმდეგება არც უნიტარულ და არც ფედერალურ სისტემას და მისი გაუქმებისათვის ელემენტარულად სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონის გაუქმებაა საჭირო. რწმუნებულის ინსტიტუტის შემოღება არ ნიშნავს მხარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად ჩამოყალიბებას, რამდენადაც ამ გადაწყვეტილების მიღება კონსტიტუციის პრეროგატივაა.

შემდეგ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონის შესაბამისი მუხლების დამოწმებით დეტალურად განმარტა სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის ინსტიტუტის კანონიერება. რწმუნებულთა უფლებამოსილებებთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ პრაქტიკულად ხდება სახელმწიფოს მეთაურისათვის მინიჭებული უფლებების დელეგირება რწმუნებულისათვის. ამჟამად რწმუნებულის თანამდებობა შემოღებულია 9 რაიონში და მათი სამოქმედო ტერიტორია ძირითადად ემთხვევა სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებული დეკრეტებით დადგენილ ტერიტორიებს. ყველა დებულება რწმუნებულების შესახებ მიღებულია 1993 წლის 2 ივლისის შემდეგ, როდესაც პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფოს მეთაურისათვის საგანგებო უფლებების მინიჭების შესახებ. ამდენად, რწმუნებულებისათვის დელეგირებული უფლებები სადავო და საკამათო არ უნდა იყოს. რაც შეეხება ტერმინს „მხარე", იგი ზუსტი ქართული შესატყვისია კანონმდებლობაში მიღებული ტერმინისა „რეგიონი", ამასთან, 1921 წლის კონსტიტუციაშიც მოიხსენიება. იგი ამ შემთხვევაში მხოლოდ გეოგრაფიულ არეალს განსაზღვრავს და არავითარი კავშირი არა აქვს სამხარეო მოწყობის პრინციპთან, რაც მხოლოდ კონსტიტუციით შეიძლება განისაზღვროს.

დასასრულ, სახელმწიფოს მეთაურმა კატეგორიულად უარყო მოსაზრება სეპარატისტული მოძრაობის საშიშროების შესახებ და გამოთქვა ღრმა რწმენა, რომ დღეს საქართველოში ამგვარი საფრთხის საფუძველი აღარ არსებობს.

სახელმწიფოს მეთაურის გამოსვლას მოჰყვა ხანგრძლივი დებატები. თავიანთი პოზიციები გამოხატეს როგორც პარლამენტარებმა, ასევე რწმუნებულებმა. გამოითქვა მრავალი, ხშირ შემთხვევაში, ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება. საპარლამენტო ოპოზიცია დაბეჯითებით მოითხოვდა, პარლამენტს კენჭისყრით გადაეწყვიტა სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის ინსტიტუტის საკითხი, რაც, თავის მხრივ, თავად სახელმწიფოს მეთაურმაც კატეგორიულად მოითხოვა. თუმცა ხანგრძლივი დავის შემდეგ გამოირკვა, რომ პარლამენტი უფლებამოსილია კენჭი უყაროს მხოლოდ რწმუნებულებთან დაკავშირებით მიღებულ ცალკეულ დებულებებს. რაც შეეხება საკუთრივ რწმუნებულის ინსტიტუტს, იგი, ერთმნიშვნელოვნად, თავად პარლამენტის მიერ მიღებული კანონის შესაბამისად სრულიად ნორმალური და კანონიერია და მის გასაუქმებლად სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონში ცვლილების შეტანაა საჭირო ხმების ორი მესამედით.

გვიან საღამომდე გაგრძელებული მწვავე, არცთუ იშვიათად, არაკორექტული კამათი, საბოლოოდ მაინც ვერ მივიდა ვერც კენჭისყრამდე და ვერც გამოკვეთილ საერთო აზრამდე. თუმცა ერთი რამ გარკვევით და ნათლად წარმოაჩინა: ამ საკითხებზე კონსტიტუციის განხილვამდე კამათი ღია კარის მტვრევას უფრო ჰგავს, ვიდრე ჭეშმარიტების ძიებას. ქვეყნის ძირითადი კანონის ბედი და, აქედან გამომდინარე, ყველა დღეისათვის სადავო საკითხის გადაწყვეტა თავად პარლამენტართა ხელშია, ხოლო ამ ისტორიული მუშაობის დაწყებამდე სულ ცოტა დროა დარჩენილი. პარლამენტი, იმის მიხედვით, თუ როგორ კონსტიტუციას მიიღებს, თავად გასცემს პასუხს ყველა კითხვას.

1 და 2 ივნისის სხდომები პარლამენტმა მთლიანად აქტიურ კანონშემოქმედებას დაუთმო და მიიღო კანონი „ტურიზმის შესახებ", მეორე მოსმენით განიხილა კანონპროექტები ინვალიდთა სოციალური დაცვისა და ვეტერინარული მედიცინის შესახებ. იმსჯელა უცხოური ინვესტიციების განაწილების, ათვისებისა და დაფარვის მდგომარეობის თაობაზე. ამ სხდომებზე (განსაკუთრებული ყურადღების საგნად იქცა დადგენილების პროექტი ამნისტიის შესახებ, რომელიც საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით წარმოადგინა პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ. პარასკევს, დახურულ სხდომაზე, კვლავ გაგრძელდა კამათი ამ უაღრესად ფაქიზი და რთული საკითხის გამო.

მაია ალუდაური,

საქინფორმის კორესპონდენტი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო თავმჯდომარევ,

გულითადად გილოცავთ თქვენს ეროვნულ დღესასწაულს.

დაე, თქვენმა ქვეყანამ მოიპოვოს ხანგრძლივი მშვიდობა, რაც საშუალებას მისცემს გააგრძელოს სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების გზა. იმ ტრადიციულ მეგობრობაში კი, ჩვენს ორ ხალხს რომ აკავშირებს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, საფრანგეთი კვლავაც მხარს დაგიჭერთ.

ნება მიბოძეთ, ბატონო თავმჯდომარევ, გამოვხატო ჩემი თქვენდამი ღრმა პატივისცემა.

ჟაკ შირაკი,

საფრანგეთის პრეზიდენტი.

მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს

თქვენი რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით, საშუალება მეძლევა, მოგილოცოთ პირადად თქვენ, თქვენო აღმატებულებავ, თქვენს თანამემამულეებს და გადმოგცეთ ჩემი საუკეთესო სურვილები. ღმერთს ვთხოვ, თქვენს მცდელობას ქართული საზოგადოებრიობის გაერთიანებისა და თანამშრომლობისათვის კეთილი ნაყოფი გამოეღოს, რათა თქვენი ქვეყნის ყოველმა პიროვნებამ, ისარგებლოს განვითარებული ქვეყნის მატერიალური და სულიერი კეთილდღეობით.

გწყალობდეთ მაღალი ღმერთი, პირადად თქვენ, თქვენო აღმატებულებავ, თქვენი ქვეყნის მთელ ხელმძღვანელობას და თქვენს თანამემამულეებს.

იოანე პავლე II,

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს

თქვენო აღმატებულებავ!

ინდოეთის ხალხისა და მთავრობის სახელით მადლობას მოგახსენებთ ინდოეთის რესპუბლიკის დღის აღსანიშნავად გამოგზავნილი მილოცვისა და საუკეთესო სურვილებისათვის.

ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენს მეგობრულ დამოკიდებულებას და მოუთმენლად ველით თქვენთან თანამშრომლობას ჩვენს ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობის განვითარების მიზნით.

გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მიიღოთ თქვენდამი ჩემი ღრმა პატივისცემის რწმუნება.

ნარასიმხა რაო,

ინდოეთის პრემიერ-მინისტრი.

მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს

თქვენო აღმატებულებავ!

გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მისი გენერალური მდივნის, ბატონი ბუტროს ბუტროს გალის სახელით, მინდა გადმოგცეთ თქვენ და საქართველოს ხალხს გულითადი და გულწრფელი მილოცვები საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით. ნება მიბოძეთ, გისურვოთ ჯანმრთელობა და წარმატებები თქვენი ისტორიული ამოცანის შესრულებაში, რომლის მიზანია საქართველოს უკეთესი, მშვიდობიანი და აყვავებული მომავლისაკენ წარმართვა. გაერო კვლავ გააგრძელებს თავისი ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა და გასაჭირში მყოფი წევრის — საქართველოს დახმარებას მისი განვითარების გზაზე.

ფეოდორ სტარჩევიჩი,

გაეროს წარმომადგენელი საქართველოში.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს, ედუარდ შევარდნაძეს

დიდად პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ!

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღესასწაულის გამო, გულწრფელად გილოცავთ თქვენ და თქვენი სახით მთელ სახელოვან ქართველ ხალხს ამ შესანიშნავ მოვლენას.

ვუსურვებ შემდგომ წარმატებებსა და აყვავებას თქვენს სახელმწიფოს.

გულწრფელი პატივისცემით

ვ. კროტოვი,

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საბჭოს გენერალური მდივანი.

„ვრჩები საქართველოს მეგობრად"...

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ზაარის მხარის პრემიერ-მინისტრი ოსკარ ლაფონტენი მეუღლითურთ.

ზაარის მხარესა და საქართველოს შორის 20-წლიანი მეგობრობა ორი ხალხის ურთიერთობის, სასარგებლო კონტაქტების ნათელი მაგალითია, თქვა შეხვედრაზე ბატონმა ოსკარ ლაფონტენმა, სტუმარმა აღნიშნა ის დადებითი ძვრები, რომლებიც ამჟამად საქართველოში იგრძნობა. მან იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს ხანში ქართველი ხალხი სრულად დაძლევს მის წინაშე არსებულ პრობლემებს.

ჩვენ ვალში ვართ თქვენს წინაშე იმ მოვლენებისათვის, რაც ამ ბოლო ხანებში განვითარდა ჩვენს ქვეყანაში. მე ვრჩები საქართველოს მეგობრად და ყველაფერს გავაკეთებ, რაც კი შემიძლია — მიმართა მან ბატონ ედუარდ შევარდნაძეს.

სახელმწიფოს მეთაურმა სიმბოლური აქტი უწოდა ზაარის მხარის პრემიერ-მინისტრის მონაწილეობას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ დღესასწაულში და მადლობა მოახსენა სტუმარს მხარდაჭერისა და გაწეული დახმარებისათვის.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო

საქართველო-რუსეთი:

ურთიერთთანამშრომლობის ახალი ფაზა

27-31 მაისს მოსკოვში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია. ამ ვიზიტის მიზანი რუსეთ-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გააქტიურება და მათი ეფექტიანობის გაზრდა იყო.

29 მაისს „თეთრ სახლში" გაიმართა მოლაპარაკება ბატონ ოთარ ფაცაციასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს ალექსეი ბოლშაკოვს შორის. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბორის პასტუხოვი, საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში ვაჟა ლორთქიფანიძე, ორივე მხარის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

საქმიან და კონსტრუქციულ ვითარებაში განიხილეს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის აქტუალური პრობლემების გადაჭრის საქმეში რუსეთის ფედერაციის შესაბამისი სტრუქტურების პრაქტიკული დახმარებისა და მონაწილეობის საკითხები.

ბატონმა ოთარ ფაცაციამ განსაკუთრებით გაამახვილა მოლაპარაკების მონაწილეთა ყურადღება ენერგეტიკის, უწინარეს ყოვლისა, ენგურჰესისა და თბილსრესის სრული სიმძლავრით ამოქმედების, გადამცემი ხაზების აღდგენისა და შეუფერხებელი ფუნქციონირების აუცილებლობაზე. რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სამრეწველო პოტენციალის ამოქმედებისათვის, სოციალური საკითხების გადაჭრისათვის და, საერთოდ, ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისათვის.

მოლაპარაკებაზე სერიოზული აქცენტი გაკეთდა საქართველოსთვის ხორბლის რესურსების მიწოდებათა გადიდებაზე. განიხილეს სხვა აქტუალური პრობლემებიც.

ჩვენი პრემიერის მიერ დაყენებულ საკითხებს რუსეთის მხარე სრული გაგებით შეხვდა, რაც სათანადო დოკუმენტში კონკრეტული დავალებების ფორმით აისახა.

ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ მიაღწიეს შეთანხმებას რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი სახელმწიფო კრედიტების დაფარვის პრინციპის, კერძოდ, ვალების რესტრუქტურიზაციის შესახებ.

ბატონებმა ოთარ ფაცაციამ და ალექსეი ბოლშაკოვმა ხელი მოაწერეს მთავრობათაშორისო შეთანხმებას 1995 წლისათვის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის პრინციპების შესახებ.

შეთანხმება, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა გამზადებული იყო, ამოქმედდა. მისი მარგი ქმედების კოეფიციენტის რაც შეიძლება რაციონალურად და სწრაფად გამოყენების მიზნით ბატონი ოთარ ფაცაცია შეხვდა რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს და მოლაპარაკება გამართა მათთან. რეალურად და პერსპექტიულად გამოიკვეთა რუსეთის ენერგეტიკულ კომპლექსთან, კერძოდ, სააქციო საზოგადოება „როსენერგოსთან" და რუსეთის ქვანახშირის კომპანია „როსუგოლთან" ჩვენი ენერგეტიკოსების თანამშრომლობა.

ბატონმა ოთარ ფაცაციამ შეხვედრები გამართა რუსეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან.

— ყველა ამ შეხვედრისას აშკარად ჩანდა საქართველოსთვის მხარდაჭერისა და დახმარების, ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების სურვილი, მაგრამ, ამასთან ერთად ითქვა ისიც, რომ უფრო მეტად მართებთ ხელის გამოღება საქართველოს რესპუბლიკის ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა ხელმძღვანელებს, რადგან პარტნიორული ურთიერთობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როგორც ერთ-ერთ შეხვედრაზე გაესვა ხაზი, უწინარეს ყოვლისა თანამშრომლობას, ორივე მხარის შედეგიან საქმიანობას გულისხმობს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა განვიხილოთ როგორც ერთ-ერთის შეგუებული პასიურობა მეორის აქტიურობის ხარჯზე.

საქართველოსა და რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ახალ და, იმედი უნდა ვიქონიოთ, პრაქტიკული შედეგების მომტან ფაზაში შევიდა.

არმაზ სანებლიძე,

„სრ" სპეც. კორ.

მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო პრეზიდენტო,

მადლობას გიხდით თქვენი 9 მარტის წერილისათვის და იმ მადლიერების გრძნობისათვის, რომელიც თქვენ გამოხატეთ ევროპის კავშირის მიმართ საქართველოსათვის გაწეული დახმარების გამო.

აგრეთვე, მინდა დაგარწმუნოთ, რომ საოცრად მოხარული ვარ ბრიუსელში ჩვენი ბოლო შეხვედრით და შეხედულებათა ძალზე საინტერესო ურთიერთგაცვლით.

უახლოეს მომავალში ევროპის კავშირი იმსჯელებს ამიერკავკასიის ქვეყნებში თავისი პოლიტიკის შესახებ. დებატები აგრეთვე, შეეხება ამ რესპუბლიკებისადმი დახმარების გაწევას, რაზეც თქვენი წერილიც მიგვითითებდა. ამ კონტექსტში მოხარული ვარ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის თანამშრომლობით ჩვენი დახმარების მიღებისა და განაწილების საქმეში, და ამავე მიზნით, ერთობლივი ბიუროს შექმნით. ვიმედოვნებ, რომ ეს თანამშრომლობა შემდგომშიც გაგრძელდება და მწამს თქვენი გულისხმიერებისა ამ მიმართულებით.

ვიცნობ იმ მძიმე მდგომარეობას, რომელშიც, სამწუხაროდ, საქართველო იმყოფება და დარწმუნებული ვარ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის საერთაშორისო თანადგომას. მინდა გჯეროდეთ, რომ ეს მდგომარეობა გათვალისწინებული იქნება ევროპის კავშირის პოლიტიკის შემდგომ განვითარებაში თქვენი ქვეყნის მიმართ. გპირდებით, რომ დისკუსიებთან დაკავშირებით ინფორმირებული იქნებით.

ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ, მიიღოთ ჩემი საუკეთესო სურვილები.

ჟაკ სანტერი,

ევროკომისიის პრეზიდენტი.
ბრიუსელი 1995 წლის 18 მაისი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის კოლექტივი თავის ერთგულ თანამდგომსა და მეგობარს, პარლამენტის წევრს, ბატონ თენგიზ კალანდაძეს გულწრფელად ულოცავს დაბადების დღეს და უსურვებს ჯანმრთელობასა და წარმატებებს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით, შეიქმნა ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იორამ ქემერტელიძის დამკრძალავი კომისია გურამ ფანჯიკიძის თავმჯდომარეობით.

იორამ ქემერტელიძე დაიკრძალება დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, სახელმწიფოს ხარჯზე.

სახელმწიფოს მეთაურის დავალებები — კონტროლზე!

ქაღალდს გაუფრთხილდით, ქაღალდს!

მე რომ კულტურის ფონდის თავმჯდომარე ვიყო, ეროვნული კულტურის გადასარჩენად სახელმწიფოს მეთაურს იმავე განცხადებით მივმართავდი, შარშან სახალხო მხატვარმა მერაბ ბერძენიშვილმა რომ ახლა. საქართველოს კულტურის ფონდის შემდგომში განვითარების მიზნით იგი ითხოვდა პოლიგრაფიული ბაზის შექმნასა და ერთი აფთიაქის გადაცემას.

მე რომ სახელმწიფოს მეთაური ვიყო, ჩემი განკარგულებაც გაჭრილი ვაშლივით დაემსგავსებოდა № 182 განკარგულებას.

მე რომ ამ დავალების შემსრულებელი ვიყო, საქართველოს რესპუბლიკური ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის მსგავსად № 12 სტამბას უსიტყვოდ გადავცემდი კულტურის ფონდს, მაგრამ...

მე რომ ჯანმრთელობის მინისტრი ვიყო, უთუოდ ავყვირდებოდი: „სულისმოსათქმელად" თითო ორგანიზაციამ თითო აფთიაქი რომ მოითხოვოს, მე რაღა დამრჩება-მეთქი. მადლობა ღმერთს, ყველა ჩემნაირი თავშეუკავებელი როდია. „კულტურის ფონდისათვის აფთიაქის გადაცემაზე თავს იკავებს ჯანმრთელობის სამინისტრო იმ მოტივით, რომ აფთიაქების პრივატიზება ჯერჯერობით გათვალისწინებული არ არის" — ასე ოსტატურად „ძერწავენ" ამ საქმის ოსტატისათვის უარის თქმის მოტივს.

მე რომ დედაქალაქის მერი ვიყო, უსახსროდ დარჩენილი კულტურის ფონდის მესვეურებს სხვათა შორის წავჩურჩულებდი: მაშ ჯანმრთელობის სამინისტროდან 12 აფთიაქი ჩვენ რა „მოტივით" გამოგვეცა?

მე რომ ერთწლიანი მოლოდინით გულგალეული მერაბ ბერძენიშვილი ვიყო, ეროვნული კულტურის გულშემატკივართ ახლა ახალი ზეპირი განცხადებით მივმართავდი: თუ ძმა ხარ, მიმოწერასა და ნელ-თბილ პასუხებს თავი დაანებეთ, გადაჭრით მითხარით ან „ჰო", ან — „არა!"

მე რომ ჯადოქარი ვიყო, ხელის ერთი აქნევით ხალხს იმდენ მედიკამენტს „ჩამოვუყრიდი", რომ აფთიაქები შემოსავლის წყაროდ აღარ ქცეულიყო, კულტურის ფონდს კი სხვა სახსრებს გამოვუძებნიდი.

მე რომ მე ვარ და არა ზემოთ „ნაოცნებარ" ადგილებზე მჯდომი, ამიტომაც მკლავს ცნობისწადილი, ჩემს ადგილზე ისინიც იტყოდნენ თუ არა — ქაღალდს გაუფრთხილდით, ქაღალდს!

ლეილა კოშკაძე.

პრივატიზაცია-პატრონიზაცია

პრივატიზაციის პროცესი რესპუბლიკაში გადამწყვეტ ეტაპში შევიდა. სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის 178-ე ბრძანებულების გამოცემიდან უკვე ერთი წელიწადი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მასობრივი პრივატიზაციის მხრივ ბევრი რამ გაკეთდა: ბრძანებულებამდე, რომელიც მასობრივი პრივატიზაციის დაჩქარებას ეხებოდა, განკერძოებული იყო 1300-მდე მცირე საწარმო, ხოლო ამ ერთი წლის განმავლობაში უკვე კერძო საკუთრებაში გადავიდა 2200 მცირე საწარმო და ობიექტი.

სწორედ ამ ბრძანებულების ერთი წლის თავს მიეძღვნა პრესკონფერენცია, რომელიც სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში გაიმართა ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისთვის. სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრმა ავთანდილ სილაგაძემ ამომწურავად ისაუბრა რესპუბლიკაში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესის თაობაზე. თუ 1993 წლის აპრილამდე რესპუბლიკაში სულ 50 სააქციო საზოგადოება იყო რეგისტრირებული, დღეს მათი რიცხვი 780-მდე გაიზარდა. რესპუბლიკაში დაიწყო ვაუჩერების დარიგების პროცესი. ოფიციალური მონაცემებით იგი უკვე აიღო 400 000-მა მოქალაქემ. ეს ციფრი, როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ზუსტი არ არის, რადგან დღეს გაცილებით მეტი ვაუჩერია გაცემული. აქვე ჟურნალისტებმა დააყენეს საკითხი იმის თაობაზე, რომ თბილისის ზოგიერთ რაიონში ხელოვნურად ფერხდება ეს პროცესი. ბანკები დღეში 40-50 ვაუჩერზე მეტს არ გასცემენ. სამინისტროს ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ამას საგანგებოდ მიაქცევენ ყურადღებას. ცნობილია უკვე ისიც, რომ პირველი საზარათო აუქციონი ივნისის ბოლოს გაიმართება, აუქციონზე 4 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების აქციები გამოვა, რომლებიც ვაუჩერებით დასაქონლდება. დღეს უკვე 15 ათასი ვაუჩერია დასაქონლებული და მიმოქცევიდან ამოღებული.

მინისტრის პირველმა მოადგილემ ემირ ჭუღელმა ისაუბრა აუქციონის გამართვის თაობაზე. აუქციონის მიმღები პუნქტები აგრობანკის რაიონულ განყოფილებებშია განლაგებული. იქმნება სამი სააქციო ცენტრი — თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში. რესპუბლიკის მასშტაბით, ყველა რაიონულ ცენტრსა და ქალაქში იმუშავებს განაცხადების მიმღები პუნქტი, მოქალაქეებს აქ შეუძლიათ შეავსონ განაცხადი და მიუთითონ, რომელი საწარმოს აქციის შეძენა სურთ.

აქვე ითქვა, რომ საჭიროა უფრო გაფართოვდეს პრივატიზაციასთან დაკავშირებული საინფორმაციო-სარეკლამო კამპანია, რათა მოსახლეობა უფრო კარგად გაერკვეს თავის უფლებებში, მიზნობრივად, მომგებიანად გამოიყენოს ვაუჩერი და სრულად ჩაერთოს პრივატიზაციის პროცესში. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა პრივატიზაციის ჰიმნი „პრივატიზაცია-პატრონიზაცია" (კომპოზიტორი — გიორგი ცინცაძე).

პრესკონფერენციას ესწრებოდნენ მასობრივი პრივატიზაციის პროექტის მენეჯერი მარტინ რონსჰოლტი და სხვა უცხოელი ექსპერტები.

შოთა მაჭარაშვილი.

სასურსათო კომისიის სხდომა

30 მაისს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში გაიმართა მოსახლეობის სურსათით მომარაგების სამთავრობო კომისიის სხდომა პრემიერ-მინისტრის მოადგილის ბაკურ გულუას თავმჯდომარეობით.

მოისმინეს ინფორმაცია თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ დიდი გვალვის გამო კახეთსა და ქვემო ქართლის რეგიონებში მოსალოდნელია მოსავლიანობის 20-30 პროცენტით შემცირება, ივნისის მეორე დეკადიდან დაიწყება საშემოდგომო ხორბლის მოსავლის აღება. ამასთან დაკავშირებით მარცვლეულის დამამზადებელი რაიონები მომარაგდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკითა და საწვავ-საპოხი მასალებით.

განიხილეს საკითხი მწვანე აგურა ჩაის საწარმოების მიერ ჩაის პროდუქციის გამოშვება-რეალიზაციის გაზრდის უზრუნველსაყოფად განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ. როგორც აღინიშნა, ოპერატიული მონაცემებით დღეისათვის დამზადებულია მხოლოდ 20 ტონა აგურა ჩაი. ნელი ტემპით მიმდინარეობს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადება.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

საპარლამენტო განცხადება

სწორად განვსაზღვროთ მიწის პატრონი

საქართველოს პარლამენტში დაიწყო „საადგილმამულო კანონის" პროექტის განხილვა. საპარლამენტო ფრაქცია „სამართლიანობის" თავმჯდომარემ ბატონმა თამაზ ცინცაძემ რედაქციას მიმართა თხოვნით, გამოვაქვეყნოთ მისი საპარლამენტო განცხადება, რათა საზოგადოებრიობამ გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ამ განცხადების არსის მიმართ.

მთელი ორი წლის მანძილზე, პარლამენტმა ვერ მიიღო კანონი „საადგილმამულო ურთიერთობათა შესახებ", რომელიც მიწათსარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს მოაწესრიგებდა. ამასთან, ვერც სახელმწიფოს მეთაურს მიაწოდეს სახელმწიფო დეკრეტის პროექტი. ამდენად, მიწასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტის მიღება ვერ მოხერხდა და სოფლად მიწათსარგებლობის საკითხი ფაქტობრივად უმართავი გახდა. ამ პროცესზე უარყოფითად იმოქმედა ადრე გაკეთებულმა პოპულისტურმა ლოზუნგმა „მიწა პატრონს უნდა დაუბრუნდესო". იგი გაიგეს მომხდარი მიწის ნაციონალიზაციის უარყოფად და მიწის ადრინდელ მესაკუთრეებისათვის მთლიანად დაბრუნების მოთხოვნად. არადა, ლოზუნგი ნიშნავდა: მიწა უნდა მისცემოდა იმას, ვინც მისი ყადრი იცოდა და გამოყენებაც შეეძლო და არა ყოფილ მეპატრონეს, რომლის მემკვიდრეობის განსაზღვრა სხვა უფრო რთულ იურიდიულ პროცესთანაა დაკავშირებული.

კიდევ უფრო დიდი გაუგებრობა მოჰყვა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის (№ 48) დადგენილებას სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საკუთრებისა და სარგებლობის თაობაზე. მისი ზოგიერთი დებულებაც, როგორც მიუღებელი, შემდგომი დადგენილებით გაუქმდა. ამ დადგენილებას სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განიავების მეტი არაფერი მოჰყოლია.

უკანასკნელ პერიოდში სოფლად სერიოზულმა გაუგებრობებმა იჩინა თავი, რაც მამაპაპისეული მიწების დაბრუნების მოთხოვნის პროცესთანაა დაკავშირებული. ამან გამოიწვია თვით ნათესავებისა და ე. წ. ახალ მოსახლეთა შორის დაპირისპირება: სისტემატური ხასიათი მიიღო შეხლა-შემოხლამ, ურთიერთშეურაცხყოფამ, დაჭრამ, ძმათა შორის მკვლელობამაც კი. ამ გაუგებრობებს, აი, რა იწვევს; მიღებული არ არის ისეთი საკანონმდებლო აქტი, რომელიც მოაწესრიგებს მამაპაპისეული მიწის თვითნებურად დაპატრონების აკრძალვას და განსაზღვრავს მემკვიდრეობის წესს. ეს, ჩვენი აზრით, მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივა უნდა იყოს. ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები იმდენად უმართავი გახდა, რომ მიწის ადრინდელ მეპატრონეთა მემკვიდრენი გლეჯებს საიჯარო ფართობებიდან დევნიან. სხვა უარყოფით მოვლენასთან ერთად, ამას შედეგად მოჰყვა ისიც, რომ ჩაის პლანტაციების ერთი ნაწილი, რომელსაც მეიჯარენი პარალელურად უვლიდნენ, უპატრონო, დაუმუშავებელი აღმოჩნდა. ამას შეიძლება მოჰყვეს პლანტაციების გატყევება. ეს ნიშნავს: განადგურდება და დაიკარგება ის, რაც წლების მანძილზე შენდებოდა და იქმნებოდა.

მიწის მეპატრონის თუ მოსარგებლის პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა, დაუყოვნებლივ მივიღოთ კანონის პროექტით გათვალისწინებული ის მუხლები, რომლებიც მიწის შესახებ კანონის მთლიანად მიღებამდე მოაწესრიგებს მიწის მემკვიდრეობისა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს, განსაზღვრავს, მისაღებია თუ არა სახელმწიფოს მიერ ადრე ნაციონალიზებული მიწების ისევ ყოფილ მეპატრონეთა მემკვიდრეებისთვის დაბრუნება. ამასთან, განისაზღვრება ხანდაზმულობის გამო, რა კატეგორიის მემკვიდრეზე და რა წესით მოხდება ეს პროცესი. იმის გამო, რომ პარლამენტში არაერთგვაროვანი პოზიცია არსებობს მიწის საკუთრების, ყიდვა-გაყიდვის, ყოფილ მეპატრონეთა მემკვიდრეებისთვის დაბრუნებისა და სხვა პრინციპულ საკითხებზე, მოსალოდნელია ამ კანონის განხილვა-მიღების გაჭიანურება, ამიტომ, ვაყენებ საკითხს: დაუყოვნებლივ განვიხილოთ და მივიღოთ კანონპროექტის 23-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მიწის ყოფილი მეპატრონის მემკვიდრეებისათვის ზღვრული ნორმით მიწის დაბრუნებას. თუ მიწის ადრინდელი მესაკუთრის უფლებები და მემკვიდრეობის განსაზღვრის საკითხები არ გაირკვა, შეიძლება უმართავი პროცესი განვითარდეს და ამას სოციალური აფეთქებაც მოჰყვეს: შეიმჩნევა ბარად გეგმიურად თუ საკუთარი ინიციატივით ჩამოსახლებული ოჯახების ნაწილის (ძირძველ მოძმეს უპირისპირდება) უკუმიგრაცია.

ფრაქცია „სამართლიანობის" წევრთა პოზიცია ასეთია: მიწა უნდა იყოს სახელმწიფო საკუთრება, მუდმივ სარგებლობაში ჰქონდეთ, უვადოდ, მემკვიდრეობაზე გადაცემის უფლებით. ამასთან, ვიზიარებთ პარლამენტში წარმოდგენილი საადგილმამულო კანონპროექტის 23-ე მუხლში ჩამოყალიბებულ აზრს, რომ ყოფილ მესაკუთრეს, მემკვიდრეობის უფლების განსაზღვრის შემდეგ, სოფლად საკარმიდამო მიეცეს მხოლოდ დადგენილი ზღვრული ნორმის ფარგლებში. დანარჩენი მიწა, რომელიც ადრე სახელმწიფოს მიერ ნაციონალიზებული იქნა, კვლავ უნდა დარჩეს სახელმწიფოს საკუთრებაში. მიწაზე, რომელიც სახელმწიფომ თავის დროზე საკარმიდამო ფონდად გამოიყენა და იქ მოქალაქენი სახლობენ, ყოფილი მეპატრონის პრეტენზია კანონით უნდა იკრძალებოდეს.

თამაზ ცინცაძე,

პარლამენტის ფრაქცია „სამართლიანობის" თავმჯდომარე, დეპუტატი ხელვაჩაურის რაიონიდან.

პრობლემა, რომელიც უნდა გადაწყდეს

გვჭირდება მარეგულირებელი სამსახურები

მეურნეობის მართვის ერთი ეკონომიკური სისტემიდან მეორე ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა რთული პროცესია და მძიმე გარდამავალი პერიოდის გავლას მოითხოვს. ჩვენს პირობებში ეს პროცესი უფრო გართულებულია, რადგან რადიკალურ ეკონომიკურ რეფორმას პრაქტიკულად დაემთხვა არსებული პოლიტიკური სისტემის რეფორმა, შინააშლილობა და ომები.

ბევრ ეკონომისტს მიაჩნია, რომ საბაზრო ეკონომიკა და საბაზრო ურთიერთობანი თვითრეგულირებადი უნდა იყოს. ისინი მთლიანად გამორიცხავენ მეურნეობის განვითარებაში სახელმწიფო რეგულირებას, რაც ჩვენი აზრით, სწორი არ უნდა იყოს. მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ მეურნეობის განვითარების სახელმწიფო რეგულირება ამა თუ იმ ზომით აუცილებელია ნებისმიერი ცივილიზებულ ქვეყნისათვის. მან უნდა უზრუნველყოს როგორც პროდუქციის მწარმოებლის, ასევე მომხმარებლების ინტერესების დაცვა-შეთანაწყობა, ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის კეთილსაიმედო ეკონომიკური და სოციალური პირობების შექმნა, (ეფექტიანობა, სამართლიანობა და სტაბილურობა) ბუნებრივი, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული დანერგვა. ამასთან, ფრიად მნიშვნელოვანია ქვეყანაში ეკოლოგიური სიტუაციის კონტროლი და სხვა ის ამოცანები, რომელთა რეალიზაცია საბოლოო ანგარიშით საბაზრო ეკონომიკის ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზმის ცხოველმყოფლობას უზრუნველყოფენ.

ბაზრის თვითრეგულირებადობა ნიშნავს გარედან ჩარევის გარეშე პროდუქციის და მომსახურების მოთხოვნა-მიწოდების ისეთ თანაფარდობას, როცა ბაზარი დროის ნებისმიერ მონაკვეთში წონასწორობადია.

ეს შეიძლება დასაშვებიც იყოს იდეალურ პირობებში, მაგრამ ცხოვრებისეული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნა-მოწოდების თანაფარდობა იოლად ირღვევა მრავალი ფაქტორის ზეგავლენით (კარგი ან პირიქით, მოუსავლიანი წლები; ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ა. შ.), რის გამოც ბაზარზე ფასები მკვეთრად მერყეობს.

ამ შემთხვევაში ფასი, როგორც წარმოების ერთგვარი სტიმულატორი, ველარ ასრულებს მასზე დაკისრებულ როლს, რადგანაც პროდუქციის მწარმოებლები კარგავენ ორიენტაციას, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ფასები ერთსა და იმავე პროდუქციაზე იცვლება ხშირად და თანაც დიდი ამპლიტუდით.

როგორ შევინარჩუნოთ ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა წონასწორობაში (თანაც ჩვენს ბაზარზე, სადაც ძირითადი მომწოდებლები წვრილი მესაკუთრენი არიან) და როგორ მივანიჭოთ ფასების ფაქტორს ისტორიული როლი? უფრო ზუსტად თუ ვიტყვით — როგორ ჩამოვაყალიბოთ ბაზარზე ის სტაბილური ფასი, რომელიც მწარმოებელს წარმოების გადიდებისაკენ უბიძგებს და ამავე დროს დაიცავს მომხმარებლის ინტერესებსაც?

ამ ამოცანას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად წყვეტენ, მაგრამ ყველგან, როგორც წესი, იქმნება სახელმწიფო მარეგულირებელი სტრუქტურები, რომლებიც ზოგ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის, ზოგან კი ფინანსთა, საგარეო ვაჭრობის ან სხვა სამინისტროს დაქვემდებარებაშია. ეს სტრუქტურები ადმინისტრაციულ-კომერციული ხასიათის ორგანიზაციებია, რამდენადაც იყენებენ რეგულირების როგორც ადმინისტრაციულ მეთოდებს, ასევე კომერციულ ბერკეტებსაც. ასეთი სამსახურები აქვთ, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებს, საფრანგეთს, ავსტრიას, ახალ ზელანდიას, ალჟირს, პოლონეთს და სხვა ქვეყნებს.

რა ფუნქციებს ასრულებენ ეს სამსახურები? როგორც ვთქვით, ისინი არეგულირებენ ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობას იმდაგვარად, რომ ეს უკანასკნელი ყოველ მომენტში წონასწორობასთან ახლოს იყოს. კერძოდ, როცა ბაზარზე პროდუქციის მიწოდება არასაკმარისია, აღნიშნულ სამსახურს შეუძლია გავლენა მოახდინოს ადგილობრივი წარმოების სტიმულირებაზე მწარმოებელთა ფინანსური დაინტერესების გზით ან გაადიდოს ამ პროდუქტის იმპორტი იმ ფარგლებში, რაც მიწოდებას შეუსაბამებს მოთხოვნას. იმ შემთხვევაში, როცა მიწოდება აღემატება მოთხოვნას და ფასები შეიძლება ამ პროდუქტზე მინიმუმამდე დაეცეს (რაც მომავალში ინტერესს უკარგავს მწარმოებელს) სახელმწიფო მარეგულირებელ სამსახურს შეუძლია ეკონომიკური ბერკეტებით ადგილობრივი წარმოება გარკვეულად შეზღუდოს ან თვითონ გამოვიდეს ბაზარზე, როგორც მყიდველი, შეიძინოს საქონლის მსხვილი პარტიები გარკვეული პერიოდით (შენახვის ან ექსპორტის მიზნით), დაარეგულიროს საბაჟო გადასახადები იმპორტულ პროდუქციაზე იმგვარად, რომ დაიცვას ეროვნული ბაზარი და ა. შ.

ამრიგად, საბაზრო მექანიზმი განსაზღვრავს ფასებსა და წარმოებას მრავალ სფეროში მაშინ, როდესაც სახელმწიფო აწესრიგებს ბაზარს დაბეგვრის, ხარჯების, რეგულირების საშუალებებით. ორივე მხარე — ბაზარი და სახელმწიფო არსებითია. ეკონომიკის მართვა ერთის ან მეორის გარეშე იგივეა, რაც ტაშის დაკვრა ერთი ხელით. ე. ი. საქმე გვაქვს „შერეულ ეკონომიკასთან", სადაც კერძო და საზოგადოებრივი ინსტიტუტები ახორციელებენ ეკონომიკურ კონტროლს: კერძო სისტემა — უხილავი წარმმართველი საბაზრო მექანიზმების საშუალებებით, საზოგადოებრივი სამსახურები — ადმინისტრაციული რეგულირებით და საგადასახადო სტიმულებით..

ამ სამსახურებს შეუძლიათ ასევე იმოქმედონ ბაზარზე მოთხოვნის დასარეგულირებლად (თუმცა ამ უკანასკნელის მართვა მიწოდებასთან შედარებით უფრო რთულია). კერძოდ, როცა ბაზარზე ამა თუ იმ პროდუქტისადმი მოთხოვნილება არა საკმარისია, შეუძლია მისი გაძლიერება და პირიქით.

როგორც ხედავთ, სამსახურს აქვს მოთხოვნამიწოდების თანაფარდობის გაწონასწორების საშუალებები. იგი ბაზარზე აყალიბებს ფასების ისეთ დონეს, რომელიც მისაღებია როგორც მწარმოებლისათვის (პროდუქციის აღწარმოებისათვის), ასევე მომხმარებლისათვის (მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მისთვის მისაღებ ფასებში).

მაგრამ ბაზარზე წონასწორობის მისაღწევად სახელმწიფო მარეგულირებელ სამსახურებს რა თქმა უნდა, უნდა ჰქონდეთ მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები. ისინი ამ თანხებს გამოიყენებენ როგორც წარმოების ადგილობრივი რესურსების გადიდების სტიმულირებისათვის (მწარმოებლებისათვის სესხების ან დახმარების მისაცემად, ტექნიკურ-ტექნოლოგიური სიახლეების დასანერგად), ისე ბაზარზე პირდაპირი ოპერაციებისათვის. ფინანსური საშუალებების წყაროდ გამოიყენება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები, ასევე ანარიცხები მსხვილი მწარმოებლების სამეურნეო საქმიანობიდან.

მსოფლიოს რიგ ქვეყნებში სახელმწიფო მარეგულირებელი სამსახურები დასპეციალებულია ერთი გარკვეული პროდუქტის ან პროდუქტთა ჯგუფის დარგში, მაგრამ არიან ისეთი ქვეყნებიც, სადაც ეს სამსახურები პრაქტიკულად ყველა პროდუქციას მოიცავენ (ეს დამოკიდებულია ქვეყნის სიდიდეზე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების დონეზე, პროდუქციის ექსპორტ-იმპორტზე და ა. შ.).

სახელმწიფო მარეგულირებელი სამსახურის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას პროდუქციაზე სეზონური ფასების დადგენა წარმოადგენს. შეთანხმება სეზონური ფასების შესახებ ორ ურთიერთსაპირისპირო მხარეს (მწარმოებელი და მომხმარებელი) შორის კონსენსუსის დონეზე უნდა მოხდეს. ისინი ერთნაირი უნდა იყოს მთელ ტერიტორიაზე, როგორი ჭარბი ან დეფიციტურიც არ უნდა იყვეს ესა თუ ის პროდუქცია ამა თუ იმ რეგიონში. სეზონური ფასები გამორიცხავს საბირჟო ფასებს, პროდუქციის შეძენა ხდება უშუალოდ მწარმოებლისგან წინასწარ დაფიქსირებული ფასით.

იმ ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც სახელმწიფო მარეგულირებელი სამსახურები ჭარბწარმოების პირობებში მუშაობენ, ჩვენს ქვეყანაში მათ ფუნქციონირება ძირითადად დეფიციტის პირობებში მოუწევთ. ამიტომ მათ ამოცანებიც განსხვავებული ექნებათ. კერძოდ, რესპუბლიკაში შექმნილი მარეგულირებელი სამსახურის ძირითადი ამოცანა იქნება: განსაზღვროს რესპუბლიკაში წარმოებული საქონლის მოსალოდნელი რესურსები დროის ამა თუ იმ პერიოდისათვის, შეაფასოს (შეისწავლოს) მოსახლეობის მოთხოვნილება ამა თუ იმ პროდუქტზე, ბალანსური გაანგარიშების საფუძველზე დაადგინოს წინასწარ იმპორტის მოცულობა (ჰუმანიტარული დახმარების ჩათვლით), რომელიც საჭირო იქნება ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების რაოდენობრივი თანაფარდობის შენარჩუნებისათვის.

საყურადღებოა რომ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ტექნიკური დახმარების კომისიის ექსპერტებმა სახელმწიფოს მარეგულირებელი სამსახურების ფორმირების აუცილებლობა ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ორი წლის წინათ პურპროდუქტების და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება-რეალიზაციაში დაინახეს და ამ ორი მონოპოლიური სამსახურის (პურპროდუქტების და ხორცისა და რძის მრეწველობის) შესაბამის სახელმწიფო მარეგულირებელ სამსახურებად გარდაქმნა შემოგვთავაზეს.

მათი უმთავრესი ამოცანა საწყის ეტაპზე იქნებოდა: ჰუმანიტარული დახმარების სახით შემოსული რესურსების მიღება-დაბინავება, ტრანსპორტირება, მარაგების შექმნა და განაწილება გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებში. პრაქტიკულად უფასოდ მიღებული რესურსების რეალიზაცია მომხმარებლებზე მსოფლიო ბაზრის ფასებთან მიახლოებულ ფასებში, ამონაგები თანხების აკუმულირება და მართვა იმგვარად, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მსოფლიო ბაზარზე საქონლის ან ნედლეულის ახალი პარტიების შესყიდვა მოსახლეობისათვის და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებისათვის, აგრეთვე ადგილობრივი წარმოების აღორძინებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ზემოთ აღწერილი სახელმწიფო მარეგულირებელი სამსახურები ის ორგანიზმები იქნებოდნენ, რომლებიც ერთმანეთთან დააკავშირებდნენ მწარმოებლებს, შუამავალ ვაჭრებს, პროდუქციის გადამამუშავებლებს და მომხმარებლის ინტერესებს. ისინი სახელმწიფოს მეთვალყურეობის (არბიტრაჟის) ქვეშ გააკონტროლებდნენ პროდუქციის იმპორტს (როგორც საერთოდ, ისე ჰუმანიტარული სახით შემოსულს), რეგულირებას გაუკეთებდნენ პროდუქციის წარმოებას და მოხმარებას. ამ მიზნით აღნიშნულ სამსახურებს უნდა ჰქონოდათ სათანადო საკანონმდებლო ბაზა, რომლითაც განისაზღვრებოდა მათი იურიდიულ-ორგანიზაციული სტატუსი, ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები და ამოცანები, რაც დღემდე სამწუხაროდ არ გაკეთდა.

დღეს, როგორც ცნობილია, რესპუბლიკაში აქტიურად განიხილება პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის სახელმწიფო კორპორაციის დემონოპოლიზაციის და პრივატიზების საკითხი. მსოფლიო ბანკის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული პროექტით შემოთავაზებული სტრატეგია ითვალისწინებს სისტემის სრულ ლიბერალიზაციას, პურზე ფასების გათავისუფლებას და ნორმირების სისტემის გაუქმებას. მიგვაჩნია, რომ ძირითადად შემოთავაზებული სტრატეგია მხარდასაჭერია, მაგრამ ჩვენი აზრით ის მაინც საჭიროებს ცალკეული კორექტივების შეტანას. კერძოდ უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში დღეს პურით გარანტირებული უზრუნველყოფის საქმე თავისი მნიშვნელობით ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სუვერენიტეტის შენარჩუნებას უთანაბრდება.

უპირველესად გასათვალისწინებელია ის, რომ ქვეყანაში (მოშლილი ეკონომიკური და სამეურნეო კავშირების გამო), როგორც სახელმწიფო ისე პრივატიზებული საწარმოები, დაბალი ეფექტურობით, სიმძლავრეთა გამოყენების მინიმუმის ზღვარზე ფუნქციონირებენ. ასეთ ვითარებაში სისტემის სრული დემონოპოლიზაცია და სახელმწიფოს მხრიდან პასუხისმგებლობის მოხსნა პურით მოსახლეობის მომარაგებაზე, მათ მუშაობას კიდევ უფრო გაართულებს. ვფიქრობთ, სისტემის სრული დემონოპოლიზაცია უნდა მოხდეს არა ერთბაშად, როგორც ამას მსოფლიო ბანკის ექსპერტები გვთავაზობენ, არამედ ეტაპობრივად, სისტემაში შემავალი საწარმოების მნიშვნელობის, საწარმოო სიმძლავრეების, ტექნიკური მდგომარეობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

მიუღებლად გვეჩვენება ასევე შემოთავაზებული წინადადება პურზე ფასების ყოველგვარი კონტროლის მოხსნის შესახებ, რადგანაც მას დღეისათვის მოსახლეობის 80 პროცენტი შეუძლია გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენოს.

მსოფლიო ბანკის ექსპერტები ემხრობიან რა პურპროდუქტების სისტემის სრულ დემონოპოლიზაციას, ამავე დროს გვთავაზობენ მის ბაზაზე სავაჭრო კორპორაციის შექმნას, რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება არა ხორბლის, არამედ მხოლოდ სურსათის შემოტანა და რეალიზაცია.

ჩვენი აზრით, რესპუბლიკაში არსებული მარცვლეულისა და პურპროდუქტების წარმოების პრობლემის გადაწყვეტა ობიექტურად მოითხოვს პურპროდუქტების კორპორაციის ბაზაზე არა სავაჭრო კორპორაციის ჩამოყალიბებას, არამედ პურპროდუქტების კორპორაციის მარცვლეულის წარმოება-გადამუშავების და რეალიზაციის სახელმწიფო მარეგულირებელ სამსახურად გარდაქმნას..

ეს განსაკუთრებით ხელსაყრელია დღეს, როცა რესპუბლიკაში კვლავაც გრძელდება ჰუმანიტარული დახმარებით ხორბლის, ფქვილის და სხვა სასურსათო პროდუქტების შემოზიდვა, რომლის რაციონალური გამოყენებით შესაძლებელია არა მარტო შემდგომი სასაქონლო პარტიებისათვის საბრუნავი ფულადი სახსრების შექმნა, არამედ ბაზარზე ამ პროდუქციის მოთხოვნამიწოდებაში სასურველი თანაფარდობის ჩამოყალიბება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება პურზე ფასების გათავისუფლება.

პურპროდუქტების კორპორაციის ბაზაზე მარცვლეულის წარმოებაგადამუშავების და რეალიზაციის სახელმწიფო მარეგულირებელი სამსახურის შექმნას წინ უნდა უსწრებდეს სისტემის შემადგენლობიდან ისეთი საწარმოების გამოყოფა და პრივატიზება, რომლებსაც საერთოდ არ აქვთ კავშირი პურით მოსახლეობის მომარაგების საქმესთან (მეფრინველეობის დარგი). პირველ ეტაპზე შესაძლებელია მოხდეს ასევე დაბალი სიმძლავრეების მქონე წისქვილკომბინატების, პურის საცხობების და სხვა საწარმოთა გამოყოფა და პრივატიზებაც, რათა შეიქმნას კონკურენტული გარემო რესპუბლიკაში ხორბლისა და ფქვილის შემოტანის, გადამუშავებისა და რეალიზაციისათვის.

პაატა კოღუაშვილი,

სახელმწიფოს მეთაურის წარმომადგენელი აგრარულ კომპლექსში.

რუსეთის პრესის სარკეში

ЕЖЕНЕДЕЛЬНАЯ ГАЗЕТА

პოლიტიკა როგორც ძალოსნობის ხელოვნება

ერთგვარი დუმილის შემდეგ, ჩვენდა სასიამოვნოდ თუ ჩვენდა სამწუხაროდ, რაც უფრო ხშირად ხდება ხოლმე, მოსკოვის გაზეთებმა კვლავ გააჩაღეს პაექრობა, თუ ვინ ვის აჯობებს „საქართველოს თემის" მიმართ ყურადღების მხრივ.

მკითხველმა ჩვენი პრესის ცნობებით უკვე იცის, რომ ბორის პასტუხოვი საბოლოოდ გადაბარგდა სხვა წონითს კატეგორიაში, როგორც იქნა, მან საქვეყნოდ აღიარა, რომ **„სწორედ აფხაზეთში მიიღეს პირველი საბრძოლო ნათლობა ჩეჩენმა ბოევიკებმა"**, რომ **„ვერც რუსეთი და ვერც გაერო, რომლებიც მხარს უჭერენ საერთაშორისო გაერთიანებისათვის ფუძემდებელი პრინციპის უცილობელ დაცვას, ვერ დაეთანხმებიან აფხაზეთის კონფედერაცისტულ პრეტენზიებს"**.

საქართველოს მხარე არ წუდება პლაგიატზე — რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ეს მთელი ახალი არგუმენტები ხომ ჩვენი რეპერტუარიდან არის აღებული, მაგრამ, როგორც იტყვიან, უმჯობესია გვიან, ვიდრე არასდროს. კარგი იქნებოდა, აგრეთვე რუსეთის დიპლომატია „აფხაზეთის" წონას აკვრით და ატაცით კი არა, არამედ აწევით იღებდეს.

კვლავინდებურად აცხადებს პრეტენზიებს საკუთარ რეკორდებზე **„პრავდა"**. იგი უკვე გაურბის აფხაზ „თავისუფლებისმოყვარეთა" რეჟიმის ქომაგებს. მაგრამ მაინც ვერ მოუთმინა სულმა, კვანტი რომ არ დაედო თანამემამულე მშვიდობისმყოფელებისათვის ყველაზე გადამწყვეტ მომენტში, თანაც, ეს გააკეთა ნოდარ ნათაძისა და ირაკლი წერეთლის ხელით, რომელთა ამ მისიასთან დამოკიდებულება ამჯერად პრავდელებისას დაემთხვა. მაგრამ, გაზეთმა აშკარად ვერ გაართვა თავი უკანასკნელ ცდას დაემტკიცებინა, რომ გალში ქართველები თვითონვე სპობენ საკუთარ თავს და, ამასთანავე, ესაყვედურა შევარდნაძისათვის, რომ იგი **„უგულვებელყოფს აშკარა ფაქტს, რომ ყველა დანაშაული ქართველ ტერორისტთა მიერ არის ჩადენილი"**. პრესის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რუსეთში დღეს ამგვარი ხრიკები აღარ სარგებლობენ მკითხველთა დიდი მოწონებით.

რაც შეეხება **„მოსკოვსკიე ნოვოსტი"**, მას მიაჩნია, რომ საკმარისია მხოლოდ **„შეარიგო საქართველო და აფხაზეთი"**, და ამის შემდეგ ჩვენში მოზღვავდება ნავთობდოლარების ნაკადი. ყოველ შემთხვევაში, ყოველკვირეულის კორესპონდენტის აზრით, აზერბაიჯანის ნავთობის კომპანიის ხელმძღვანელის, საერთაშორისო ნავთობის კონსორციუმის პრეზიდენტისა და საქართველოს ხელმძღვანელობის მოლაპარაკება გვაძლევს საფუძველს მივიჩნიოთ, რომ საქართველოს გავლით ნავთობის ტრანზიტი რეალურია, ოღონდ — „შერიგდნენ".

„იზვესტია" იუწყებოდა, რომ **„ნალჩიკი და სოხუმი რუსეთის ფედერაციას გაძლებაზე ცდიან"**. კორესპონდენციაში ასეთი სათაურით გამოითქვა ვარაუდი, რომ **ყაბარდო-ბალყარეთის და აფხაზეთის სეპარატისტული დამოკიდებულება დაამძიმებს ტონს მოსკოვისა და სოხუმის საუბრებში, ვინაიდან ასეთი შეთანხმება არღვევს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციას. გარდა ამისა, არცერთი მხარე არ არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და, მაშასადამე, ვერ დადებს საერთაშორისო შეთანხმებებს. საერთოდ კი „არძინბა სულ უფრო საჩოთირო პარტნიორი ხდება მოლაპარაკებაზე"**. ანდა, უბრალოდ რომ ვთქვათ, მან უკვე ყველას მობეზრა თავი.

ამასობაში კი ყოფილი კავშირის უკიდეგანო სივრცეებში სულ უფრო დაძაბულად და წინააღმდეგობრივად განიხილავს პრესა თანამეგობრობის ირგვლივ შექმნილ ვითარებას. 26 მაისს მინსკში გამართული სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრის შედეგები ჩვენ უკვე ვიცით. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მიიღეს და დაამტკიცეს საქართველოს პოზიცია. რაც შეეხება ლუკაშენკოს, თურმე იგი ოპტიმიზმით არის აღსავსე არა იმიტომ, რომ შესაძლებლობა ჰქონდა გადაეკოცნა ყველა თავისი კოლეგა, არამედ უწინარესად იმიტომ, რომ ბელორუსიამ აშკარად ჩაიკრა გულში რუსეთი, და ეს რომანტიკული შემართება, როგორც ჩანს, დააფასა.

ძნელია ითქვას, არის თუ არა ასეთი განახლებული სიყვარული სხვებისთვის მისაბაძი მაგალითი, თუ ეს მხოლოდ „სლავების ქორწინებაა". მაგრამ ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე მინსკის შეხვედრამდე **„ფინანსოვიე იზვესტიამ"** მოულოდნელად ულალატა თავის დარგობრივ ინტერესებს და შეიჭრა პოსტსაბჭოური პოლიტიკის ყველაზე მტკივნეულ წერტილში: თუ თანამეგობრობა იცოცხლებს, მაშინ **„რუსეთი შეინარჩუნებსო თავისი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური პასუხისმგებლობის ზონას რეგიონში. ეს კი, თუ რეალისტები ვიქნებით, მოითხოვს რუსეთის პოლიტიკური დომინირების შენარჩუნებას"**. და აქ კვლავ დგება ოდინდელი საკითხი: ეკონომიკა პოლიტიკისათვის, თუ პოლიტიკა ეკონომიკისათვის. მაგრამ, როგორც ვიცით, ამ საკითხზე პასუხი ჯერ არა გვაქვს.

თანამეგობრობაში ძალების ბალანსის მიუხედავად, ჩვენ არ შეიძლება არ გვაინტერესებდეს, თუ როგორ ეჭიდებიან ერთმანეთს რუსეთის პოლიტიკოსები საკუთარ ფიცარნაგზე.

„პრავდას" დაგეგმილი აქვს გამოაქვეყნოს პასუხების მთელი სერია იმ კითხვაზე, თუ როგორ უყურებენ პოლიტიკური ლიდერები თანამედროვე წინასაარჩევნო კამპანიას, და პირველს აძლევენ სიტყვას ს. ბაბურინს, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი სულაც არ არის არჩევნებში ა. რუცკოისა და ვ. ჟირინოვსკის შანსების გაზრდის მომხრე.

ვლადივოსტოკში გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ს. გოვორუხინმა განაცხადა, რომ თუ ძალაუფლებას აიღებს ხელში, **მისი პარტია მოქმედებას დაიწყებს არადემოკრატიული მოქმედებით. თავისი განცხადება მან იმით ახსნა, რომ ეკონომიკური ანარქიისა და კრიმინალური თავაშვებულობის ქაოსიდან ქვეყნის აღდგენა მოითხოვს საგანგებო ღონისძიებებს, რომლებსაც ცოტა რამ აქვთ საერთო დემოკრატიასა და ლიბერალიზმთან"**.

რა დგას საინფორმაციო სამმართველოსა და პრეზიდენტის პრესსამსახურს მიღმა, ამას განმარტავს „კომერსანტ-დეილი": „თავდაპირველად იყო სიტყვა, მერე კი ბრძოლა ამ სიტყვისათვის".

„ნეზავისიმაია გაზეტა" აქვეყნებს „პრეზიდენტის ადმინისტრაციის წიაღში შობილ" დოკუმენტს საარჩევნო კამპანიის მომზადების წინ, რომელსაც ისეთ კვალიფიკაციას აძლევს, როგორც „რუსეთის ნომერ 6 პალატის ექიმთა ჩანაწერებს".

როდესაც პუბლიკაციების ტონალობაზე ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მთავრობის მოქმედების მიმართ კრიტიკულად განწყობილნი მთელ რისხვას ატეხენ თავს ახლად შექმნილ მემარჯვენე ცენტრისტულ მოძრაობას „ჩვენი სახლი რუსეთია", რომელშიც ხედავენ თავისებურ „ყოველთა მიზეზთა მიზეზს".

ჩვენმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გვარიანად გათათხეს ჩერნომირდინის ბლოკი „ჩვენი სახლი რუსეთია", „აქაოდა, ეს ყველაზე მდიდარი ბიუროკრატების პარტიაა, რომელიც სკკპ საუკეთესო ტრადიციების შესაბამისად შეიქმნაო", წერს ყოველკვირეული **„კრესტიანსკაია როსია"**. „მერედა რა, — განაგრძობს იგი, — თუ ეს მდიდარი ადამიანების პარტიაა. უბედურება ის არის, რომ იგი გულარხეინობამ და თვითდამშვიდებამ მოიცვა".

„ფინანსოვიე იზვესტიის" ეკონომიკური მიმომხილველი ე. ვასილჩუკი ერთობ პირქუშად უყურებს რუსეთში სტაბილიზაციის ნიშნებს. ისინი „უფრო მეტ შეშფოთებას იწვევენ, ვიდრე იმედებს". შეშფოთების მიზეზი ის არის, რომ სულ უფრო ჩქარდება წარმოების, განსაკუთრებით სამომხმარებლო საქონლის წარმოების დაქვეითება, აგრეთვე გრძელდება დესტაბილიზაცია სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში. გარდა ამისა, ხაზს უსვამს იგი, რუსეთის 44 მილიონი მცხოვრებლის შემოსავალი, ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე, საცხოვრებელ მინიმუმზე ნაკლები იყო.

მაგრამ მაინც არის „მთავარი იმედი" — დიდი რუსი პოლიტიკური მძიმეწონოსანი ჟირინოვსკი, რომელიც არ იზიარებს არავის ეჭვებს და დარწმუნებულია რეფორმების წარმატებაში. მან პირდაპირ და გულდაჯერებით განუცხადა ჟურნალისტებს: „მე წამოვაყენებ ფეხზე დაჩოქილ რუსეთსო".

როდის და როგორ აპირებს იგი ამის გაკეთებას, ჯერჯერობით კაცმა არ იცის. მაგრამ ამას თუ იზამს, აფერუმ, მაშინ მართლა შეიძლება ჩაითვალოს იგი ყველა დროის მსოფლიო ჩემპიონად ძალოსნობაში.

იური ბოსლეშვილი.

ჩვენ სტუმრები არა ვართ, საკუთარ სახლში ჩამოვედით

როგორც ცნობილია, საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული გაერთიანებული ძალების შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე გენერალი ჯონ მალხაზ შალიკაშვილი და მისი ძმა ოთარ შალიკაშვილი, მეუღლეებთან ერთად. ვიზიტმა, ცხადია, ცხოველი ინტერესი გამოიწვია და საინფორმაციო საშუალებებმა დიდი ყურადღება გამოიჩინეს ამ ფაქტის გამო. გთავაზობთ სპეციალურად ჩვენი გაზეთისთვის მომზადებულ რეპორტაჟს ძმების სტუმრობის შესახებ, რომლის ავტორია ჟურნალისტი მერაბ ბერაძე.

მსოფლიოს პირველი გენერლის, სახელგანთქმული ჯონ მალხაზ შალიკაშვილის და მისი ძმის, არანაკლებ წარჩინებული სამხედრო პირის, ოთარ შალიკაშვილის საქართველოში ვიზიტის პერიოდში წილად მხვდა ბედნიერება, საკმაო ხანი ვყოფილიყავი შალიკაშვილების გარემოცვაში, ბევრი რამ მენახა, ბევრ შეხვედრას დავსწრებოდი. როგორც ცნობილია, ამჯერად ძმები მეუღლეებთან ერთად იყვნენ ჩამოსულნი და აი, რა შევამჩნიე: სადაც კი ლამაზ, მომხიბვლელ, გამორჩეულსა და განსაკუთრებულს ნახავდნენ, იმ წუთში ბედნიერი ღიმილით გადახედავდნენ თავიანთ რჩეულ ქალბატონებს და აშკარად აგრძნობინებდნენ: ნახეთ, დარწმუნდით, როგორი დიდებული ერის შვილები ვართ, რა ხალხი, რა ბუნება, რა მუსიკა, რა ტრადიციები, რა სილამაზეა ირგვლივ. თუმცა, მეუღლეებსაც ზედმეტი მინიშნება არ სჭირდებოდათ: ისინი მშვენივრად გრძნობდნენ, თუ სად იყვნენ ჩამოსულები, როგორი საერთო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდნენ მათი ცხოვრების მეგზურები და რა განწყობით ხვდებოდა მათ დიდ-პატარა... ალავერდის დიდებულ ტაძარში კი, როცა საუბარი საქართველოს სისხლით დაწერილ ისტორიას შეეხო, აშკარად გამოჩნდა, რომ ჩვენი ტანჯული სამშობლოს მატიანე ყურმოკვრით კი არ აქვთ გაგებული და ზოგიერთ ჩვენგანზე უკეთაც იციან... კახეთში სტუმრობაზე ცალკე ვისაუბრებთ, ახლა კი ორიოდე სიტყვით, თბილისში გამართული შეხვედრების შესახებ.

როგორც გენერლებს და, საერთოდ, სამხედროებს სჩვევიათ, პირველი სამუშაო შეხვედრა დილაადრიან დაიწყო და სტუმრების პირველი ვიზიტიც საქართველოს თავდაცვის მინისტრთან ბატონ ვარდიკო ნადიბაიძესთან შედგა. ის, რაც მათ ცალკე, რომ იტყვიან, პირისპირ ილაპარაკეს, მე კი არა, საქართველოში და მსოფლიოში ალბათ ორმა-სამმა კაცმა თუ იცის. უმაღლესი ჩინის სამხედროები კარგა ხანს ბჭობდნენ განცალკევებით და, ეჭვგარეშეა, ჩვენი ქვეყნის სასიკეთო საქმეებს წყვეტდნენ. ხოლო ის, რაც შემდეგ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პასუხისმგებელ მუშაკებთან ითქვა, აქაც შემიძლია ხმამაღლა განვაცხადო: ბატონი ჯონ მალხაზ შალიკაშვილი იქ, შორეულ ამერიკაშიც ისევ ისეთი შემართებით და ერთგულებით ეწევა ქართულ ჭაპანს და ბევრს, ძალიან ბევრს ფიქრობს საქართველოზე. შესანიშნავად იცის გენერალმა, რომ მძიმე აღმართზე შემდგარ მის სათაყვანებელ სამშობლოს დიდი სიძნელეები აქვს დასაძლევი და ბევრს აკეთებს მათ გადასალახად. შეძლებით კი, არც გაგიკვირდებათ, ბევრი რამ შეუძლია მსოფლიოს პირველ გენერალს; როგორც თვითონ აღნიშნა, ყველგან, როცა კი საქართველოზეა ლაპარაკი, წელგამართულია, რადგან იცის, რომ მისი ტანჯული ქვეყანა სრულიად უსამართლოდაა დაჩაგრული. იმ მატერიალურ დახმარებაზე, რომელიც ბატონმა შალიკაშვილმა გაიღო ჩვენთვის, არაფერს ვამბობთ, რადგან, როგორც თვითონ ბრძანა, ამ მხრივ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. ერთს ვიტყვი მხოლოდ, უფრო სწორედ, მის ნათქვამს გავიმეორებ: თუკი საქართველო სერიოზულად აპირებს დამოუკიდებლობას, მას თავისი მასშტაბების შესაბამისად აუცილებლად უნდა ჰყავდეს ნაწრთობი და თანამედროვე ტიპის არმია, ამისთვის კი უპირველესად სათანადო სწავლა-განათლებაა საჭირო. ითქვა და ამ მხრივ პრაქტიკული ნაბიჯიც გადაიდგა: გენერლის ბრძანებით, ამერიკისა და ევროპის ქვეყნების სამხედრო სასწავლებლებსა და აკადემიებში უმოკლეს ხანში გაიგზავნებიან ქართველი ახალგაზრდები, რომელთაც შემდეგ ქვეყნის თავდაცვის საქმე ჩაბარდებათ. და აქვე: სადაც კი მის საუბარს დავესწარი, სადაც კი პოლიტიკაზე ითქვა სიტყვა, სადაც საქართველოს ხვალინდელ დღეზე გამახვილდა ყურადღება, ყველგან გენერალმა შალიკაშვილმა ხაზგასმით თქვა: მიუხედავად დიდი ტკივილისა, მიუხედავად რუსეთში მოქმედი რეაქციული ძალების მიერ მიღებული უსამართლო გადაწყვეტილებებისა, გირჩევთ, კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყაროთ რუსეთის პროგრესულ ძალებთან, დაგვერწმუნეთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხოლოდ მიესალმება ასეთ კავშირს. მაშინ უფრო აქტიურად დაგიდგებით მხარში. უფრო გაგვიადვილდება თქვენი დახმარებაო. ეს განსაკუთრებით იყო ხაზგასმული, როცა ამერიკელი სტუმრები საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ მიიღო და სადაც ჩვენი პარლამენტის ოპოზიციის წარმომადგენლებიც იყვნენ მოწვეულნი. ოპოზიციის რუსეთთან დამოკიდებულება კი ყველასათვის ცნობილია. რუსეთთან სასიკეთო ურთიერთობაზე ადრეც გვქონია საუბარი ბატონ მალხაზთან, მაგრამ ახლა ეს განსაკუთრებული ხაზგასმით ითქვა. ეს იყო მსოფლიო ელიტაში გასული, ამა ქვეყნის ძლიერთა ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენლის გულითადი რჩევა. რჩევა მსოფლიოს უპირველესი გენერლისა, რომელიც თავისი სამშობლოს სიყვარულის გამო გამოთქვა. ცხოვრებისგან დაბრძენებული, ბევრ საქმეში ჩახედული ჯონ მალხაზ შალიკაშვილის კონსულტაციას კი, ჩემი აზრით, უნდა მიაქციოს ადამიანმა ყურადღება. თანაც, ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რომ ამ და სხვა შემთხვევაში გენერალი მხოლოდ საკუთარ აზრს კი არ გამოთქვამს, არამედ იმ უზარმაზარი ქვეყნის უმაღლეს მოხელეთა განწყობას, რომლებიც დღეს მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს საჭესთან დგანან. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ჩვენც ხომ შესანიშნავად ვიცით, რომ მეზობელ ქვეყანას ვერავითარი სასწაული ვერ შეგვიცვლის. ამიტომ, რაც შეიძლება მეტი სასიკეთო უნდა ვეძებოთ რუსეთთან ურთიერთობაში და ეს კარგის მეტს არაფერს მოგვიტანს... ისე კი, დამიჯერეთ, ჩემით არაფერს ვამატებ, ყველაფერი ზუსტად ასე იყო ნათქვამი შალიკაშვილის მიერ. მადლობა ღმერთს, ყველაფერი დოკუმენტურადაა დაფიქსირებული...

სამწუხაროდ, დროის საოცარი დეფიციტის გამო, სამშობლოს ერთგულმა შვილებმა მხოლოდ ორ დღეს მოახერხეს საქართველოში დარჩენა და, ამდენად, ბევრ ადგილას, სადაც მათ გულით და სულით ელოდნენ, მისვლა-სტუმრობა ვერ შეძლეს... აი, კახეთში მამა-პაპის სახლ-კარის ნახვა კი, ეტყობა გულში ჰქონდათ ამოჭრილი და სამშაბათს, 23 მაისს ავტომანქანების დიდმა კოლონამ გურჯაან-თელავისკენ აიღო გეზი. წინაპართა მიწის შვილები სიმღერით, ცეკვით და საოცარი წითელი ვარდებით შეხვდნენ ამერიკელ სტუმრებს. თუმცა არა! ორივე ძმამ თითქმის ერთდროულად თქვა: ჩვენ სტუმრები არ ვართ, ჩვენ შინ, საკუთარ სახლში დავბრუნდითო. საუცხოოდ მოვლილ ეზო-კარში შალიკაშვილებსა და მათ თანმხლებ პირებს დიდებული სადილი და კონცერტი გაუმართეს. ქართული ცეკვითა და სიმღერით მოხიბლულმა საპატიო სტუმრებმა რამდენიმეჯერ ნომრის დამთავრება არ აცალეს ახლობლებს და ტაშით შეეგებნენ მათ. მადლობა კახეთს, მადლობა მის შვილებს, საოცარი გარჯისა და მონდომებისათვის, იმისათვის, რომ, საკუთარი უამრავი პრობლემის მიუხედავად, ასე სანაქებოდ მოუარეს სახელგანთქმული ძმების მამაპაპეულ კარმიდამოს და კიდევ ერთხელ შეახსენეს შალიკაშვილებს, რომ აქ, შორეულ საქართველოში, ახსოვთ მათი წინაპრები, რომ აქ ტრიალებს შალიკაშვილების გენი და გადაშენება არ უწერია მათ სახელოვან გვარს... ძმები განსაკუთრებით გაახარა ცნობამ იმის შესახებ, რომ მათი უცხოეთში დამარხული მამის ნეშტის გადმოსვენებაა დაგეგმილი და ამ დღეებისათვის სპეციალურად მოიწვევენ მათ ამერიკიდან... როგორც სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას გურჯაანის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარემ ნოდარ ფირანიშვილმა, გვითხრა, შალიკაშვილების სახლში დაგეგმილია მხედრული დიდების მუზეუმის გახსნა...

იყო საოცარი, როგორც თვითონ სტუმრებმა ბრძანეს, დაუვიწყარი შეხვედრები: თელავში დიდი ერეკლეს მუზეუმში, წინანდალში და, რაღა თქმა უნდა, გურჯაანში. ალავერდში კი, როგორც შესაძლებლობა მომეცა, ბატონ მალხაზ ჯონ შალიკაშვილისაგან, 3 წლის წინათ აღებული და შემდეგ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" დაბეჭდილი ინტერვიუ გადავეცი, რომლის სათაურიც ასეთი გახლავთ: „საქართველო ჩემთვის ყველაფერია".

გულით გაიხარა გენერალმა და თვითონ შემახსენა ჩემთვის და ალბათ სხვებისთვისაც მნიშვნელოვანი ამბავი: იმ პერიოდში, როცა აფხაზეთში ძალიან გაგვიჭირდა და საქართველოს ამ კუთხის დატოვებაზე მიდგა საქმე, მე მას ბრიუსელში წერილი გავუგზავნე, მაშინ ბატონი მალხაზი ნატოს ჯარების სარდალი იყო, მალე ბრიუსელიდან ორი დამაიმედებელი პასუხი მივიღე. — ვგრძნობ, მავანმა შეიძლება ხმამაღლა თქვას: მერე და რა. მოვიგეთ, აფხაზეთში, იქიდან ხომ სამარცხვინოდ გამოგვყარესო. არ ვიცი სხვას როგორ, მაგრამ მე ამ წუთას მიწასთან გასწორებული ჩეჩნეთის დედაქალაქი გროზნო და სხვა დასახლებები და სოფლები მახსენდება. ვინ იცის იქნებ უფრო ტრაგიკულიც ყოფილიყო იმ საშინელი ომის მასშტაბები?

სხვათა შორის იქ, გურჯაანისკენ მიმავალ გზაზე, ერთი საინტერესო ეპიზოდის მოწმე გავხდი და მართალი გითხრათ, კარგა ხანს ვფიქრობდი, მეთქვა ამის შესახებ ყველას გასაგონად თუ არა. შემდეგ მაინც გამხელა ვამჯობინე, რადგან იქ მოსმენილმა საუბარმა არა მარტო მე ჩამაფიქრა. ჰოდა, ერთ ადგილას დინჯი კაცები სახლის წინ დომინოს უხათქუნებდნენ. დემოკრატიისა თუ სხვა რამის გამო, მათთვის შენიშვნა არავის მიუცია, ან კაცმა რომ თქვას, ვის რა უფლება ჰქონდა? სანამ ძმები სოფლის ინტელიგენციას ესაუბრებოდნენ, ერთ-ერთმა იმ დომინოს მოთამაშეებიდან (რომელიც, ეტყობა, ბაიბურში არ იყო და არც მაინც და მაინც აინტერესებდა თუ ვის მასპინძლობდა იმ დღეს მისი კახეთი) ყასიდად მკითხა:

— ჯო, ერთი კარგად გამაგებინე, ვინ ჩამოვიდა?

ორიგინალური ჯეელი ჩანდა, ხათრი ვერ გავუტეხე და მოკლედ ვუთხარი, ესა და ეს პიროვნება, მსოფლიოს პირველი გენერალი-მეთქი. რასაკვირველია, ისიც დავამატე, გურჯაანელია და საქართველო ხატად მიაჩნია თქო..

— ჰო, ეგ ძალიან კარგია, მაგრამ დაგვეხმარება რამეს?

ამის თქმა იყო და, რომ იტყვიან, მართლაც ქორივით დააცხრა იქვე მდგარი მასზე ცოტა უფროსი, სარივით აწოწილი გლეხი.

— ჰო, მამა გიცხონდა, შენ აქ დილიდან საღამომდე დომინო უბრახუნე და შალიკაშვილი ამერიკიდან ჩამოვა, შენს მაგივრად აიღებს ხელში თოხს, ვენახს დაამუშავებს, ღვინოს დააყენებს და შენ დაგალევინებს! — მერე, ის გამხდარი მე მომიტრიალდა:

—თუ კაცი ხარ, უთხარი შალიკაშვილებსაც და სხვებსაც, ცოტა არ იყოს შეეშვან ამ დახმარებას, თორემ ჩვენი ხალხი სულ გაზარმაცდა და სხვისი ხელის შემყურე გახდა! — მერე დაამატა: ტაქტიანად აუხსენი, სტუმარია მაინც, არ ეწყინოსო! — გადავცემ მეთქი, შევპირდი და იმავე წუთში, დიდად სამარცხვინოდ და სამწუხაროდ, ჩვენი ერთ დროს საამაყო და ბარაქის მომტანი კახური ზვრები წარმომიდგა თვალწინ. ბალახმოდებული, მოუვლელობით დაჩაგრული და, ვფიქრობ, სირცხვილისაგან წელში მოხრილი, ტყუილს ვერ ვიტყვით, ყველგან მთელს კახეთში ასეა მეთქი, მაგრამ ის რაც არის, ჩვენი უბედურების ერთ-ერთი საგულისხმო ნიშანია, ჩვენი ეკონომიკის დამბლა და კიბოა და ამ ავადმყოფობას მალე უნდა ვუწამლოთ, თორემ არ არის გამორიცხული, რომ ქართული ღვინო და ვაზი მალე წითელ წიგნში დარჩეს შესატანი... აი, მაშინ კი მართლა ფურთხის ღირსი იქნება საქართველო და ამ სირცხვილს ველარასოდეს ჩამოვრეცხავთ!

ვიცი, არ გაგიკვირდებათ, რომ სტუმრებს ყოველი წუთი წინასწარ დაგეგმილი ჰქონდათ — ყველას უნდოდა მათთან ახლოს მისვლა, მოფერება და გულში ჩახუტება, საჩუქრებს კი ბოლო არ უჩანდა და ესეც განსაკუთრებულ ელფერს აძლევდა ზეიმს...

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, სახელგანთქმული გენერალი სასაუბროდ ვერ მოვიხელთე და რომ არა ბატონი ავთანდილ მარგიანი, ეტყობა, მასთან საუბარიც არ შედგებოდა. სიტყვამ მოიტანა და აქვე გეტყვით, რესპუბლიკის ვიცე პრემიერი იყო ყველა ამ ცერემონიალის თავკაცი, ხელისშემწყობი და დავალებასაც ფრიადზე გაართვა თავი... ბოლოს გადაწყდა, საუბარი ალავერდიდან წინანდლისკენ მიმავალ ავტობუსში შემდგარიყო... მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა ვუთხრა როგორც ამერიკულ, ისე ჩვენი უშიშროების სამსახურის თანამშრომლებს, რომელთაც, როგორც იტყვიან, თვალი დახუჭეს და საუბრის საშუალება მოგვცეს. ნუ გაგიკვირდებათ, მსოფლიოს პირველ გენერალს თავისი საიმედო დაცვა დაჰყვება, რომელიც პასუხისმგებელია მის ყოველ ნაბიჯზე. ისე კი ცნობისათვის გეტყვით: კატეგორიულად აკრძალულია ასეთი მაღალი თანამდებობის პირთან მოძრავ ავტობუსში ასე ახლოს ყოფნა და საუბარი.. ჰო, მართლა, სანამ ჩვენი გადამცემის ოპერატორი მიხეილ მერაბოვი მისთვის მოსახერხებელ ადგილს არჩევდა, მალხაზ შალიკაშვილმა თავისთვის ჩაილაპარაკა: კახეთო, ჩემო კახეთო! — ყურები ვცქვიტე და ვთხოვე, თუ შეიძლება ეგ მიკროფონში გვითხარით: მთელმა საქართველომ რომ გაიგოს მეთქი.. ღიმილით გააქნია თავი გენერალმა. ეტყობა, თავისი ინგლისური აქცენტის მოერიდა და ჩვენი საუბარი სახელმწიფო მეთაურის მრჩევლის კახა ქენქაძის დახმარებით გაიმართა:

მ. ბ. — ზუსტად სამი წელი გავიდა ბატონო მალხაზ, თქვენი პირველი ვიზიტიდან საქართველოში. მე ჩემსას გეტყვით, მთლად ისეთი კარგი და მშვიდი, სამშობლო ვერ დაგახვედრეთ, მაგრამ იმასთან შედარებით რაც იყო, უდაოდ უკეთესია. გვიხარია თქვენი მორიგი ჩამოსვლა უკვე თქვენს ძმასთან და ოჯახობასთან ერთად და იმედს ვიტოვებთ, რომ ეს ვიზიტები უფრო რეგულარული გახდება.

მ. შ. — რაც შეეხება კარგი საქართველო ვერ დაგახვედრეთო, გეტყვით, პროგრესი არასოდეს არ არის იმდენად სწრაფი და ხელშესახები, როგორსაც ჩვენ ვისურვებდით... მაგრამ ადამიანისთვის, მით უმეტეს საქართველოს შვილებისთვის, რომელიც სამი წელია არ ყოფილა აქ, დადებითი ცვლილებები აშკარაა. ღმერთს ვთხოვ, რაც შეიძლება მალე გაიმართოს წელში ჩვენი ქვეყანა და ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქოს.

მ. ბ. — იქნებ ეს შედარებით მცირე ერის პრობლემა და სატკივარია, მაგრამ ამასაც ვერსად გავექცევით. საქართველოს მოსახლეობას დიახაც ძალიან აინტერესებს თავისი გამორჩეული შვილების ცხოვრება. რა შეიცვალა თქვენთან ისეთი, რის აღნიშვნაც ღირს?

მ. შ. — უპირველესად ის, რაც ალბათ თქვენც იცით. მე ვიყავი ევროპაში გაერთიანებული ჯარების მთავარსარდალი. ახლა კი შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე ვარ... სხვა მხრივ ვერაფერს გეტყვით. ცხოვრება, რომ იტყვიან, ჩვეული კალაპოტით მიედინება და მეც მივყვები მას.

მ. ბ. — ამ სამი წლის წინათ, თქვენთან პირველი ინტერვიუს შემდეგ, ერთმა კაცმა მითხრა: მე არ ვიცი, როგორი მებრძოლი და გენერალია მალხაზ შალიშაკვილი, მაგრამ ამხელა ამერიკაში გვარი რომ არ შეიცვალა, დიდებული ქართველი ყოფილაო.

მ. შ. — დიდი მადლობა, მაგრამ მე პირადად ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ. გვარის შეცვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ის კი არა, დარწმუნებული ვარ, მამაჩემს ამგვარი რამ რომ გაეგო, იმ ქვეყნიდან ნაღდად სილას გაგვილაწუნებდა და ღირსნიც ვიქნებოდით. ისე კი, ჩვენ, შალიკაშვილებს, განსაკუთრებით მოგვწონს ჩვენი გვარი და მისი ჟღერადობა.

მ. ბ. — ახლა მოდით, ჩვენთვის მეტად მტკივნეულ პრობლემას შევეხოთ. დამეთანხმებით, საშინელებაა როცა ხალხი ხედავს, რომ მართალია, ამას ადასტურებს, ნებისმიერ დონეზე ყველა ავტორიტეტული ორგანო, მაგრამ აფხაზეთის ღია ჭრილობიდან ისევ მოგედის სისხლი. მოხდა გაუგონარი ამბავი: თავისი მამა-პაპისეული მიწიდან აყარეს ათასობით, ვიმეორებ ათასობით ოჯახი, მოაწყეს საშინელი გენოციდი, ეთნიკური წმენდა, მოსახლეობის ჟლეტა და, მიუხედავად ამისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომლის უპირველესი მოვალეობა ამ დროს სამართლიანობის აღდგენაა, ვერაფერს ან არაფერს აკეთებს... ალბათ, არ არის შემთხვევითი, რომ მას „ქაღალდის ფაბრიკას" ეძახიან. სიტყვით და რეზოლუციებით კი, მაგრამ რეალური ასევე არაფერი კეთდება მსოფლიოშიც..

მ. შ. — გეთანხმებით, ამ მხრივ ბევრი რამ არის მოსაგვარებელი მაგრამ ვიმეორებ: ხშირად პროცესები ისე არ ვითარდება, როგორც ამას ვგეგმავთ ხოლმე. გაეროზე ლაპარაკი არ მინდა. ისე კი გეტყვით, 26 მაისს, მინსკში დაგეგმილია მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა, სადაც შეიკრიბებიან დსთს სახელმწიფოთა მეთაურები. იმედი მაქვს, რომ უპირველესად, გაგრძელდება სამშვიდობო ჯარების მანდატი აფხაზეთში. ამასთან, ისინი უკვე სხვა ფუნქციას შეიძენენ — ერთი სიტყვით, გააკეთებენ ყველაფერს, რათა აფხაზეთში აღდგენილი იქნეს ქართველთა უფლებები...

მ. ბ. — ბატონო მალხაზ, კარგა ხნის წინათ მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ფეხბურთში თამაში წააგო გერმანიასთან. შეჯიბრების შემდეგ წამოდგა თურმე შეწუხებული გულშემატკივარი და ხმამაღლა დაიძახა: Какая досада, елки зеленые. войну у немцем выиграли, а футбол проиграли. იქვე ქართველი იჯდა და იმან თურმე, ნიშნის მოგებით გასძახა: Тренер, был другой, дорогой, тренер! ხედავთ, ბატონო მალხაზ! ომი სტალინმა მოიგო, ხოლო ძეგლი გ. ჟუკოვს დაუდგეს... ნუთუ ასეთი მოკლე მეხსიერება აქვს კაცობრიობას?

მ. შ. — კორექტულად არ მიმაჩნია ჩემგან სტალინის როლის შეფასება და მისი ღვაწლის აღნიშვნა. ერთი რამ კი უდაოა: გვინდა თუ არა, მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, სტალინი მთელს მსოფლიოში რაღაც განსაკუთრებულს, ამაღლებულ პიროვნებას, წარმოადგენდა. ისე, კი, ჩემი რჩევა იქნება, რომ როგორმე თვით ქართველებმა იზრუნონ იმაზე, თუ როგორ მოიგონონ იგი და არ მისცენ დავიწყებას...

მ. ბ. — რამდენიმე სიტყვა ედუარდ შევარდნაძეზე...

მ. შ. — შევარდნაძე უდიდესი და გამორჩეული ლიდერია მსოფლიოში და ეს მარტო ჩემი აზრი არ გახლავთ. იგი დღეს ყველაზე დიდი იმედი და დასაყრდენია საქართველოსი. ცხადია, აქედან გამომდინარე მე მისი დიდი გულშემატკივარი ვარ. მიმაჩნია, რომ ამ მძიმე წუთებში ერთგულად უნდა დავუდგეთ მხარში და ერთად გავიტანოთ ლელო... ასე სჭირდება დღეს საქართველოს. ვიმეორებ, იგი განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანია და მას ხელშეწყობა სჭირდება...

მ. ბ. — ერთი „საიდუმლო" უნდა გავცე, ბატონო მალხაზ! ჩვენ რადგან ობოლი ერი ვართ, ხომ არ სჯობია, ომი გამოვუცხადოთ ამერიკას და იმავე წუთში ჩავბარდეთ ტყვედ?..

მ. შ. — ვერც წარმომიდგენია, რომ საქართველომ როდისმე შეძლოს ამის გაკეთება, ვიცი, რომ ეს ხუმრობაა, მაგრამ ისევ სჯობია, ომის გარეშე ვიმეგობროთ და ვითანამშრომლოთ...

მ. ბ. — თქვენ რამოდენიმეჯერ ბრძანეთ: საქართველოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს კარგი ურთიერთობა რუსეთთანო...

მ. შ. — რა თქმა უნდა. ეს რამოდენიმეჯერ აღვნიშნე და არა მარტო აქ, საქართველოში... რუსეთი მეტად ანგარიშგასაწევი ძალაა. მიმაჩნია, რომ მის პირველ პირებთან შეიძლება საერთო ენის გამონახვა. ეჭვგარეშეა, ყოველთვის იგებს ის ქვეყანა, რომელსაც კარგი მეზობლობა შეუძლია. ჩემი რჩევა იქნება, რომ მარტო ცუდს ნუ გაიხსენებთ! გახსოვდეთ, რომ ბევრი კარგიც იყო თქვენს შორის.. ვიცი, თქვენი დიდი გულისტკივილი. ვიცი, რომ ხშირად არ იყო მიღებული სწორი გადაწყვეტილებები, მაგრამ მოდით, ხვალინდელ დღეზე ვიფიქროთ. თქვენ აუცილებლად უნდა მონახოთ გასაღები რუსებთან. დამერწმუნეთ, სხვა ისე ვერავინ დაგეხმარებათ, როგორც ისინი. თქვენ დღეს ძალიან გაგიჭირდებათ დამოუკიდებლად ფეხზე წამოდგომა...

მ. ბ. — ერთ მშვენიერ დღეს ოქროს თევზი რომ დაიჭიროთ, რომელსაც თქვენი სამი სურვილის შესრულება შეეძლება, ძალიან მაინტერესებს, რას თხოვდით?

მ. შ. — მხოლოდ ერთი სათხოვარი მექნებოდა ამ ოქროს თევზთან. ჩემი თვალით მანახოს ძლიერი, თავისუფალი, აყვავებული საქართველო... განგებამ მოჰგვაროს მას მშვიდობა და სიმდიდრე, ბედნიერება და მზიანი დღეები. ღმერთმანი, ჩემი ტანჯული საქართველო ღირსია ყოველივე ამისა!

• • •

სიზმარივით გაიფრინა ორმა დაუვიწყარმა დღემ. უკან დარჩა საოცარი შეხვედრები. მოგონებების სკივრში კი ახალი პლასტები ჩაეწყო. ისინი, როგორც შალიკაშვილებმა ბრძანეს, სიცოცხლეს მატებენ თვითეულ მათგანს. ამჯერადაც საოცრად კმაყოფილებმა დატოვეს ძმებმა საქართველო. ამჯერადაც მომავლის რწმენით, სიყვარულით და სიკეთით შესვეს თავისი სამშობლოს სადღეგრძელო და შორეულ გზას გაუყვნენ. გაუყვნენ, რათა ახლო მომავალში კიდევ არაერთხელ ჩამოვიდნენ, შესაძლოა, უფრო დიდი ხნით და უკეთ გათბენ საქართველოს მადლიანი მზით და კიდევ უფრო გაიჟღინთონ ჩვენებური მიწის სურნელით. თქვენი გამარჯვებისა იყოს, ძმებო შალიკაშვილებო!

მერაბ ბერაძე.

24 მაისი, 1995 წელი.

სურათზე: ჯონ მალხაზ შალიკაშვილს ესაუბრება ჟურნალისტი მერაბ ბერაძე.

სერგო ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„უდიდესი იმედების პერიოდი"

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბილ კლინტონი სამხედრო-საჰაერო ძალების აკადემიის კურსდამთავრებულთა წინაშე გამოსვლისას (კოლორადოს შტატში) მიესალმა რუსეთის გადაწყვეტილებას, მონაწილეობა მიიღოს „მშვიდობისათვის პარტნიორობის" ნატოს პროგრამაში. პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს „შესაძლებელს გახდის შევქმნათ პირობები კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯის გადასადგმელად, რათა მომავალ საუკუნეში ევროპის კონტინენტი ცხოვრობდეს უშიშროების, სტაბილურობისა და ერთიანობის პირობებში". კლინტონის აზრით, მსოფლიოდან [illegible] გამქრალა საშიშროება და მუქარა, მაგრამ ახლა დადგა „უდიდესი იმედების პერიოდი".

ნატოს გენერალური მდივნის განცხადება

ნატოს გენერალური მდივანი ვილი კლასი მიესალმა რუსეთის გადაწყვეტილებას, ითანამშრომლოს ჩრდილოეთატლანტიკურ ალიანსთან „მშვიდობისათვის პარტნიორობის" პროგრამის ფარგლებში. ნატოს საბჭოს მაისის სესიაზე ნორდვეიკში (ნიდერლანდი) მან თქვა, რომ „ეს გადაწყვეტილება ადასტურებს ორივე მხარის დაინტერესებას, შეიქმნას ნდობის ატმოსფერო და საფუძველს უყრის ევროპის ახალი უშიშროების არქიტექტურის შექმნას". **ერთი დღით ადრე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრია კოზირევმა განაცხადა, რომ ძალაში შევიდა „რუსეთისა და ნატოს პარტნიორობის ინდივიდუალური პროგრამა" და მიღებულია დოკუმენტი რუსეთსა და ნატოს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის სფეროს გაფართოებისა და გაღრმავების შესახებ.**

რადიოსადგურ „თავისუფლების" ცნობით, ვილი კლასმა განაცხადა, რომ უკრაინის „მშვიდობისათვის პარტნიორობის" პროგრამაში შესვლასთან ერთად მასთანაც დაიდება ანალოგიური (მხედველობაში ჰყავდა რუსეთი) შეთანხმება, რომ უკრაინამ მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს ევროპის უშიშროების განმტკიცების საქმეში.

ურთიერთობა გამწვავდა

ოთხშაბათს უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ განაცხადა, რომ 28 ივნისს ჩატარდება სრულიად უკრაინის მოსახლეობის გამოკითხვა (პლებისციტი) პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოსადმი ნდობის საკითხზე.

სახელმწიფოს მეთაურმა თანამემამულეებისადმი სატელევიზიო მიმართვაში კვლავ დაადანაშაულა უკრაინის უზენაესი საბჭო იმაში, რომ წინააღმდეგობას უწევს პრეზიდენტს და მის გუნდს რეფორმების გატარებაში. უკრაინის უზენაესმა საბჭომ თავის მხრივ 340 ხმით 50-ის წინააღმდეგ გააუქმა პრეზიდენტის ეს ბრძანებულება. უფრო ადრე პარლამენტმა დაშალა მთავრობა. ახლა პრეზიდენტს მოსთხოვა დააკომპლექტოს ახალი მთავრობა და შეიმუშაოს წინადადებები ახალი კონსტიტუციის შესახებ. როგორც ცნობილია, პრეზიდენტი კუჩმა მოითხოვს მეტი უფლებამოსილებანი ჰქონდეს რეფორმების გატარებაში.

ვითარება უკიდურესად დაიძაბა

ბოსნიელი სერბების ლიდერებმა მძევლებად აყვანილი „თეთრი მუზარადების" 350-მდე ჯარისკაცის თაობაზე მიმართეს გაეროს, რომ მათი განთავისუფლებისათვის აუცილებელია ბოსნიაში „უშიშროების ზონების" დემილიტარიზაცია, გარანტია იმისა, რომ აღარ განმეორდება სერბების პოზიციებზე ნატოს ავიაციის რეიდები და მკაცრად იქნება დაცული ემბარგო კონფლიქტში მონაწილე მხარეებისათვის იარაღის მიწოდებაზე. გაეროს გენერალურმა მდივანმა მიიღო გადაწყვეტილება გაეროს მისია შეცვალოს „მრავალეროვნული ძალებით". საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ალენ ჟუპემ შაბათისათვის მოიწვია პარიზში ევროპის კავშირისა და ნატოს საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების შტაბების უფროსების შეხვედრა, რათა განიხილონ ყოფილ იუგოსლავიაში შექმნილი სიტუაცია. აშშ პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა გამოაცხადა მზადყოფნა გაგზავნოს კონფლიქტის ზონაში სახმელეთო ჯარები. პირველად ხდება, როცა აშშ ყოფილ იუგოსლავიაში კონფლიქტის ოთხი წლის მანძილზე აპირებს თავისი სახმელეთო ჯარების გამოყენებას.

მსოფლიო საზოგადოებრიობა აღაშფოთა ბოსნიელი სერბების ხელმძღვანელობის მოქმედებამ. მათ მოქმედებას აფასებენ, როგორც ტერორისტული ხასიათის მოქმედებას, მოითხოვენ დაუყოვნებლივი ზომების მიღებას მძევლების გასათავისუფლებლად, ამერიკის შეერთებული შტატების ავიამზიდი „თეოდორ რუზველტი" ამერიკის სხვა ხომალდებთან ერთად იუგოსლავიის ნაპირებისაკენ გაემართა. საფრანგეთმა იუგოსლავიის ნაპირებისაკენ გაგზავნა ავიამზიდი „ფოში", ინგლისელებმა დამატებითი კონტინგენტი გადაისროლეს ბოსნია-ჰერცოგოვინაში. ვითარება სულ უფრო იძაბება.

დუდაეველები მოლაპარაკებაზე უარს ამბობენ

საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ჩეჩნეთის სამხრეთში, მთისწინა რაიონებში გრძელდება მძიმე ბრძოლები ფედერალურ ჯარებსა და ჩეჩენ ბოევიკებს შორის. ავიაცია და არტილერია ბომბავს ბოევიკების თავმოყრის ადგილებს, მათ საბრძოლო ტექნიკას. ცხარე ბრძოლები მიმდინარეობს დასახლებული პუნქტების აგიშტის, გულუ-კერტის და სერჟენ-იურტის რაიონებში. რუსეთის ფედერალურმა ჯარებმა შექმნეს უხიფათო დერეფანი, რომლითაც ჩეჩენთა სოფლებს მშვიდობიან მოსახლეობას შეეძლება დატოვოს საომარი მოქმედების რაიონები. ამას წინათ ჩეჩნეთის მუსლიმანთა ლიდერებმა მოუწოდეს ჯოხარ დუდაევს შეწყვიტოს წინააღმდეგობა, დაყაროს იარაღი და მოლაპარაკების მაგიდას დაუბრუნდეს. როგორც რადიოსადგური „თავისუფლება" აცხადებს, თავის მხრივ საველე მეთაურებმა ჯოხარ დუდაევს ორი დღის ვადა მისცეს იმისათვის, რომ მიიღოს გადაწყვეტილება გადაიტანოს საომარი მოქმედება რუსეთის ტერიტორიაზე. ჩეჩნეთის წარმომადგენელმა გროზნოში — იუსტიციის მინისტრმა იმაევმა 25 მაისს გამართულ მოლაპარაკებაზე განაცხადა, რომ ჩეჩნეთი უარს ამბობს მოლაპარაკების განახლებაზე, (რომლის დაწყებას 10 ივნისისათვის ვარაუდობდნენ) იმის გამო, რომ რუსეთის მხარემ გააძლიერა საომარი მოქმედება და რომ გაეროს უშიშროების საბჭომ უნდა განიხილოს ჩეჩნეთში შექმნილი ვითარება.

რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატის — სახელმწიფო სათათბიროს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ვიქტორ ილიუხინმა გამორიცხა ჩეჩნეთის კონფლიქტის გადაქცევა ფართომასშტაბიან ომად, როგორც ამისაკენ დუდაევის მომხრეები მოუწოდებენ. ამასთანავე, იგი შესაძლებლად მიიჩნევს აფეთქებებს, ცეცხლის წაკიდებას და სხვა ტერორისტულ აქციებს ჩეჩენთა ბოევიკების მონაწილეობით რუსეთის ტერიტორიაზე, ილიუხინის აზრით, სამართალდამცავ ორგანოებს გააჩნიათ საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები ამგვარი დანაშაულებების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ირაკლი ჯაფარიძე.

მიწისძვრა სახალინზე

28 მაისს, ღამის პირველ საათზე კუნძულ სახალინზე, ნეფტეგორსკის რაიონში მოხდა მიწისძვრა, რომლის ძალამაც 7,6 ბალი შეადგინა.

ქალაქში დაინგრა 17 ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი, საქვაბე, მაღაზია, სასადილო, საშუალო სკოლა, დაღუპული და მიძიებულია 500-მდე გვამი, 2500 კაცი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. სულ ნეფტეგორსკში 3500 მოსახლე იყო, და არც არის იმედი, რომ ისინი ცოცხლები არიან. დაკარგულთა შორის 450 ბავშვია.

ასეთი მასშტაბის ნგრევა თვით სპიტაკშიც არ ყოფილაო, განაცხადა რუსეთის ჯანდაცვის მინისტრმა ედუარდ ნეჩაევმა. ამავე აზრს იზიარებენ იაპონელი სეისმოლოგებიც.

საგანგებო სიტუაციათა სამინისტრომ ჯანდაცვისა და სამედიცინო მრეწველობის სამინისტროსთან ერთად სახალინზე უკვე გადაგზავნა 7 ტონა მედიკამენტი.

ამგვარი მიწისძვრები შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ერთხელ რამდენიმე ათასი წლის მანძილზე. სპეციალისტების პროგნოზებით, ძლიერ მიწისძვრას სხვა რაიონში, კამჩატკაზე მოელოდნენ.

ნანა სულავა.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ვითხოვ სიტყვას

ხე ნაყოფისგან საცნაურ არს

პარლამენტარს ამომრჩეველი უკეთ უნდა იცნობდეს

აზრის სხვადასხვაობის ჭიდილში, პოლიტიკური დაპირისპირების ღუღილში ახლოვდება მომავალი არჩევნები, როგორი იქნება იგი — ხვალინდელი პარლამენტი — უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, რომელმაც რესპუბლიკა XXI საუკუნესთან უნდა მიაცილოს? მართალია, ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია პრობლემური კითხვა — რა პოლიტიკურ სტატუსს ვირჩევთ ქვეყნისთვის ჩვენ, მოქალაქენი — საპარლამენტო რესპუბლიკას, საპრეზიდენტო რესპუბლიკას თუ მონარქიას, მაგრამ უმთავრესი და ძირითადი მაინც ცალსახად არის გამოკვეთილი — როგორიც გინდა იყოს ეს სამომავლო სტატუსი, საქართველოს უნდა ჰყავდეს ძლიერი, მობილური, გონიერი პარლამენტი, სულერთია, იგი არჩეული იქნება მაჟორიტარული წესით, პროპორციულით თუ შერეულით.

დღეს ჩვენში „კარგ ტონად" ითვლება პარლამენტის ლანძღვა-განქიქება. ყოველი დამწყები თუ გამოჯეკილი პოლიტიკოსი, ყოველი ეს-ესაა ჩვილის არტახებშეხსნილი თუ პრესაში ჰპმოჭრილი ჟურნალისტი თავის ზეგარდმო მოვალეობად მიიჩნევს „უკბინოს", გააპამპულოს, თითი დაუქნიოს, ჭკუა დაარიგოს პარლამენტს. რაც მთავარია, ეს კეთდება ყოველგვარი ეთიკის, ელემენტარული ზრდილობის გარეშე. მაგალითად, ერთი ახლადგამოჩეკილი გაზეთი ამ დღეებში პარლამენტარებზე „ლექსად" წერს: „ზოგი უნდა მუშაობდეს სანაგვეში სამ ცვლად. საჭიროა ზოგის ბატზე, ზოგის ღორზე გაცვლა, ზოგი დაბადებულია ნაძირლად და ბაცნად, ზოგი ბუხარს უნდა მისცე, რათა იქცეს ნაცრად". ვთქვათ, ეს ოპუსი, რაკი „ზოგი" ზოგადი და უმისამართოა, შეიძლება „მეგობრულ შარჟად" მიიღო, მაგრამ, როცა იქვე, ერთობ გამჭვირვალე ფსევდონიმებით მინიშნებულ პარლამენტარებზე კითხულობ: „სიფათი აქვს იმნაირი, ჩვენებიანი თედოს, ყოვლად შეუძლებელია ცოდვები არ ედოს" ან „ამ ალქაჯის შემხედვარე, ჯავრისაგან დაეთვრები, პარლამენტში ყელყელაობს ცხენის კუდით სათრევი", აღშფოთებას ვერ გაუმკლავდები, იმის მიუხედავად, იზიარებ პროტოტიპთა პოლიტიკურ შეხედულებებს თუ მათი სასტიკი მოწინააღმდეგე ხარ. არ შეიძლება რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრებზე ასე წერა. თუმცა რა შუაშია აქ პარლამენტარი! ასე წერა, უბრალოდ, ციხეში მსხდომ სისხლის სამართლის დამნაშავეებზეც არ შეიძლება.

ვიცი, ბევრი შემომედავება, რასაც დასთეს, იმას მოიმკიო. წინდაწინ დავეთანხმები მათ: ჩვენი პარლამენტი უთუოდ აღძრავს უკეთესის სურვილს (თუმცა, მაინც იმ აზრისა ვარ, რომ ყველაფრის მიუხედავად, ჩვენი პარლამენტი არც ისე ცუდია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.. ის, ავად თუ კარგად, მაინც ასრულებს თავის მოვალეობას!), მაგრამ, ამასთან, ამ სხარტ გამოთქმას შემომდავებლებსავე შევუბრუნებ: დიახ, რასაც დასთეს, იმას მოიმკი — განა თქვენ არ შობეთ ეს პარლამენტი, განა თქვენ არ მიეცით ხმა თითოეულ მის წევრს პირდაპირ (მაჟორიტარულად) თუ არაპირდაპირ (პარტიული სიებით)?

მთავარი ის კი არ არის, როგორი პარლამენტი გვყავს, არამედ ის, თუ რატომ გვყავს ასეთი პარლამენტი, ანუ როგორი ამომრჩეველი გვყავს. ამას დასამუნათებლად არ ვამბობ, უბრალოდ, ფაქტის კონსტატაციას ვახდენ: ხე ნაყოფისგან საცნაურ არს. ამიტომ, თუ უკეთესი პარლამენტი გვინდა, ამომრჩევლის მიერ არჩევანის შესაძლებლობაც უნდა გაუმჯობესდეს.

მე მაჟორიტარული წესით ვარ არჩეული თბილისის გლდანის რაიონიდან, სადაც ვმუშაობდი და იქაურები, ასე თუ ისე, მიცნობდნენ. მაგრამ მიმაჩნია, რომ საარჩევნო ოლქში კანდიდატის მხოლოდ მუშაობაც საკმარისი არ არის. არადა, მაჟორიტართა ერთი ნაწილისთვის თავიანთი საარჩევნო ოლქები მხოლოდ „ისტორიულ სამშობლოებს" (იქიდან არიან წარმოშობით) წარმოადგენენ ან მეგობარ-თანამოაზრეთა მძლავრი კლანი ჰყავთ იქ.

ვაყენებ კონკრეტულ წინადადებას: **პარლამენტის წევრობის კანდიდატად წამოყენებული პიროვნება 5 წელიწადს მაინც უნდა ცხოვრობდეს იმ რაიონში, საიდანაც ირჩევენ. ადგილობრივი უნდა იყოს, თავისი მეზობლების ცხოვრებით ცხოვრობდეს, სხვებთან ერთად იზიარებდეს საერთო ჭირ-ვარამს.** მაშინ აღარ იქნება „ელიტარული" რაიონები, სადაც თავმოყრილია რესპუბლიკის „პოლიტიკური პოტენციალი", აღარ იქნება ამა თუ იმ კანდიდატისათვის საარჩევნო ოლქის „მორგება".

ვფიქრობ, დღევანდელი საქართველოს არც ერთ რაიონს (საარჩევნო ოლქს) არ სჭირდება „დესანტის" მიშველება. ისინი თვითონაც მშვენივრად მოახერხებენ თავიანთ მცხოვრებთა შორის გამოძებნონ კაცი (ანუ, რამდენიმე კაცი უკეთესთა შორის ერთი უკეთესის შესარჩევად), ვისაც კარგად იცნობენ და ენდობიან, ვინც ზნეობრივად გაუძლო დღევანდელ ორომტრიალს და ცოდნა-გონიერებაც ჰყოფნის საქვეყნო საქმის გასაძღოლად. ასეთი პარლამენტარი, მისი ოჯახი, მუდამ ამომრჩეველთა თვალსაწიერში იქნება.

არ ვიცი, გაითვალისწინებენ თუ არა ამ ჩემს მოსაზრებას ახალი საარჩევნო კანონის შემდგენლები, მაგრამ მჯერა, რომ იგი მართებულია და [illegible] შევეცდები დავიცვა ეს მოსაზრება.

მიხეილ მჭედლიძე,
საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, თბილისის გლდანის რაიონიდან, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის აპარატის უფროსი.

საქართველოში უკვე შეიქმნა შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის, იმერეთის, სამეგრელოს, მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის სამხარეო პროკურატურები. შესაბამისად, ამ რეგიონებში პროკურორებად დაინიშნენ: შიდა ქართლში — **ამირან ნოზაძე**, ქვემო ქართლში — **სიმონ მაჭავარიანი**, კახეთში — **თემურ მარგებაძე**, იმერეთში — **თემურ ჭუმბურიძე**, სამეგრელოში — **თამაზ კოლუა**, მცხეთა-მთიანეთში — **ელგუჯა ხაბაური**, სამცხე-ჯავახეთში — **ლერი საქაბლიშვილი**.

სამხარეო პროკურატურები არსებული საშტატო ერთეულებით დაკომპლექტდა.

ჩვენი გაზეთი ეცდება შეძლებისდაგვარად გაგაცნოთ რეგიონების ახლადდანიშნული პროკურორები. ამჯერად შევხვდით შიდა ქართლის პროკურორს ბატონ ამირან ნოზაძეს, რომელსაც რეგიონში შექმნილ მდგომარეობაზე, მისი გაუმჯობესების გზებსა და საშუალებებზე ვესაუბრეთ.

სრ დოსიე:

ამირან ნოზაძე,
შიდა ქართლის
სამხარეო
პროკურორი,
იუსტიციის
უფროსი მრჩეველი

დაიბადა 1958 წელს ქ. ხაშურში. 1975 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. 1976 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1982 წელს დაამთავრა. 1982-86 წლებში იყო ხაშურის რაიონის პროკურატურის სტაჟიორი, შემდეგ გამომძიებელი. მუშაობდა პარტიის ხაშურის რაიონულ კომიტეტში, ხაშურის რაიონის მოსამართლედ, რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს პროკურორად. 1986-92 წლებში ბორჯომის რაიონის პროკურორია, 1992 წლიდან, ახალ თანამდებობაზე დანიშვნამდე, გორის სარაიონთაშორისო პროკურორად მუშაობდა. ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი.

ოპტიმისტი პროკურორი —ქართლელების იმედი

შიდა ქართლში კრიმინოგენული მდგომარეობა შედარებით სტაბილურია. ვითარების გაჯანსაღებაში უდიდესია სამართალდამცავი ორგანოების წვლილი. ამასთან, ხალხიც თანდათან ეგუება, რომ აუცილებელია კანონს დაემორჩილოს. მართალია, მძიმე დანაშაულთა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ, სამაგიეროდ იმატა მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობამ, თუმცა, ამ დანაშაულობათა გახსნის პროცენტი დიდია. პროკურატურას მხარში უდგას გორის შინაგან საქმეთა სამმართველო, მისი ხელმძღვანელი ნოდარ ღალაქიშვილი, რომელიც აქტიურად და დიდი მონდომებით ცდილობს წესრიგის აღდგენას.

— ჩვენ ერთობლივად ვმუშაობთ. პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამმართველოს განზრახული გვაქვს იმგვარად წარვმართოთ მუშაობა, რომ შეღავათი მივცეთ მოსახლეობას, მაქსიმალურად გავაუმჯობესოთ კრიმინოგენული მდგომარეობა და ხალხს სამართალდამცავი ორგანოების რწმენა დავუბრუნოთ, — მითხრა ამირან ნოზაძემ.

შიდა ქართლს ცხინვალი ესაზღვრება და ნარკოტიკები, მისი მომხმარებლები და გამსაღებლები დიდ პრობლემას უქმნიან ადგილობრივ სამართალდამცველებს. ნარკოტიკების ზღაპრული ფასები მოგეხსენებათ. ნარკომანი კი, რომელსაც მისი შეძენის საშუალება არა აქვს, არაფერს მოერიდება სასურველი თანხის ანდა ნარკოტიკებზე გადასაცვლელი ნივთების მოსაპოვებლად. პროკურატურამ და პოლიციამ მთელი ძალების დაძაბვით, შარშან ნარკოტიკების რეალიზატორთა და მომხმარებელთა რამდენიმე ჯგუფი გამოავლინეს. სამართალდამცავი ორგანოების გააქტიურების შემდეგ რეალიზატორთათვის არახელსაყრელი გახდა ეს საქმე. ცხინვალის რეგიონიდან იკლო საწამლავის შემოტანამ.

— ახლა შედარებით ნორმალური მდგომარეობაა, — ამბობს ბატონი ამირანი და სინანულით დასძენს: **—ჩემს გულისტკივილს სწორედ ის იწვევდა და იწვევს, რომ ჯანსაღი ახალგაზრდობა გვეცლება ხელიდან, რისი დაშვებაც არაფრით არ შეიძლება. ასე, რომ, დამშვიდების უფლება არა გვაქვს, ვიდრე ნარკოტიკების მომხმარებელთა ბუნაგებს მთლიანად არ გამოვავლენთ და რეალიზატორებიც არ დაისჯებიან.**

მისასალმებელია, რომ კრიმინოგენული ვითარება გაუმჯობესდა. და მაინც, რა უნდა იყოს ამის უმთავრესი მიზეზი, სამართალდამცავი ორგანოების აქტიურობა დამნაშავეობასთან ბრძოლაში თუ დამნაშავეთა სამყაროს პასიურობა?

— ალბათ, ერთიც და მეორეც, — მეუბნება ბატონი ამირან ნოზაძე, — **მე მაინც პირველზე შევჩერდები. ბოლო პერიოდში, და განსაკუთრებით 13 იანვრის მოვლენების შემდეგ, სამართალდამცავი ორგანოებისა და ძალისმიერი სტრუქტურების გააქტიურებით დამნაშავეთა სამყარომ იგრძნო, რომ ბოროტება დაუძლეველი არ არის და დანაშაულისთვის მკაცრად აგებენ პასუხს კანონის წინაშე. ხალხიც შემობრუნდა ჩვენსკენ და ჩვენგანაც არანაკლებ მკაცრად მოითხოვს: ბოლოს და ბოლოს, დროა ქვეყანაში თავისი ადგილი დაიმკვიდროს სამართალმა! ამასთან, დამნაშავეთა სამყაროსთვის ძალიან დიდი დარტყმა იყო ის ფართომასშტაბიანი ღონისძიებები, რომლებიც სახელმწიფოს მეთაურის მხარდაჭერით ადმინისტრაციულმა ორგანოებმა განახორციელეს მიუხედავად მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა. შედეგები საგრძნობია.**

პროკურატურის საქმიანობა ძირითადად შემოიფარგლება ზედამხედველობით, თუ როგორ ხორციელდება გარკვეულ უწყებათა მიერ კანონიერების დაცვა. ერთ-ერთი ძირეული რგოლი ამ მხრივ შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობაა. შიდა ქართლის სამხარეო პროკურორი დადებითად აფასებს გორის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის ნოდარ ღალაქიშვილის ენერგიულ მცდელობას წესრიგის დასამყარებლად, რის შედეგადაც უკვე გამოჩნდა კრიმინოგენული მდგომარეობის გამოსწორების ტენდენცია.

მართლწესრიგი

პროკურატურა მხოლოდ ეჭვმიტანილებზე სანქციების გაცემით და მათი თავისუფლების აღკვეთით არ არის დაკავებული. ეს ის ორგანოა, რომელმაც უპირველესად უნდა დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისი საქმიანობაც ამ ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ააწყოს. მთელ რესპუბლიკაში და, მათ შორის, შიდა ქართლის რეგიონშიც ეჭვმიტანილთა წინასწარი დაკავების საკნებში მოთავსება გარკვეულწილად ვერ დგას სათანადო დონეზე. მართალია, რეგიონში სასჯელის მოხდის ადგილები, ისეთი, როგორიც არის საპყრობილე, კოლონია და სხვა არ არის, მაგრამ წინასწარი დაკავების საკნების მდგომარეობა ერთობ არასახარბიელოა. ადგილობრივი სამართალდამცველები თვითკრიტიკულად არიან განწყობილი, მაგრამ იმედი აქვთ, თუკი გარკვეული მატერიალური სიკეთე იქნება ქვეყანაში, პატიმართა კვება და სხვა საყოფაცხოვრებო პირობები თანდათანობით გამოსწორდება. რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა კოლეგიის სხდომაზე ხაზგასმით ისაუბრა ადამიანის უფლებების დარღვევაზე და შრომა-გასწორების დაწესებულებათა ხელმძღვანელებს მკაცრად მიუთითა, შესაძლებლობის ფარგლებში ყოველმხრივ დაიცვან პატიმართა უფლებები.

ბატონ ამირან ნოზაძესთან საუბრისას ყურადღება გავამახვილე გამოძიების პროცესში დაშვებულ დარღვევებზე, ეჭვმიტანილისგან ჩვენების ძალისმიერი მეთოდებით მიღებაზე. ბატონი ამირანი სამი წელი მუშაობდა გორის სარაიონთაშორისო პროკურორად და ამ ხნის მანძილზე, მისი თქმით, არც ერთი უკანონო და დაუსაბუთებელი დადგენილება არ გამოუტანიათ. არც ისეთი შემთხვევა ყოფილა, რომ პასუხისგებაში მიცემული პირი გაემართლებინათ.

— თუმცა, ვერც იმას უარვყოფთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ შორსა ვართ ადამიანის უფლებების სრულყოფილად დაცვისგან. არის ცალკეული განსასჯელთა თუ ბრალდებულთა საჩივარ-განცხადებები, სადაც ისინი მიუთითებენ ძიების, აგრეთვე, ოპერატიული საქმიანობის დროს ჩადენილ სხვადასხვა უხეშ დარღვევებზე. ამაზე ჩვენ დაუყოვნებლივ ვახდენთ რეაგირებას და სათანადო წარდგინებებითაც შევედით შინაგან საქმეთა რეგიონული სამმართველოს ხელმძღვანელობასთან. რამდენიმე მუშაკი დათხოვილია თანამდებობიდან, განთავისუფლდა ორი გამომძიებელი, საგამოძიებო განყოფილების ხელმძღვანელი. პროკურატურის მომავალი საქმიანობის პრინციპი ძირითადად ამ მიმართულებით არის განსაზღვრული, რათა ადამიანის უფლებები მაქსიმალურად იყოს დაცული საპყრობილეებშიც, წინასწარი დაკავების საკნებშიც და საქმეთა გამოძიებაც კანონით დასაშვები ნორმებით ხდებოდეს. გამოძალვის ფაქტებზე ჩვენამდე არ მიუღწევია რაიმე განცხადებას ან საჩივარს. თუმცა, არის გარკვეული დარღვევები ძიებაში, რომლებიც დაკავშირებულია პატიმართა განთავსების საკითხთან, — აღნიშნა ბატონმა ამირანმა.

დავინტერესდი, თუ რა მიაჩნია შიდა ქართლის პროკურორს ჩვენებების გამოძალვის მიზეზად, საქმის ოპერატიულად გახსნის აუცილებლობა თუ გამომძიებელთა არაკომპეტენტურობა და არაპროფესიონალიზმი. ბატონმა ამირანმა მიპასუხა:

— ჩვენებების გამოძალვის (თუკი ასეთი არსებობს) მიზეზი, ალბათ, ორივე ფაქტორია. უკიდურესად მწირი მატერიალური ბაზა აქვთ ადმინისტრაციულ ორგანოებს. ოპერატიულად ვერ ხერხდება დამნაშავის გამოდევნება, კვალის დაფიქსირება, მტკიცებულებების მოპოვება, შემთხვევის ადგილის დათვალიერება და სხვა. ხშირად შემთხვევის ადგილზე გამომძიებლის გასვლაც კი პრობლემაა. მოგეხსენებათ, ეს გარკვეულ სახსრებს და ტექნიკურ საშუალებებს მოითხოვს, რაც თითქმის არა გვაქვს. ამ დროს, დამნაშავეთა სამყარო სამართალდამცავ ორგანოებზე გაცილებით უკეთეს ტექნიკურ საშუალებებს ფლობს. ჩვენების გამოძალვის გამომწვევი მრავალი მიზეზი არსებობს. თუმცა, ვერც იმას უარვყოფთ, რომ, ალბათ, კადრების ინტელექტუალური და პროფესიული მომზადების დონეც სასურველზე დაბალია.

რესპუბლიკის პროკურატურაში არსებობს სპეციალური საკვალიფიკაციო კურსები პროკურატურის მუშაკთა პროფესიული და ინტელექტუალური დონის ასამაღლებლად, ახალი ტექნიკის ასათვისებლად. ამასთან, მუშაობს საატესტაციო კომისია, რომელსაც გენერალური პროკურორის მოადგილე როლანდ გილიგაშვილი ხელმძღვანელობს. კომისიის წევრები არიან რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის წევრები და განყოფილებათა ხელმძღვანელები. აქ მოწმდება კვალიფიკაცია და ფასდება პროკურატურის თანამშრომლის მიერ გარკვეულ პერიოდში გაწეული მუშაობა. წლეულს რესპუბლიკური კომისიის წინაშე წარსდგა სამხარეო პროკურატურის სამი მუშაკი — პროკურორის მოადგილე ნიკოლოზ გოჩაშვილი და თანაშემწეები ალეკო სუხიტაშვილი და გიორგი ამაშუკელი. ბატონმა ამირანმა სიამაყით აღნიშნა, რომ საატესტაციო კომისიამ სამივე დადებითად შეაფასა. განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ალეკო სუხიტაშვილის აქტიურ და ქმედით საქმიანობას, პროფესიული დონის სოლიდურობას. მან ბოლო 2 წლის განმავლობაში გამოძიებით დაამთავრა ანგარების მიზნით ადამიანის გატაცების სისხლის სამართლის 7 საქმე, დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის სისხლის სამართლის 6 საქმე. ამ ქმედებების ჩადენისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული 50-ზე მეტი სისხლის სამართლის დამნაშავე. ამასთან, იგი სასამართლოსთან ერთად აქტიურად იღვწის ჭეშმარიტების დადგენისთვის და ეხმარება სასამართლოს საკითხთა განსჯაში.

საატესტაციო კომისია მეტად პრინციპული და ობიექტურია. სხვა რეგიონების რამდენიმე მუშაკს საერთოდ უარი უთხრეს დადებით შეფასებაზე და დააბრუნეს, რათა ხელახალი განსჯისთვის მოემზადონ.

შიდა ქართლის პროკურორს კორუფციაზე, უპირველესად კი პროკურატურასა და სხვა სამართალდამცავ ორგანოებში კორუფციასთან ბრძოლის შესახებ ვკითხე.

— ეს საკითხი მეტად პრობლემურია. კორუფციასთან საბრძოლველად რესპუბლიკის პროკურატურაში შექმნილია სპეციალური განყოფილება. იგი უშუალოდ ისეთ ფაქტებზე რეაგირებს, როცა კორუფციაში პროკურატურის ან სხვა ორგანოების მუშაკი იქნება გარეული. ასეთი ქმედებების და გარკვეულწილად სხვადასხვა დარღვევებისთვის პროკურატურის სისტემიდან დათხოვნილია რამდენიმე ოპერატიული მუშაკი. მიმდინარეობს ზოგიერთი მათგანის კვალიფიციური შემოწმება და შედეგების მიხედვით გადაწყდება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხი. გენერალური პროკურორი მაქსიმალურად ცდილობს პროკურატურის სისტემაში კორუფციის დაძლევასა და აღმოფხვრას, — თქვა ბატონმა ამირანმა და დასძინა, — **ჩვენ გვაქვს კანონიერებაზე ზედამხედველობის უფლება და პროკურატურის თანამშრომელი მთლად განწმენდილი თუ არა, შედარებით ნორმალური მაინც უნდა იყოს. ალბათ, სახელმწიფოც ხელს შეუწყობს ადმინისტრაციულ ორგანოებს: შედარებით უზრუნველყოფს ხელფასით და სამუშაო პირობებსაც შეუქმნის. ამის შემდეგ უფრო მკაცრად მოვითხოვთ კორუფციის აღმოფხვრას პროკურატურასა და სხვა სამართალდამცავ ორგანოებში.**

ხელისუფლების კრიზისის დროს დამნაშავეთა სამყარომ თითქოს ხელში ჩაიგდო მართვის სადავეები. ადმინისტრაციული ორგანოებიც ხშირად ისე არ მოქმედებდნენ, ასეთ ვითარებას რომ შეეფერება. ამან განაპირობა უნდობლობა სამართალდამცავი ორგანოებისადმი. ჯერ კიდევ შარშან დაიწყო „ჩატეხილი ხიდის" აღდგენის პროცესი სამართალდამცველებსა და მოსახლეობას შორის. ეს პროცესი შეუქცევადია და იგრძნობა კიდეც სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელების საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ყოველი შეხვედრისას. მოსახლეობის სამართალშეგნების დონის ამაღლება დიდ იმედებს იძლევა. შიდა ქართლის პროკურორთან ბატონ ამირან ნოზაძესთან ჩვენი საუბარიც ოპტიმისტურად დავამთავრეთ.

— ყველა ოპტიმისტი უნდა ვიყოთ. მით უმეტეს, ჩვენმა თაობამ იმდენი ქარტეხილი გადაიტანა, ახლაც იმდენი პრობლემაა. საქართველოში დღესაც ბევრი იარაა მოუშუშებელი. ომები, სისხლისღვრა, ტრაგედიები, ადამიანთა მსხვერპლი თითქოს უკან დარჩა. შენება დაიწყო და წლევანდელი წელიც უკეთესად მესახება. იმედი მაქვს, ძალიან დიდი იმედი, რომ კრიმინოგენული ვითარება კიდევ უფრო გაჯანსაღდება. გასული პერიოდიც ამის თქმის საფუძველს გვაძლევს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ საქმეს ხელს არ დავაკლებთ...

იმედიანად დავტოვეთ შიდა ქართლი და ქართლელები. პროკურორთან საუბრით კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ შიდა ქართლს უყურადღებოდ არავინ დატოვებს, დამნაშავეთა სათარეშოდ და საჯიჯგნად აღარ გადაიქცევა ეს ბარაქიანი მხარე. ამის იმედს იძლევიან აქაური სამართალდამცველები და ჩვენც გვჯერა ამ დაპირებისა.

ბონდო მძინარაშვილი.

სხვა გაზეთებიდან

პრეზიდენტის ფანჯრების დამცხრილავს სამუდამო პატიმრობა ემუქრება

ვაშინგტონში დაიწყო სასამართლო პროცესი 27 წლის კოლორადოელი ფრანცისკო მარტინ დიურენის საქმის გამო.

განსასჯელმა გასული წლის 29 ოქტომბერს ჩინური წარმოების ნახევრადავტომატური შაშხანის მთელი მჭიდე დაახალა თეთრ სახლს. თავის პირველ გამოსვლაში პროკურორმა მას ბრალად დასდო „პრეზიდენტის მოკვლის განზრახვა". ასე რომ, ბრალდებულს სამუდამო პატიმრობა ემუქრება. თავის მხრივ, ადვოკატი ამტკიცებდა, რომ დიურენი სულით ავადმყოფია. როდესაც იგი ისროდა, არ იცოდა, რას აკეთებდა. მაშასადამე, დიურენი არ არის დამნაშავე და იგი დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონ პატიმრობიდან.

„ასოშიეიტედ პრესი".

5 წელი — ვაჭრობისთვის. ამდენივე მყიდველს

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს მიაღწიოს ცოცხალი ადამიანების ორგანოებით ვაჭრობის სრულ აკრძალვას. სწორედ აქეთკენ არის მიმართული ახალი კანონპროექტი, რომელიც დაამტკიცა ბონის კაბინეტის სხდომამ. შემოთავაზებული კანონმდებლობა ითვალისწინებს ხუთი წლით ციხეში პატიმრობას იმ პირთათვის, ვინც ადამიანთა ორგანოებით ვაჭრობს, აგრეთვე იმათთვის, ვისაც ამ ორგანოებს გადაუნერგავენ. ახალი კანონის მოქმედება უნდა გავრცელდეს გფრ-ის იმ მოქალაქეებზეც, ვინც ასეთ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას გერმანიის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ სჩადის. გერმანული პრესა იუწყება, რომ ბოლო ხანებში, ბრაზილიასა და ჰონდურასში სულ უფრო ხშირად იკარგებიან ბავშვები, რომელთაც შემდგომი გადანერგვის მიზნით სხვადასხვა ორგანოს აცლიან. ბავშვის თირკმელი „შავ ბაზარზე" 20 ათასამდე ამერიკული დოლარი ღირს, ხელ-ფეხის სხვადასხვა ძვალი — 3-დან 10 ათასამდე.

„სეკრეტი".

კაცს ჯანსაღი ფილტვი ამოკვეთეს

ტეხასის შტატში დამთავრდა სასამართლო პროცესი, რომლის შედეგადაც ერთ-ერთ ადგილობრივ საავადმყოფოში გარდაცვლილი პაციენტის ნათესავებს მიეკუთვნათ კომპენსაცია ამ საავადმყოფოს ადმინისტრაციისაგან ხუთი მილიონი დოლარის ოდენობით. ფულს გადაუხდიან ოცი წლის განმავლობაში.

62 წლის ავადმყოფს ბენჯამინ ჯონსს ფილტვის კიბო სჭირდა. ქირურგებმა 1991 წელს გაუკეთეს ოპერაცია და ამოკვეთეს... ჯანსაღი ფილტვი. ჯონსმა მათი შეცდომის ამბავი სიკვდილამდე სულ რამდენიმე თვით ადრე, 1994 წლის თებერვალში შეიტყო. ექიმებმა იცოდნენ თავიანთი შეცდომის შესახებ, მაგრამ ჯონსს არაფერი არ უთხრეს.

ძაღლიჭამია სასამართლოს წინაშე წარსდგება

ეს მართლაც სენსაციური ამბავია: არამზადა, რომელმაც მეზობელს მოუკლა და... შეუჭამა ძაღლი, დაპატიმრებულია და მალე სასამართლოს წინაშე წარსდგება.

ძაღლის ხორცის მოტრფიალე, იაროსლაველის არაერთგზის ნასამართლები მცხოვრები, მილიციამ ამხილა მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა ორგანოებს მიმართა ძაღლის პატრონმა ქალმა. ძაღლიჭამია დააპატიმრეს, საგამოძიებო იზოლატორში ჩასვეს და მის წინააღმდეგ აღძრეს სისხლის სამართლის საქმე. მას ემუქრება თავისუფლების აღკვეთა 2-დან 7 წლამდე ვადით. თუმცა, საოლქო პროკურორის უფროსმა თანაშემწემ ალექსანდრე კაბეშოვმა განგვიმარტა, რომ ამ შემთხვევაში დამნაშავეს ბრალად ედება არა საცოდავი გოშიას გატყავება-შეჭმა, არამედ მხოლოდ მოქალაქეთა საკუთრების მოპარვა. ესეც შეღავათია. მთავარია, რომ ძაღლიჭამია საპატიმროში აღმოჩნდა.

„იზვესტია".

ნომრის სტუმარი

პოლიცია სახელმწიფოს სახეა

ჩვენი გაზეთის სპეციალური კორესპონდენტი შეხვდა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის აპარატის სამსახურის უფროსს თამაზ ნინუას. გთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს.

— ბატონო თამაზ, შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობა ფართოდ შუქდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, ჩვენი მკითხველიც მუდამ დიდი ინტერესით ადევნებს თვალს სამინისტროს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, იმ კონკრეტულ დანაშაულთა ნუსხას, რაც მისი მუშაობით ვლინდება უკანასკნელ ჟამს. ეს, რაც გარედან ჩანს. მაგრამ მიგვაჩნია, რომ არანაკლებ საინტერესოა თვით თქვენი სისტემის შიგნით მიმდინარე პროცესები — ორგანიზაციულ-სტრუქტურული სრულყოფა, მრავალათასიანი კოლექტივის მართვა, დისციპლინა...

— ჩემთვის, როგორც მინისტრის აპარატის ხელმძღვანელისთვის, ცოტა მოულოდნელიც არის ასეთი შეკითხვა. ეს, ალბათ, ბოლოდროინდელი პრესის დამოკიდებულებითაც არის განპირობებული. შუქდება მხოლოდ კონკრეტული ფაქტი, ამა თუ იმ ღონისძიების კომენტარი, მაგრამ არავინ დაინტერესებულა იმ პროცესებით, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროში ხდება. უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში განვითარებული მოვლენები, უარყოფითი იყო ეს თუ დადებითი, ყველაზე მეტად სამინისტროს საქმიანობაში აისახა. იმიტომ, რომ იგი ყველა მოვლენის შუაგულში იდგა. ეს უპირატესად ნგრევის პროცესს ეხება. ნგრევა ყველა სფეროში არნახული ტემპით განვითარდა. შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, გვინდოდა თუ არ გვინდოდა, სამოქალაქო პოლიცია საჯარისო სტრუქტურად გადავაქციეთ. ეს შეიძლება აუცილებელიც იყო იმ პერიოდისათვის, მაგრამ დღეს, როცა აშკარად გამოიკვეთა აღმშენებლობის სპექტრი, ვცდილობთ პოლიციას დავუბრუნოთ ჩვეულებრივი სახე და ფუნქცია. ეს კი უაღრესად ურთულესი პროცესი გახლავთ. ნუ დაგვავიწყდება — პოლიციაშიც ჩვეულებრივი ადამიანები მუშაობენ და მათზეც იმოქმედა ომის სინდრომმა, ეკონომიკურმა გაჭირვებამ, ზნეობრივმა და იდეოლოგიურმა კრიზისმა. ამიტომ აქ უადგილო არ იქნება მოვიშველიოთ ყველასათვის ცნობილი ფრაზა: პოლიცია სახელმწიფოს სახეა! ყველა ის სირთულე, რაც სახელმწიფოს და მის ხალხს გააჩნია, უპირველესად ჩვენს კოლექტივში აირეკლება.

აქ, ალბათ, თავისთავად წარმოიშვება კითხვა — როგორი შედეგებით გაიარა სამინისტრომ ის მძიმე წლები? დღეს თამამად ვიხედებით უკან — 1989 წლიდან მოყოლებული, მიუხედავად არსებული უმძიმესი პირობებისა და სირთულეებისა, საქართველოს პოლიციის ძირითადმა ნაწილმა მაინც შეინარჩუნა თავისი სახე და პროფესიული პასუხისმგებლობა. და თუ რამე სასიკეთო ძვრებია დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში, უდავოა, აქ მისი დიდი წვლილიც არის. შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ შოთა კვირაიას არაერთხელ განუცხადებია: — დამნაშავეობასთან ბრძოლის პარალელურად მიმდინარეობს ყოველდღიური მუშაობა სისტემის სრულყოფისათვის, დისციპლინისა და წესრიგის დამყარებისათვის უწყების შიგნით. ამ ამოცანის შესრულებისა და საქმიანობის კოორდინაციისათვის შეიქმნა სპეციალური დანაყოფი — მინისტრის აპარატის სამსახური და მასში გაერთიანდა მმართველობითი და საკონტროლო ფუნქციის მქონე სამსახურები: საორგანიზაციო-საინსპექტორო სამმართველო, გენერალური ინსპექცია, საინფორმაციო ცენტრი, სამორიგეო-ოპერატიული სამმართველო, პრესცენტრი, გაზეთი „კრიმინალური ქრონიკა" და სხვა. სამინისტროს დარგობრივი სამსახურების ხელმძღვანელობასთან ერთად განისაზღვრა პირველი რიგის გადასაწყვეტ პრობლემათა ნუსხაც.

— მოდით, ცოტათი უკან დავიხიოთ. იყო შინაგან საქმეთა სამინისტრო, იყო რაიონული და საქალაქო მილიციები, ისინი, ასე თუ ისე, მაინც ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. ეს მოვალეობანი და ამოცანები დღესაც ხომ იგივეა? მაშ, რა აუცილებლობით იყო გამოწვეული თქვენს სისტემაში ახალი ორგანიზაციულ-სტრუქტურული მოდელის შექმნა?

— პირველ რიგში ამის აუცილებლობა გამოიწვია საბჭოთა კავშირის დაშლამ. შეუძლებელი შეიქნა არარსებული სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესებით ცხოვრება და მუშაობა. ისევე, როგორც ხელისუფლების სხვა რგოლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროშიც ჩატარდა რეფორმები. შეიქმნა სამინისტროს თვისობრივად ახალი, საინტერესო სტრუქტურა, მაგრამ... ზოგ საკითხებში მოვწყდით რეალურად არსებულ მდგომარეობას: გაუქმდა ან შეიქმნა ისეთი სამსახურები, რომლებიც სადღეისო საქმიანობისათვის აუცილებელი ან ზედმეტი აღმოჩნდა. პოლიციის კანონითაც გათვალისწინებული იყო სტრუქტურული ცვლილებები. იძალა დამნაშავეთა სამყარომ. სამინისტროს ხელმძღვანელობის წინაშე არაერთი სრულიად ახალი პრობლემა წარმოიშვა. საჭირო იყო კონტრმოქმედება, რადგან არსებული სტრუქტურებით შეუძლებელი გახდა დამნაშავეობასთან ბრძოლა. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს, რომლებიც ნათლად ასახავენ შექმნილ მდგომარეობას.

უკანასკნელ წლებში ჩვენთან ფართოდ გავრცელდა ორგანიზებული დანაშაული, რეკეტი, კორუფცია, მათი სამოქმედო არე რესპუბლიკის ეკონომიკის სფეროსთან არის დაკავშირებული. სამინისტროში ცალკე არსებობდა ეკონომიკურ სფეროში და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოები. შეიქმნა პარადოქსული მდგომარეობა: დამნაშავეთა სამყარო გაერთიანდა. ჩვენი სამსახურები კი მათ წინააღმდეგ ბრძოლას ცალცალკე აწარმოებდნენ. შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, ამ ორივე სამსახურის ბაზაზე შეიქმნა დეპარტამენტი — ორგანიზებული დანაშაულის, რეკეტის, კორუფციის და ეკონომიკური დივერსიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

(დასასრული მე-5 გვ.).

საუბრის გაგრძელება

კახეთი გაჯავრდა...

რა მოხდა კახეთში? მთელმა საქართველომ იცის, რაც მოხდა, ტელევიზიითაც გადაიცა და პრესაშიც დაიწერა. ამიტომ ფაქტებისა და მოვლენების გამოწვლილვით აღწერას არ შევუდგები. მხოლოდ ერთს ვიტყვი, კახეთს ლეკიანობის დროს იმდენი ვაება და სატკივარი არ გადახდენია, რაც ახლა ვითომდა დემოკრატიულ საქართველოში (დემოკრატია და ყაჩაღობა ერთად ვერ სძოვენ) დაატყდა თავს, რაც დღეს საკუთარ შვილთა უზნეობამ სწია.

ნამეტანი უჯიშოდ იქცეოდნენ: მათი შიშით გლეხი სათოხნად ვერ გასულიყო, ოფლით მოწეული ხორბალი ვერ დაებინავებინა, მეპურეს პური ვერ გამოეცხო, მზარეულს კერძი ვერ შემოედგა, მეწარმეს საწარმო ვერ აემუშავებინა, მეღვინეს ღვინო ვერ დაეყენებინა, მძღოლს მგზავრი ვერ გადაეყვანა... ყველას და ყველაფერს თოფიანი ყაჩაღი აკონტროლებდა, აშინებდა, სტაცებდა. ისინი არავის და არაფერს ერიდებოდნენ, გახმამყივარდნენ და მთელ მხარეს წალეკვით ემუქრებოდნენ.

ეტყობა ამიტომაც გაჯავრდა გულდინჯი კახეთი. გაჯავრდა და დაგროვილი ბოღმა-ნაღველი ერთბაშად ამოაფურთხა (ბოდიშს ვიხდი ამ გამოთქმისთვის).

— ბეწვზე გადავრჩით, — მითხრეს თელავში, — რომ არა დიდი სიფრთხილე, ტაქტი და გონიერება, საქართველო კვლავ სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გაეხვეოდა და ეს ომი ამჯერად კახეთიდან დაიწყებოდა.

ეს აზრი გაიმეორა თელავის პოლიციის შეფმაც. როგორც **ზურაბ ხმიადაშვილმა** მითხრა, 4 მაისს თელავში თავი მოიყარა ქალაქიდან და სოფლებიდან მოსულმა ხელკეტებით შეიარაღებულმა აბობოქრებულმა მოსახლეობამ. ისინი მოითხოვდნენ ყველა დამნაშავის დაპატიმრებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ, რომ მათ პირადად გაუსწორდებოდნენ. ხოცვა-ჟლეტის აშკარა საფრთხე შეიქმნა. ჩვენ მას თავი ავარიდეთ და დავაკავეთ ყველა, ვისაც დანაშაული ჰქონდა ჩადენილი (განურჩევლად პარტიული თუ სტრუქტურული კუთვნილებისა). იმ დღეებში ხომ კახეთში დამნაშავეობასთან ბრძოლის ფართომასშტაბიანი ღონისძიება ჩატარდა. დაკავებულთა საერთო რიცხვმა მხარეში ასს გადააჭარბა.

— ხმა გავრცელდა, რომ მხედრიონელებს იარაღის ტარებისათვის აპატიმრებთ.

— ეს ჭორია. თითოეულ დაკავებულზე ერთი კი არა, ორი-სამი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. მათ უმტკიცდებათ ძარცვის, გამოძალვის, ყაჩაღობის, მკვლელობის ფაქტები და სხვა მძიმე დანაშაულობანი. ახლა ვერ ჩამოვთვლი დაკავებულთა გვარებს და მათ მიერ ჩადენილ დანაშაულობებს (ეს შეუძლებელია), მაგრამ თუ ვინმეს აინტერესებს, შეუძლია მობრძანდეს და ჩვენს სიმართლეში დარწმუნდეს.

— იმასაც ამბობენ, რომ პოლიცია ბინებს ჩხრეკავს.

— ვჩხრეკავთ მხოლოდ იმათ ბინებს, ვინც დანაშაულში ეჭვმიტანილია. ეს ჩვენი პრეროგატივა გახლავთ და ვასრულებთ კიდეც.

— ბევრია ეჭვმიტანილი?

— ბევრი. დღე არ გავიდოდა, ვინმე არ გაეძარცვათ, ვინმე არ გაეტაცნათ და ათასობით დოლარი არ შეეწერათ, ურჩობისათვის ხელფეხი არ მოემტვრიათ ან მიწაში არ ჩაეფლათ. თავის დროზე ფაშისტებსაც კი არ გამოუყენებიათ ტანჯვა-წამების ისეთი მეთოდები, როგორსაც საკუთარი ხალხის მიმართ ისინი იყენებდნენ. ასეთი არაკაცობისთვის პასუხი უნდა აგონ.

— ახლა როგორი სურათია?

— ხალხი ბატონყმობის უღლის მეორედ გადავარდნას ულოცავს ერთმანეთს. მარტო აპრილის ბოლო ორ კვირაში ყაჩაღობის 9 შემთხვევა იყო აღრიცხული, მას შემდეგ ასეთი დანაშაული აღარ მომხდარა. შეშინებული მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა, ბაზარი, ტრანსპორტი, კვების ობიექტები ამუშავდა, ქალაქი და სოფლები გამოცოცხლდა. იქნებ მე მეჩვენება, ნახეთ, დაელაპარაკეთ ადამიანებს, ისინი ყველაფერს თავად გეტყვიან.

მეც ავდექი და დაველაპარაკე.

მთვარისა ქიტაშვილი (თელავის კაფე „ნასტაკისის" გამგე) — თავის დროზე პედაგოგიური ინსტიტუტი დავამთავრე, წლების მანძილზე არქივში ვმუშაობდი ფონდების მცველად. ეს ერთი წელიწადია კაფე გავხსენი. ვიფიქრე ვივაჭრებ, ცოტა ფულს გავიჩენ და ოჯახს ამით ვარჩენ-მეთქი. ისე მტერს აუხდეს ოცნება, როგორც მე ამიხდა. კაფეში სისტემატურად შემოდიოდნენ ავტომატიანები, ჭამდნენ, სვამდნენ და მიდიოდნენ. მათი მხოლოდ მცირე ნაწილი იხდიდა დანახარჯს, უმრავლესობა კაფედან ისე გადიოდა, მადლობასაც არ მეუბნებოდა. თუ ფულს მოვითხოვდი, მტუქსავდნენ, მაშინებდნენ — გაჩუმდი თორემ „ლიმონკას" შემოგიგდებთ, შენს ადგილზე სხვას მოვიყვანთ და იმას ვამუშავებთო. განა მარტო ეს? ერთხელ ერთმა მათგანმა ხელიც კი შემომკრა. ცხვირპირდასისხლიანებული მივედი მათ ხელმძღვანელობასთან, მაგრამ ჩემი გასაჭირი გულთან არავინ მიიტანა. ვალს კი ვალი ემატებოდა, გადაუხდელმა დანახარჯმა 650 ათას რუბლს გადააჭარბა.

იმ დაძაბულობის დღეებში კიდევ ერთხელ ვცადე ბედი, ტირილით მივედი ჩემს თოფიან მევალეებთან, ვთხოვე დანახარჯი გამისწორეთ, ჩემი შვილების ცოდვით ნუ დაიდებთ-მეთქი. გამომაგდეს, ხომ იცი ვინცა ვართ, ჩვენი ხელის მხლებელი ჯერ არ დაბადებულა.

მათი ხელის მხლებელი კი გამოჩნდა, მაგრამ მე ვალს ვინღა გადამიხდის?

თამაზ კაკონაშვილი (**საგადასახადო ინსპექციის უფროსი**) — ჩვენ სახელს ვატარებდით საგადასახადო ინსპექციისა, თორემ რაიონში გადასახადს, ფაქტობრივად, ავტომატიანები კრეფდნენ. უფრო დავაკონკრეტებ... თელავში ობიექტები ორ ჯგუფად იყო დაყოფილი. პირველ ჯგუფში შედიოდნენ ბენზინით მოვაჭრენი, კონიაკისა და შამპანურის საჩამომსხმელო საამქროები. თოფიანები მათ უშუალოდ უწევდნენ „შეფობას", რაც იმას ნიშნავდა, რომ მთელი გადასახადი მათ უნდა წაეღოთ (სახელმწიფოს არაფერი). მეორე ჯგუფი ობიექტებისა (სავაჭრო, ვალუტის გადამცვლელი ჯიხურები, აფთიაქები, პავილიონები, სატრანსპორტო საშუალებები) სახელმწიფოსაც უხდიდა და ავტომატიანებსაც. მაგალითად, ოცდაათადგილიანი ავტობუსის მძღოლი, 4 მგზავრის ბილეთის ღირებულებას, როგორც წესი, მათ აძლევდა, ვალუტის გადამცვლელი ჯიხური კი — თვიურად დაახლოებით 30 დოლარს. ჰქონდათ ვალუტის გადამცვლელი საკუთარი ჯიხურებიც. თუ ვინმე ბეგარას კუპონით ან რუბლით გადაიხდიდა, ის თანხა დოლარებად ხომ უნდა ექცია!

როლანდ კობაიშვილი (**განათლების განყოფილების გამგის მოადგილე**) — ახლა ბევრი ლაპარაკია მაშველთა კორპუსზე. იგი რაიონის ცალკეულ სკოლებს ფულით, ხოლო საბავშვო ბაღებს ფქვილით, ზეთითა და სხვა პროდუქტებით ეხმარებოდა. ამაში თავისთავად ცუდი არაფერია, მაგრამ რატომ უნდა გაეკეთებინათ ეს განათლების განყოფილების ხელმძღვანელობისაგან იზოლირებულად? ჩვენ ისინი ამის თაობაზე არც არაფერს შეგვეკითხვიან და, ბუნებრივია, არც თანხმობა მოგვეციათ...

რა მიზნით ეწეოდნენ მაშველთა კორპუსის წევრები ქველმოქმედებას? საიდან ჰქონდათ ამდენი ფული, ფქვილი, ზეთი თუ სხვა პროდუქტები, მათ ხომ არც უხნავთ, არც უთესიათ, არც წისქვილში უმუშავიათ და არც ზეთის ქარხანაში? ასეთი კითხვები მათ დაუსვეს 2 მაისს თელავში ჩატარებულ თათბირზეც, მაგრამ ისინი უპასუხოდ დარჩა.

როინ ჭიკაძე (**თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი**) — უწესრიგობამ და უზნეობამ, რაც ბოლო დროს ასერიგად მომძლავრდა ჩვენს ყოფაში, რა თქმა უნდა, გავლენა იქონია ჩვენს სასწავლებელზეც. რა სწავლა-აღზრდაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ირგვლივ ამეფებულია ქაოსი და უდისციპლინობა, ყაჩაღობა, ქურდობა, გამოძალვა, ადამიანთა მოტაცება, სხვა ამაზრზენი დანაშაულობანი. ამან ხალხში, განსაკუთრებით ინტელიგენციასა და ახალგაზრდობაში, ერთგვარი უკურეაქცია გამოიწვია. მთელი კახეთი აღსდგა დესტაბილიზაციის წინააღმდეგ, რაც გამოიხატა კიდეც საზოგადოებრიობის სახელმწიფოს მეთაურთან შეხვედრისას, დამნაშავეობის აღსაკვეთად მიმართული ფართომასშტაბიანი ღონისძიებების მთელ პროცესში. მიმაჩნია, რომ ამა თუ იმ ფორმირებამ (მაშველთა კორპუსი იქნება თუ სხვა) თვითონვე უნდა იზრუნოს თავისი რიგების განწმენდისათვის, მაგრამ თუ ეს ვერ გააკეთა, მაშინ საქმეში სახელმწიფო უნდა ჩაერიოს. ასეც მოხდა, რამაც სიტუაცია კახეთში (და არა მარტო კახეთში) დიდად განმუხტა. მჯერა, საზოგადოებრივი კლიმატის გაჯანსაღება, სტაბილიზაცია მალე მთელ საქართველოს დაეტყობა.

შოთა უარაღაშვილი (**აგროსამრეწველო სამმართველოს უფროსის მოადგილე**) — ჯერ ფაქტებზე ვილაპარაკოთ, მერე გავაანალიზოთ. იყო შემთხვევა, როცა ვარდისუბნის საგუშაგოზე ვითომდა წესრიგის დასაცავად მდგომი ფორმირების ამავე სოფლის მეღორეობის ფერმას დაეცნენ, რამდენიმე სული პირუტყვი დახოცეს, ორიც ცოცხლად წაიყვანეს. ერთ მშვენიერ დღეს კურდღელაურის მეღორეობის ფერმასაც ეწვივნენ შეიარაღებული პირები, ღორები ხომ წაიყვანეს და წაიყვანეს, მას მწყემსების კუთვნილი დეკეულებიც მიაყოლეს. ანალოგიური სურათი განმეორდა იყალთოში, სადაც ყაჩაღებმა მთელი ფერმა გარეკეს. კიდევ კარგი, პოლიციამ შეიტყო და დაედევნა (იძულებული გახდნენ ღორები ტყეში გაეშვათ), თორემ აგროფირმა ერთ სულსაც ვეღარ დაიბრუნებდა.

ხშირია პირუტყვის გატაცება ცხვრის გადარეკვისას, თუმცა ყაჩაღობას ვერც სხვა დარგები გადაურჩა. თოფიანები სწორედ მაშინ მიადგებოდნენ პურის ყანებს, როცა სიმწიფეში შევიდოდა, მიაყენებდნენ იძულებით მიყვანილ კომბაინებს, მთელ მოსავალს თვითონ წაიღებდნენ და თვის პატრონს თხის კუდსაც აღარ უტოვებდნენ. მე ვერ გეტყვით, აქ ჩამოთვლილ საქმეთა ავტორები კონკრეტულად ვინ იყვნენ (ამას გამოძიება გაარკვევს), მაგრამ ისედაც დანგრეული სოფლის მეურნეობა რომ ყაჩაღთა ხელით კიდევ უფრო გაპარტახდა, ეს ფაქტია.

სოფელს თავისი გასაჭირიც ეყოფა. შარშან საშემოდგომო თესვა ისე ჩავატარეთ, რომ რაიონისთვის ერთი გრამი საწვავიც არ გამოუყვიათ, ვენახები მოუვლელობით ნადგურდება, აგროფირმებს იმდენი ბენზინიც არა აქვთ, რომ ხალხი ავტომანქანებით გადაიყვანონ და ზვრებში ფურჩნა-ახვევის სამუშაოები ჩაატარონ. გლეხკაცი ვერც თავის (პრივატიზებულ) ნაკვეთში გადის სამუშაოდ. ჯერ ერთი, ტრანსპორტისთვის საწვავი არა აქვს, და მეორეც, შხამქიმიკატები იმდენი ღირს, რომ მოკრეფილი ყურძენი მის საფასურსაც ვერ აანაზღაურებს. ასეთ გამწარებულ ყოფაში მუშაკაცს ავტომატიანი რომ თავზე დაადგება და რაც აქვს იმასაც წაართმევს, აბა მითხარით, ის კიდევ იმუშავებს?

დარწმუნებული ვარ, გლეხკაცმა თუ წესრიგი დაიგულა, ზვარსა და ყანას ისევ მიუბრუნდება. უკვე მიუბრუნდა კიდეც. მართალია, სოფლის მეურნეობამ, უამრავი მიზეზის გამო დიდი ზარალი ნახა, მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ არის. რაც მთავარია, არის ხალხი, რომელსაც მუშაობა სწყურია, არის ტექნიკა და ტრანსპორტი, რომელთა ამოქმედება შეიძლება. ქვეყანამ ამ გაუსაძლისი გაჭირვების ჟამს ეს რეზერვი ხელიდან არ უნდა გაუშვას.

აი ყველაფერი ის, რაც ჩემმა თანამოსაუბრეებმა მითხრეს. მინდოდა კახეთის მხარეში სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულს, ბატონ ლევან თედიაშვილსა და რწმუნებულის მოადგილეს, ქალბატონ მედეა მეზვრიშვილსაც დაველაპარაკებოდი, მაგრამ არ ისურვეს, ჩვენი სათქმელი იმ დიდი ოპერაციისა და სახელმწიფოს მეთაურთან შეხვედრის დროს უკვე ვთქვითო. თქვეს და მერე როგორ თქვეს, ისინი ზოგზოგებივით მოვლენებს ჭოგრიტით კი არ ჭვრეტდნენ, უწესრიგობას, ყაჩაღობასა და არაკაცობას ლომდალომ შეებნენ და სულ ბდღვირი ადინეს.

მათ ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ქაოსსა და უსამართლობას ბრძოლა სჭირდება და არა გაყუჩება. თუმცა, არავინ ეგონოს, დინჯი კახელები მხოლოდ საბრძოლოდ იყვნენ შემართული. ისინი, როგორც წესი, უპირველესად შრომისთვის არიან განწყობილი, მაგრამ რა ქნან თუ ამის გასაქანს არ აძლევენ? მათი მოთხოვნაა: ყველა თავის ტყავში ჩაეტიოს (ყველა ნებისმიერი ფორმირება), თავის ფუნქცია შეასრულოს და აბა ნახეთ, თუ მათ ბუზი ვინმემ აუფრინოს.

— არა, შვილოსან, — მითხრა ავტობუსში ჩემს გვერდით მჯდომმა ქიზიყელმა გლეხკაცმა, — როცა დრო იყო, ბატონები მაშინ არ გვიბატონებია და ახლა, როცა დემოკრატია მოდის, ყაჩაღებს თავზე რატომ წამოვისვამთ? ჩემგან დაიხსომე: ნაქურდალი, არამი ლუკმა ჯერ არავის შერგებია და არც მომავალში ვინმეს შერგება.

ერთსაც ვიტყვი. იარაღს ქვეყანა ჯერ არსად აუშენებია, საქართველო ისევ და ისევ შრომამ უნდა გადაარჩინოს.

ოთარ ხუციშვილი.

პოლიცია — სახელმწიფოს სახეა

(დასასრული)

ამ სამსახურმა არსებობის მოკლე პერიოდში დაამტკიცა გადაწყვეტილების სისწორე. გამოვლენილია დამნაშავეთა ჯგუფები, რომლებსაც ერთდროულად ჩადენილი აქვთ მკვლელობები, ადამიანის გატაცებები და მძიმე დანაშაულობები ეკონომიკის სფეროში. აქვე კრიმინოგენური ვითარების ღრმა ანალიზის საფუძველზე შეიქმნა ნარკომანიის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული ბიურო, თავისი სამსახურებით ძირეულ რგოლებში.

საქართველოს სამხარეო დაყოფამ დღის წესრიგში დააყენა სამხარეო და რეგიონული შინაგან საქმეთა დანაყოფების შექმნა. ეს არ ნიშნავს, როგორც ამას ზოგიერთი ოპონენტი აღნიშნავს, მინი სამინისტროების ჩამოყალიბებას და მმართველობითი ცენტრალიზებული პრინციპების უგულებელყოფას. ახალმა რგოლებმა უნდა უზრუნველყონ რეგიონებში შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების მუშაობის კოორდინაცია და ადგილებზე სამინისტროს დირექტივების, ბრძანებების, მოთხოვნების შესრულება. სტრუქტურულად ეს მცირერიცხოვანი, მობილური სამსახურებია და გამორიცხულია საქმიანობაში პარალელიზმი მათ და ცენტრალურ აპარატს შორის. ყველასათვის ცნობილია, თუ რა უმძიმესი მდგომარეობა იყო ამ ორიოდე წლის წინათ რესპუბლიკის საავტომობილო ტრასებზე. ამ მდგომარეობის განსამუხტავად საგზაო პოლიციაში შეიქმნა სპეციალური ლეგიონი ოპერატიული ფუნქციით. დანაყოფმა შეძლო მდგომარეობის გამოსწორება, რის შემდეგაც იგი გაუქმდა.

— ბატონო თამაზ, სამინისტროს ხელმძღვანელობა ცდილობს შექმნას მაქსიმალურად ოპტიმალური მუშა სტრუქტურები. პარალელურად, როგორ დგას თავად ცენტრალური აპარატის პრობლემა?

— არ დავმალავთ, — ცენტრალური აპარატი უსაშველოდ გაზრდილია და დახვეწას მოითხოვს.

დამნაშავეობასთან ბრძოლის სიმძიმის ცენტრი გადადის ძირეულ რგოლებზე და უმოკლეს დროში ცენტრალური აპარატის შემცირების ხარჯზე გაიზრდება მათი პირადი შემადგენლობის რაოდენობა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სამინისტრო არ არის დაინტერესებული პირადი შემადგენლობის რიცხობრივი ზრდით. ჩვენ არა ვართ მომხრე ეგრეთ წოდებული პოლიციური სახელმწიფოს შექმნისა. პირადი შემადგენლობის რაოდენობრივი გაზრდა გამოწვეული იყო შექმნილი ობიექტური მდგომარეობით და უმოკლეს პერიოდში თვით სამინისტრო იქნება ინიციატორი მისი შემცირებისა. ისე რომ, შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით უკვე შექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომელიც მუშაობს ორგანიზაციული მოწყობის საკითხებზე. არც იმ გარემოების დავიწყება შეიძლება, რომ ჩვენთან ძირითადად ახალი სტრუქტურული დანაყოფები არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე იქმნება, ხოლო რა მწირი ბაზა გვაქვს, შეიძლება ბევრმა არ იცის. ეს კი, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს მთლიანად სისტემის და განსაკუთრებით ახლადშექმნილი დანაყოფების საქმიანობაზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს პერიოდში შეიქმნება ბრძოლისუნარიანი, ოპტიმალური სისტემა დამნაშავეობასთან ბრძოლის ეფექტიანად წარმართვისათვის.

— თითქმის ყველა გამოსვლაში სამინისტროს ხელმძღვანელები დიდ ადგილს უთმობენ ულირსი კადრებისაგან განწმენდის საქმეს. თუ გულახდილად ვიტყვით, საზოგადოება ჯერ ვერ გრძნობს ამ პროცესების შედეგებს. იქნებ გვითხრათ, რატომ?

— ადრეულ წლებშიც მილიციის მიმართ მოსახლეობას გარკვეული სამართლიანი პრეტენზიები გააჩნდა. შემდგომ განვითარებულ პროცესებსა და მის შედეგებს ნაწილობრივ უკვე შევეხე და აღარ გავიმეორებ. დღეს საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა პირად შემადგენლობაში კანონიერების დაცვის თვალსაზრისით. ამას ხედავს სამინისტროს ხელმძღვანელობა, ლენიადაგ მუშაობს მის გამოსასწორებლად და არც საზოგადოებას უმალავს არსებულ სინამდვილეს.

წესრიგის დამყარება ურთულესი პროცესია და ის მარტო ჩვენი უწყების გადასაწყვეტი როდია. იგი დაკავშირებულია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, ზნეობრივ, ეკონომიკურ და სხვა ასპექტებზე. როდესაც ამ თემას ვეხებით, ჩვენ არ ვგულისხმობთ მარტო სისხლის სამართლის დამნაშავეებისა და ნარკომანების გამოვლენას, თვითგანწმენდის პროცესი გაგრძელდება მანამდე, ვიდრე პოლიციელი პოლიციელს არ დაემსგავსება და მისი მოქმედება არ დააკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნებს. ამ ამოცანების შესასრულებლად სამინისტროში შემუშავებულია პროგრამა, — გათვალისწინებული საკითხები ეტაპობრივად წყდება.

სწორედ ამით აიხსნება, რომ უკანასკნელ წლებში, წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლის ეპიზოდური მუშაობიდან გადავედით სისტემურ საქმიანობაზე. იქმნება და იხვეწება არსებული უწყებრივი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია ღონისძიებები პირად შემადგენლობაში დარღვევებისა და დანაშაულის გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად. მაგალითად, მინისტრის ბრძანებით აკრძალულია რიგითი შემადგენლობისათვის არასამუშაო პერიოდში ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღის ტარება, სპეციალური ნებართვისა და ფორმის გარეშე პირად შემადგენლობას აკრძალული აქვს ავტომატური იარაღის ტარება, ადმინისტრაციული მომსახურების ტერიტორიის თვითნებურად დატოვება და სხვა...

ასევე გათვალისწინებულია დანაყოფების ხელმძღვანელების პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხიც. სამინისტროს სპეციფიკიდან გამომდინარე, ერთმმართველობის პრინციპზე აგებული სისტემის ყველა რგოლის ხელმძღვანელზე ბევრად არის დამოკიდებული კანონიერების განმტკიცების საკითხი. ჩვენს სისტემაში, 1994 წლის იანვრიდან შეიქმნა გენერალური ინსპექცია. იგი არის ოპერატიული სამსახური და მოწოდებულია გამოამჟღავნოს დანაშაულობანი და კანონიერების დარღვევები პირად შემადგენლობას შორის. ფაქტობრივად სამსახური წარმოადგენს „პოლიციას — პოლიციაში". მათ მიერ გამოვლენილი და პასუხისგებაში მიცემულია სისხლის სამართლის დამნაშავენი — ყაჩაღები, მკვლელები, ნარკომანები, გამომძალველები... ამ მიმართულებით ბრძოლა გამძაფრდება და გაგრძელდება. სამართალდარღვევის არც ერთი ფაქტი არ დარჩება რეაგირების გარეშე. ეს არის მინისტრის კატეგორიული მოთხოვნა. ჩვენს რიგებში რა დამსახურებაც უნდა ჰქონდეს პიროვნებას, რა რანგის ხელმძღვანელიც უნდა იყოს იგი, კანონის მთელი სიმკაცრით აგებს პასუხს საკუთარ საქციელზე. კანონის მოთხოვნებს უნდა დაემორჩილოს ყველა, პირველ რიგში სისტემის თანამშრომლები და ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქე. იმედია გენერალური ინსპექცია და სამსახურები შეძლებენ დაკისრებული ამოცანების შესრულებას. ეს საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო გავამკაცროთ ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ.

ადმინისტრირების მეთოდების პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა ცენტრალური აპარატის სამსახურების მიერ ძირეულ რგოლებში შექმნილი მდგომარეობის ერთობლივად განმუხტვისა და გადაწყვეტისათვის. ამ მიზნით მარტო საორგანიზაციო-საინსპექტორო სამმართველომ წლეულს შეისწავლა და პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინა 50 საქალაქო და რაიონულ განყოფილებას.

სასიკეთო საქმეებს აკეთებენ სამინისტროს დარგობრივი სამსახურების ხელმძღვანელები. ერთი სიტყვით, სამინისტროს ყველა რანგის ხელმძღვანელი მოწოდებულია და, პრაქტიკულად, ძირითადი სამსახურებრივი მოვალეობის პარალელურად მუშაობს საერთო წესრიგის განმტკიცების საკითხებზე.

არის კიდევ ერთი პრობლემა, რისი გადაუწყვეტლობით შეუძლებელია პირად შემადგენლობაში წესრიგის დამყარება. მხედველობაში მაქვს კადრების შერჩევის საკითხი. არსებული ძველი სისტემა მოიშალა, და, ალბათ, მისი აღდგენაც არ იქნება მიზანშეწონილი. შეიქმნა ერთგვარი ვაკუუმი. სამინისტრო ველარ იღებს სხვადასხვა, ყოფილ საბჭოთა კავშირის სპეციალური სკოლებიდან მომზადებულ კადრებს. პოლიციის აკადემიას არ შეუძლია მთლიანად დააკმაყოფილოს არსებული მოთხოვნები და იძულებული ვართ სამუშაოდ პირდაპირ, ყოველგვარი სპეციალური მომზადების გარეშე მივიღოთ ახალგაზრდები. არც ის ფაქტია დასამალი, რომ კომერციული კერძო უმაღლესი სკოლების კურსდამთავრებულებს თითქმის არავითარი თეორიული მომზადება არ გააჩნიათ საკუთარ სპეციალობაში და ვერც ჩვენთან არსებული მიღების წესი აკმაყოფილებს დროის მოთხოვნებს. თუ უახლოეს დროში მდგომარეობა ძირფესვიანად არ შეიცვალა, სამინისტროს წინაშე წარმოიშობა მძაფრი ბარიერი — თაობათა ცვლის საკითხი.

ამიტომ ამ პრობლემის ყველა ასპექტის გათვალისწინებით მიღებულია გადაწყვეტილება — ახალი საკადრო კონცეფციის შემუშავების შესახებ, ეს კონცეფცია თვისობრივად განსხვავდება მოქმედისაგან და კრძალავს თანამშრომელთა მიღებას სპეციალური მომზადების გარეშე. მისი განხორციელება დაკავშირებულია გარკვეულ ფინანსურ სიძნელეებთან, რაც, ვფიქრობთ, დადებითად გადაწყდება და შეიქმნება რეალური პირობები წესრიგის განმტკიცებისათვის, სამომავლოდ პროფესიული კადრების აღზრდისათვის.

უკვე გითხარით, — სისტემაში არიან მაღალი მორალური თვისებების მქონე პროფესიონალი თანამშრომლები და, ალბათ, ყველა ჩვენგანის ბრალია, რომ მათ შესახებ საზოგადოებას სრულყოფილი ინფორმაცია არა აქვს. აფხაზეთის ომში და შემდგომ, ყოველდღიურ ცხოვრებაში ბევრმა პოლიციელმა გმირობის და თავდადების არაერთი მაგალითი გვიჩვენა. მათი თავდადებისა და ერთგულების განზოგადების გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ სამაგალითო, ტიპიური პოლიციელი. ჩვენს ლიტერატურაში ბატონ ნოდარ დუმბაძის გარდა თითქმის არავის შეუქმნია ღირსეული მილიციელის სახე. სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ არაერთხელ აღნიშნა ეს გარემოება.

— ბატონო თამაზ! ბევრი საუბარია სამინისტროს მხრიდან საზოგადოების, პრესის მხარდაჭერაზე. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ ეს მხარდაჭერა?

— შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი საზოგადოებრივი აზრია. დაინტერესებული ვართ ვფლობდეთ სრულყოფილ ინფორმაციას — რას ფიქრობს ხალხი, რა საკითხებია უფრო აქტუალური და გადასაწყვეტი, ხომ არ არის განსხვავება სამინისტროს ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებსა და საზოგადოების მოთხოვნებს შორის. როგორ აფასებს მოსახლეობა ამა თუ იმ რაიონული, საქალაქო შინაგან საქმეთა დანაყოფების მუშაობას და სხვა. ეს ურთიერთობა საკითხთა ფართო სპექტრს იტევს და ყველას, ალბათ, ვერც ჩამოვთვლით. ურთიერთკავშირი სამინისტროს ხელმძღვანელობასა და მოსახლეობას შორის ხორციელდება საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის, შემოქმედებითი ინტელიგენციის, პოლიტიკური პარტიების მეშვეობით. ასევე დიდ ყურადღებას ვუთმობთ ცალკეული მოქალაქეების მიერ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს, მოსაზრებებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობას არ განუხორციელებია არც ერთი მნიშვნელოვანი მასშტაბური ღონისძიება საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის, მოსახლეობის ფართო ფენებთან შეხვედრის გარეშე, რამაც ყოველთვის აქტიური მხარდაჭერა ვიგრძენით. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ ეს კონტაქტები უნდა გაფართოვდეს და გავრცელდეს მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. ჩვენი განსაკუთრებული ზრუნვის საგანია ახალგაზრდობასთან დაახლოება და მათთან კონტაქტის გაღრმავება, რადგან მისი აზრის გაუთვალისწინებლად წინსვლა შეუძლებელი იქნება.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან სამინისტროს პოზიცია ცალსახად გამოსახულია და მოქმედებს. ჩვენთან ჟურნალისტებისათვის არ არსებობს დახურული სფეროები, გარდა კანონით აკრძალული ნორმებისა. ვეძებთ საქმიან კონტაქტებს და მივესალმებით სამინისტროს მიმართ გამოთქმულ ყველა საქმიან დადებით თუ უარყოფით მოსაზრებას, რომელიც ემსახურება არსებული პრობლემების გადაჭრას, გზების ძიებას და გამომდინარეობს საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან. სამწუხაროდ, ბევრ შემთხვევაში სამინისტროს მიმართ ვრცელდება არაობიექტური ინფორმაცია. რა თქმა უნდა, ამას ვერ შევეგუებით და პრესცენტრის საშუალებით ვპასუხობთ კიდეც. ჩემთვის გულდასაწყვეტია, როდესაც პრესის წარმომადგენლები ხშირად გვერდს უვლიან და არ აშუქებენ პოლიციელების თავგანწირვისა და გმირობის ტოლფას მაგალითებს. ალბათ, მოვა დრო, როდესაც ინტერესები გადაიკვეთება, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა და ამის პირველი ინიციატორები პრესის წარმომადგენლები იქნებიან.

ესაუბრა
გონდო გულიაშვილი.

პოეზია უპირველეს ყოვლისა

ნანა ღვინეფაძე

ბოლოდროინდელი ლექსები
ციკლიდან „სიზმრისეული
ლექსები", „ელეგიები" და
„მთვარე მკარნახობს ხანდახან
ლექსებს".

მოწყვეტილი... აკორდი!

ლექსზე ჩამოღვრილი ცრემლი,
რაც რომ ყვავილისთვის
ცის ნამია:
ჩვენი შეხვედრების დრო და ადგილი
მხოლოდ და მხოლოდ
სიზმარია!..

საშობაო სურათი

ღამით მოთოვს და
დილით უკვე
ლილო —ჭრილოა,—
როგორც ჩვევია,
მოპარულა დიდო ლეკვით
და ბალახებში მიყუჟულა
თეთრი ლეკვები....

ახალ თაობას

ალვიძებთ და ახალისებთ
გარემოს,
ალიონზე წამოფრენილ
ჩიტივით,—
მე კი გული მეწურება
დარდებით,
მე კი თავი შეგაბეზრეთ
ჩივილით...
თესავთ იმედს და სიკეთეს
გულუხვად,
გაზლაპრებულ ოქროსთმიან
ბიჭივით,—
მე კი შიშით გადავცქერი
უფსკრულს,
ფრიალოზე ჭანგჩავლებულ
ფიჭვივით....

მაგონდება მაგნოლია

კოჭრის ქუჩაზე,
მაგონდება,
მაგნოლიაა,
კლდის ძირში ობლად ამოსული
და მარტოსული...
ზღვის გადაღმიდან
მოყვანილი
პატარძალივით...
ერთხელ მე მისი ყვავილებით
დავთვერი ისე,
როგორც ფუტკარი
გამოთვრება ცაცხვის ნექტარით....
რატომღაც ახლა გამახსენდა,
ამ გაზაფხულზე, უფრო კი
მაის-ივნისის ზღვარზე, —
მემშვიდობება ჩემი მაისი
და მტოვებს სადღაც,
ნაწვიმარ გზაზე....
კოჭრის ქუჩაზე
კობტა ეზოში
თუა ცოცხალი ის მაგნოლია?

მთვარის სონატა

ღამის ფრაგმენტი

მთვარე დასცქერის
სევდით მოცულ მთებს,
და აკრთობს მათი
სამოსი მუქი, —
და უკვირს ძლიერ,
რომ კიდევ სადმე,
რომ კიდევ სადღაც
ანათებს შუქი!...
მთვარე დასცქერის
სევდით მოცულ მთებს...
გულს უკლავს
ქართლის
სამოსი მუქი, —
და უკვირს ძლიერ,
რომ კიდევ სადღაც,
რომ კიდევ სადღაც
კიაფობს შუქი!

ამქვეყნიური ამაოება

მთლად აირია ქვეყანა,
ჩაგვიქრა ბოლო კვარიც, —
ერთმანეთს გადაემტერა
რიონიცა და მტკვარიც....
ჯვარცმულები ვართ ყველანი,
ცოცხალიცა და მკვდარიც!
ყირამალა დგას ქვეყანა,
ჩაგვიქრა ბოლო კვარიც....
ამაოდ, ახსნა დავითმა
დარუბანდს რკინის კარი, —
თუკი ერთბაშად გავალეთ
დარიალიც და ჯვარი..
....
რისთვის ჩამოხსნა დავითმა
დარუბანდს რკინის კარი?!

ქართული ტრაგედია

სიმფონიური ფრაგმენტი

გაზაფხულდა, იძახის
შაშვი,—
მე კი იჭვებში ვარ
გახლართული:
დაგვიბრუნდება თბილ
ქვეყნებიდან
გადახვეწილი ჯიში
ქართული?!
გაზაფხულდა?!
ნაადრევია —
თვალს ვერ ახელენ
შიშით იები, —
და ძველებურად
ფრთებს ველარ შლიან
პატარძლებივით
მაგნოლიები....
ითრგუნებიან მეოცნებენი,
მარადიული იკაროსები, —
მომრავლებულა ჩვენს
ქვეყანაში
თავწაკვეთილი კვიპაროსები...
გაზაფხულდა,—
იძახის შაშვი,—
როგორც ეზოში
გაჭრილი ბავშვი...
ღმერთო, უსმინე,
ღმერთო, უსმინე, —
იქნებ არ ჩაქრეს
სისხლი ძველ კვალში.
გაზაფხულდა,
მაგრამ სიმწვანე
ვერ დავინახე ჯერ
ვაზის რქაში...
ცრემლი თუ მიშლის,
დარდი თუ მიშლის
და მეპარება ტირილი
ხმაში...
გაზაფხულდა,
იძახის შაშვი,
ეჭვის ბადეში ვარ
გახლართული,
დაგვიბრუნდება
ცხრა მთის გადაღმა
გადაკარგული გუნდი
ქართული?!
გაზაფხულდა?!
წინ გვიდევს მარტი,
თვალებს ხუჭავენ
შიშით იები, —
მენატრებიან
ზღვისპირეთელი
პატარძლებივით
მაგნოლიები...
გაზაფხულდა
იძახის შაშვი,
როგორც ეზოში გაჭრილი
ბავშვი...
ღმერთო, უსმინე!..

როგორც ზღაპარში

უმრწემეს დისწულს —
სოფიკო არახამიას

პატარა გოგო, პატარა ქალი,
თავის ფიქრებში უკვე ლედია!
იფერებს კიდეც, — მოდგმით, იერით,
ბედის ჭუჭული უკვე ბედია!...
პატარა სოფო, პატარა ქალი
თვის ოცნებებში უკვე ლედაა...
ღიმილი მისი სულში ანათებს
მიხარის მისი კარგი ქალობა,
მკვდარს გააღვიძებს
როგორც ზღაპარში
მისი ვიოლის ნაზი გალობა...
ღიმილი მისი სულში ანათებს,
მიხარის მისი კარგი ქალობა.
მისი ოცნების საბრძანებელი
კავკასიონის ლურჯი ქედია, —
მისი ნერგია, მისი ასული,
ბედის ჭუჭული უკვე ბედია!...
მისი ოცნების საბრძანებელი
კავკასიონის ლურჯი ქედია!....
პატარა გოგო, პატარა ქალი,
თავის ფიქრებში უკვე ლედია!...

იანვრის სევდა

რეზო კლდიაშვილს

გაზაფხულდება...
მოვა ზაფხულიც,
მას შემოდგომა მოსდევს,
ცხადია;
იმერეთისკენ,
ზუბისისაკენ
გელათისაკენ
წასვლა მწადია! |
გაზაფხულდება?!
თუ გაზაფხულდა,
„ჩემო იარალი",
როგორც ბრძანებდა,
ნეტარხსენებული
გრიგოლ ბატონი,
დარდიან გულზე
ჩემს იმერეთში
ისეთი ლხინი
მინდა გავმართო,—
ვინაც ყოფილა და
არ ყოფილა,
წარაქოულას
ნამით გავნათლო!...
თუ გაზაფხულდა!...
„...ჩემო იარალი,
ნეტავი ოდეს"!...

თეთრ უდაბნოში

აღესრულა დედა, —
თვალს გაურბის რულიც...
როცა დედა კვდება,
მაშინ კვდება გულიც.

ნოველა

სხვა ქვეყანაში

ახლა რუსის ჯარისკაცი იშვიათად შეგხვდებათ ქუჩაში.

ადრე საბჭოთა არმიის მებრძოლებს თბილისი (და განა მარტო თბილისი), დიალაც, რომ აღებული ჰქონდათ.

მათ ყოველ ფეხის ნაბიჯზე წააწყდებოდით: ბაზარში, სალუდეში, აბანოშიც კი.

სვამდნენ, კაბელის ჩაგდებაზე მუშაობდნენ, იპოდრომის წინ, „ოკრუგის" სასროლეთზე ვარჯიშობდნენ და ისევ სვამდნენ.

თავს აქაურობის ავანჩავანად თვლიდნენ და, გითხრათ სიმართლე, არც ჩვენ ვუცქეროდით მათ როგორც სტუმრებს.

ახლა სხვა ამბავია. ახლა ისინი ზონიდან თითქმის არ გამოდიან, თვალში არ გვეჩხირებიან. იდუმალმა, თვალით უხილავმა უნდობლობისა და აფხაზეთ-სამაჩაბლოს ვერპატიების შავმა კატამ გაირბინა ჩვენს შორის.

თითქოსდა ყველამ, გენერლიდან ჯარისკაცამდე, ერთბაშად შეიტყო, რომ სხვა ქვეყანაში, სხვა სახელმწიფოში ეწევა არც თუ სასურველ და სასახელო სამსახურს.

ქუჩაში მარტო თითქმის არ გამოდიან. ძირითადად ორ-ორად ან სამ-სამად დადიან და, უმეტესწილად გადაცმულები.

გადაცმული რუსის ჯარისკაცი ძნელი გამოსაცნობი არ არის. როსტოვული მუქი საწვიმარი ნეილონის თეთრი პერანგი და სპორტული პიჟამოს შარვალი ნასხვისარივით, ნანათხოვარივით მოუხეშავად და უხერხულად აცვია.

ჯგუფ-ჯგუფად დადიან-მეთქი და უფრო ამიტომაც გამიკვირდა იპოდრომის ცარიელ ტრიბუნაზე ერთადერთი სამხედროფორმიანი კაცი.

ახლო მივედი, მივესალმე.

რუსის მაიორია. ბეჭგანიერი, ტანსრული ვაჟკაცი ჩანს, ქუდს ქვემოთ, — ყურებზე გადავარცხნილი ოქროსფერი სწორი თმა მოუჩანს.

— ცხენოსნობა გაინტერესებთ? — ისე, სიტყვის მასალად ვკითხე.

— მაინცდამაინც არა. აქვე, ამიერკავკასიის შტაბში ვმსახურობ. ჰაერის გადასაყლაპავად გამოვდივარ ხოლმე შესვენების დროს, თვალს წყალს ვალევინებ.

— დიდი ხანია თბილისში ხართ?

— მესამე თვეა.

— თუ საიდუმლოება არ არის. რას აკეთებთ, ყოველდღე რას საქმიანობთ, მე აქვე ვცხოვრობ და ვხედავ, დილამდე ანთია ხოლმე სინათლე შტაბის ფანჯრებში.

— რა ვიცი... საქმეს რა გამოლევს... დიდი საიდუმლო არაფერია; სიტუაციას ვსწავლობთ, ბაზებს ვაშენებთ, სამხედრო წვრთნას გავდივართ, ინფორმაციებს გადავცემთ მოსკოვს.

— ეგ ყველაფერი კარგი და პატიოსანი, მაგრამ თქვენი სურვილით წამოხვედით საქართველოში?

გაეცინა.

— როგორ ფიქრობთ, არ მირჩევნია ახლა მე ჩემს სამშობლოში „პრუდის" პირას ჩინარის ქვეშ ვიჯდე და რუსულ ხატას შევყურებდე? როდის იყო ჯარისკაცი თვით ირჩევდა სამსახურის ადგილს.

მხატვარი კარლო ფაჩულია.

— თქვენ საინტერესო კაცი ხართ. მოგწონთ აქაურობა?

— პირდაპირ გეტყვით. არც თუ ძალიან. რაღაცნაირი გაუხსნელი ბუნების, გულჩახვეული და ცოტა ბოღმიანი ხალხი უნდა იყოთ. მაპატიეთ, თქვენ ქართველი ხართ?

— დიახ... ყოველთვის არ ვიყავით ასეთი.

— ვიცი, რაც უნდა მითხრათ და მეც მანდა ვარ. რაცა გჭირთ, თქვენი ბრალია. თქვენი ახირება-ატროკება ვერაფრით ვერ ამიხსნია. რა გაწრიალებთ, რა გინდათ?

—მე მგონი, თქვენც კარგად უნდა იცოდეთ. რაც ყველა ხალხს უნდა, თავისუფლება.

— მერედა, ვინ გართმევთ, ვინ გიშლით ხელს?

— ვინც ჩვენს მიწაზე ბაზებს აშენებს, ოცდაოთხი საათი სიტუაციას სწავლობს და მოსკოვს ინფორმაციას აწვდის.

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამთ. გამოიბერტყეთ თავიდან შუასაუკუნური ამპარტავნობა. თავისუფალი არ იყავით შარშან, შარშანწინ? ხომ ნახეთ, მთელი კავკასია თქვენ დაგესიათ. თქვენი, „ამაყი ქართველების" ატანა, მგონი, მარტო ჩვენ, რუსებს შეგვიძლია.

— თქვენ კარგად იცით, ვინ და როგორ დაგვესია.

— ეჭვი გეპარებათ, ქართველებს მარტო დიდხანს რომ არ დაგტოვებდნენ?

ჩვენ რომ არ შემოვსულიყავით, ირანი და თურქეთი ავად იმშუშნებოდნენ. რომელი რომელს მოასწრებდა თქვენთან, ღმერთმა იცის.

— შეგეცოდეთ და ამიტომაც ერთხელ კიდევ შეგვიფარეთ ხომ დიადი რუსეთის ფრთებქვეშ?

— გასაგებია თქვენი ირონია, მაგრამ მე, თანამედროვე რუსის ჯარისკაცსაც უნდა გამიგოთ. თქვენ რომ ახლა თქვენს მიწას ეძახით, მისი დიდი ნაწილი რუსმა თავისი სისხლით წაართვა თურქეთს და ნიკოლოზმა მემკვიდრეობად დამიტოვა. რა უფლება მაქვს ასე იოლად გავაჩუქო ან გავანიავო?

— განა რომანოვების რუსეთს თქვენ თვითონ არ ეძახდით „ხალხთა საპყრობილეს?"

— ვინ ეძახდა და რატომ ეძახდა და ჭეშმარიტი რუსი იყო თუ არა „დამძახებელი", ეგ ჯერ კიდევ გასარკვევია.

— ჩვენთვის, ქართველებისთვის, ყველაფერი გარკვეულია, მოწყალეო ხელმწიფევ, მაგრამ ვაი, რომ ძალა არა გვაქვს. ცოტანი ვართ ამ დუნიაზე. რა გაეწყობა, დაველოდებით იმ კეთილ დროს, როცა მსოფლიო იმდენად მოწესრიგდება, რომ მცირე ერთა დაჩაგვრის ნებას არ მისცემენ მრავალრიცხოვან ერებს.

— ელოდეთ, ელოდეთ... ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, — საათზე დაიხედა, — შესვენება დამიმთავრდაო ბოდიში მომიხადა და საჯინიბოების მხარეს, ჭიშკრისკენ გააბიჯა.

ათიოდე ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ ელდანაკრავივით მოიხედა.

რატომ მოიხედა? რატომ ჰქონდა შემკრთალი თვალები?

წესით ჩემი არ უნდა შეშინებოდა.

ესე იგი რაღაც ხდება, რაღაცაშია საქმე...

რაღაც გიჭირს, ბატონო ოფიცერო.

რევაზ მიშველაძე.

რელიგია № 1-2-3



გამოვიდა ჟურნალ „რელიგიის" 1-2-3 ერთობლივი ნომერი. ჟურნალი იხსნება კლაივ სტეიპლზ ლუისის „ტანჯვით", რომელიც ომარ გოგიჩაიშვილმა თარგმნა. რუბრიკით „ღვთისმეტყველება" გამოქვეყნებულია ზურაბ კიკნაძის „დაბადება" (გაგრძელება) და ლევან მენაბდის „ქართული სულიერი კულტურისადმი მიძღვნილი ნაშრომი", რომელშიც მიმოხილულია ნინო ქაჯაიას ნაშრომი „ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები". სერგი ავალიანის „მეცნიერება და რელიგია" და ნიკოლაი ლოსკის „სულის უკვდავების იდეა, როგორც პრობლემა ცოდნის თეორიისა" (ვიქტორ რცხილაძისეული თარგმანი) „ფილოსოფიის და რელიგიის" რუბრიკით ქვეყნდება. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირილე საძაგლიშვილის ბიოგრაფიის ზოგიერთ საკითხს გაეცნობით ხათუნა ქოქსაშვილის წერილში. „რწმენა და სასწაული" — ამ რუბრიკით ჟურნალი აქვეყნებს ელენა იზვოლსკაიას „გუადალუპის ღვთისმშობლის გამოცხადებანი (ხელთუქმნელი ხატი)". თავის მეორე წერილს — „იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა" — გვთავაზობს ედიშერ ჭელიძე „სადისკუსიო ტრიბუნაში". ჟურნალი დაინტერესდა ქრისტიანობისა და ისლამის პოლემიკის ისტორიით და აქვეყნებს ბორის დარჩიას ნაშრომს „იაკობ შემოქმედელის ანტიმაჰმადიანური თხზულება".

ჟურნალში რუბრიკით „სხვადასხვა" ქვეყნდება მურმან თავდიშვილის „იდუმალი აღმოსავლეთი", მურად აჭიევის „მოსკალთა სამემკვიდრეო გამოცემის" თაობაზე რუსეთში. „სიდამდე მივყავართ ისტორიის ფალსიფიკაციის" (თარგმნა ომარ გოგიჩაიშვილმა) და ნიკოლაი ლოსკის „სიკვდილით დასჯის შესახებ" (თარგმნა ვიქტორ რცხილაძემ).

აქვე ქვეყნდება ჟურნალ „რელიგიაში" 1994 წელს გამოქვეყნებული მასალების საძიებელი.

ჟურნალის სამი ერთობლივი ნომერი რეკორდულად იაფია — 100.000 კუპონი ღირს.

საქართველო პრესის გარეშე?!

წარმოუდგენელია, მაგრამ არსებობს იმის რეალური საფრთხე, რომ ქვეყანა დემოკრატიული პრესის გარეშე დარჩეს. საქმე ისაა, რომ ამ დღეებში ძალაში შედის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება ელექტროტრანსპორტით მგზავრობისათვის შეღავათების ნაწილობრივი გაუქმების შესახებ. როგორც ცნობილი გახდა, 1 ივნისიდან მგზავრობის შეღავათები შეუწყდებათ ჟურნალისტებს (საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრებს). ამასთან დაკავშირებით ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარემ აკაკი სიხარულიძემ განაცხადა:

— მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილება ერთობ დამაფიქრებელია. ჩემი ღრმა რწმენით, ჟურნალისტების გათანაბრება სხვა რომელიმე შემოქმედებითი ორგანიზაციის წევრებთან არამც და არამც არ შეიძლება. ჟურნალისტებს — საინფორმაციო სააგენტოების, გაზეთებისა თუ რადიო-ტელევიზიის მუშაკებს მათი მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად, დღეში რამდენჯერმეც კი, უხდებათ საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობა. იმ შეღავათების გაუქმების შემდეგ კი, რომელიც აქამდე ჰქონდათ ჩვენი ფედერაციის წევრებს, მოსალოდნელია, რომ ჟურნალისტთა დიდმა ნაწილმა ველარ შეძლოს არა თუ ოპერატიული დავალებების შესრულება, არამედ, საერთოდ, სახლიდან სამსახურამდე მისვლაც კი. ჩვენი ჟურნალისტების ხელფასები იმდენად მცირეა, რომ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ეს კი, ალბათ, გამოიწვევს არა ერთი გაზეთის დახურვის საშიშროებას. გაზეთი კი, მოგეხსენებათ, დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ბერკეტია.

ვფიქრობ, ჟურნალისტთა ფედერაციის მცდელობით ახლო მომავალში შესაძლებელი გახდება უფასო მგზავრობისათვის გამიზნული 200-მდე ტალონის შეძენა, რასაც რედაქციებს გავუნაწილებთ, მაგრამ ბოლომდე ეს საქმეს ვერ უშველის — დედაქალაქში ხომ ჟურნალისტთა ფედერაციის 1500-მდე წევრია. ვფიქრობ, აღნიშნული გარემოება უნდა გაითვალისწინოს მინისტრთა კაბინეტმა, იმ ორგანიზაციებმა, რომელთა უშუალო გამგებლობაშიც შედის ამ საკითხების მოწესრიგება, და ელექტროტრანსპორტით უფასო მგზავრობის შეღავათები შეუნარჩუნოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრებს. ან იქნებ, პარლამენტის წევრებმა გამოიჩინონ სულგრძელობა და მათთვის მინიჭებული შეღავათის უფლება გადასცენ ჟურნალისტთა ფედერაციის წევრ დედაქალაქელ პრესის მუშაკებს.

ნინო თათრულაიძე.
საქინფორმის კორ.

გაიმართა მორიგი ვაჭრობა
1 რუბლი — 237 კუპონი

21 ბანკი მონაწილეობდა თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 31 მაისს გამართულ მორიგ ვაჭრობაზე. გაყიდვის მოცულობამ შეადგინა 838,650 ამერიკული დოლარი და 225 მილიონი რუსული რუბლი. დოლარის კურსი კვლავინდებურად 1.300 ათასი კუპონის დონეზე დარჩა, რუბლისა კი ოთხი პუნქტით აიწია და 237 კუპონი შეადგინა. ვაჭრობის შედეგების მიხედვით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1 ივნისიდან დააწესა კუპონისადმი უცხოურ ვალუტათა შესაბამისი კურსები.

ინფორმაცია

თანხის ნაწილი დაბრუნებულია

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციის, რეკეტისა და ეკონომიკური დივერსიის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტის თანამშრომლებმა სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტზე ამხილეს საგარეჯოს რაიონის ფირმა „მამული-92"-ის დირექტორის მოადგილე და ჩაილურის მეურნეობის დირექტორი. მათ 1994 წლის ოქტომბერ-დეკემბერში კახეთის პურპროდუქტების კომბინატიდან ფირმა „მამულის" სახელით გაიტაცეს 50 ტონა ფონდირებული, მოსახლეობაზე გასანაწილებელი პურის ფქვილი და შემოსავალში აუღებლად მოახდინეს რეალიზაცია. მიღებული ამონაგები — 45 მილიონი რუბლი მიითვისეს.

20 მილიონი რუბლი უკვე დაბრუნებულია.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც იძიებს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი.

შეეფარდა სასჯელის განსაკუთრებული ზომა

საქინფორმის კორესპონდენტს უზენაესი სასამართლოს პრესცენტრში აცნობეს, რომ წარსულში ნასამართლევი ვახტანგ შურღაია პირთა ჯგუფთან ერთად ხობში ყაჩაღურად თავს დაესხა რ. თირქიას ოჯახს; ფიზიკური ძალადობისა და სიკვდილის მუქარით ბოროტმოქმედები დაჟინებით მოითხოვდნენ ოჯახის წევრებისგან ფულსა და ძვირფასეულობას. მოსალოდნელი წინააღმდეგობის აღსაკვეთად ვ. შურღაიამ გამოიჩინა განსაკუთრებული სისასტიკე — 15 წლის შვილის თვალწინ ესროლა.

ყაჩაღებმა გაიტაცეს რ. თირქიას ქონება და გაეცალნენ შემთხვევის ადგილს. გზად მათ კვლავ ჩაიდინეს დანაშაული — გაიტაცეს ერთ-ერთი მოქალაქის ავტომანქანა. პოლიცია დაედევნა ყაჩაღებს. შეტაკების დროს დაიჭრა ვ. შურღაია, რომელმაც მაინც მოახერხა მიმალვა, მაგრამ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მიაგნეს მის კვალს და მკვლელი მართლმსაჯულების წინაშე წარსდგა.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ჩადენილი დანაშაულისთვის ვ. შურღაიას შეუფარდა სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა.

აბანო უფასოდაც მემსახურება...

ამ დღეებში კარგი საჩუქარი მიიღეს თბილისელებმა, კვლავ მწყობრში ჩადგა კიევის ქუჩაზე მდებარე აბანო. ეს ინფორმაცია სამი-ოთხი წლის წინათ რომ მიგვეწოდებინა მკითხველისათვის, ჩუღურეთელებს უთუოდ იუმორით შეზავებულ „მისალოც" დეპეშას გაუგზავნიდნენ. დღეს გაუქმებული აბანოს ამოქმედება კი ყველა თბილისელმა მართლაც დიდ საჩუქრად მიიჩნია.

სახელმწიფო საწარმოო „მეჯუდას" კოლექტივმა, რომელსაც მიხეილ სრესელი თავკაცობს, საკუთარი ძალებით, დედაქალაქის მერიის (უშუალოდ ვიცე-პრემიერის მელორ ტყეშელაშვილის და ადმინისტრაციული ინსპექციის უფროსის ირაკლი გვალიას), თერმული წყლების ღრმა ბურღვის ექსპედიციის (ხელმძღვანელი ნოდარ ხახუბია), მშენებელთა („ინჟმშენის" № 2 სამმართველოს უფროსი ოთარ ლექავა) თანადგომითა და დახმარებით ხანმოკლე დროში დიდი სამუშაოები შეასრულეს.

საწარმოს ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით ყოველი თვის პირველ ოთხშაბათს აბანო უფასოდ მოემსახურება I და II ჯგუფის ინვალიდებს, პენსიონერებს, ჩუღურეთის რაიონის სოციალურად დაუცველ მოსახლეობას.

იმედია, სხვა რაიონის აბანოებიც მათ მაგალითს მიბაძავენ.

„სიძველისადმი გრძნობა-პატივი..."



რუმბების დამზადება ძველ თბილისში. 1895 წელი.

ალექსანდრე როინაშვილის ფოტო ასოციაცია „სხივის" გამოფენიდან.

ახლახან ჩვენს ჭრელ პოლიტიკურ პალიტრას საქართველოს სპორტსმენთა კავშირიც (სსკ) შეემატა. მისი თავმჯდომარეა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი კლასიკურ ჭიდაობაში, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ედიშერ მაჩაიძე. სსკ-ს რეგიონული ორგანიზაციები უკვე შეიქმნა აჭარაში, თელავში, ახმეტაში, ყვარელში, რუსთავში, მარნეულში, კასპში.... კავშირი მარტო სპორტსმენებს როდი აერთიანებს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი კარი ყველასათვის ღიაა. არამც და არამც. როგორც სსკ-ს სულისჩამდგმელმა, ფალავანთა ცნობილმა აღმზრდელმა და დამსახურებულმა მწვრთნელმა გურამ დათიაშვილმა განაცხადა, კავშირის წევრები მხოლოდ უმწიკვლო და შეუბღალავი რეპუტაციის პიროვნებები გახდებიან.

ამ დღეებში სსკ-ს რამდენიმე წევრი ადგილობრივი ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენციის მოსამზადებლად გურჯაანის რაიონს ეწვია. საღამოს უკან დაბრუნებისას მანქანაში ჩვენი სახელოვანი სპორტსმენის, თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონის, ამჟამად თბილისის ერთ-ერთი ავტოსაწარმოს ხელმძღვანელის ზარბეგ ბერიაშვილის გვერდით მოვხვდი. ვისაუბრეთ ამ მთისა, იმ მთისა. ეს უფრო სამშობლოს მოჭირნახულე კაცის მონოლოგი იყო, რომელიც შეძლებისდაგვარად ჩავიწერე და აქვე გთავაზობთ, რადგან ვფიქრობთ, იგი არც თქვენთვის იქნება ინტერესმოკლებული.

ავს თუ ავი არ ვუწოდე...

მოჭირნახულე კაცის ფიქრები

— ქვეყნის რეგრესი გრძელდება, ხალხს მოთმინების ფიალა ევსება, — ჰყვება ბატონი ზარბეგი, — სპორტსმენთა კავშირის შექმნა სწორედ ამ დამღუპველი პროცესების შეჩერების სურვილმა გვიკარნახა, რამაც მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ სულიერად და ფიზიკურად ნაწრთობი ადამიანები. ჩვენი კავშირიც ეცდება ამას შეუწყოს ხელი.

მაინც, საიდან იღებს სათავეს ჩვენი სავალალო მდგომარეობა?... უპირველეს ყოვლისა, იმ უამრავი შეცდომისაგან, რომლებიც გვქონდა პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებების დროს. ამან პარალიზებული გახადა ცხოვრება. შრომისუნარიანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, თუ არ ჩავთვლით ჩარჩ-ვაჭრობით დაკავებულებს, სრულიად უმუშევარია, ფაბრიკა-ქარხნები და, საერთოდ საწარმოები ფაქტობრივად უმოქმედოა. ამას ხელს უწყობს დღეს არსებული მრავალი ფაქტორი. ერთი მათგანია საგადასახადო სისტემა. ახლა, როცა ნედლეულისა და მასალების შოვნა გაძნელებულია, ხოლო ტრანსპორტირება გართულებული, მოწყობილობა-დანადგარები მოძველებულია, შენობა-ნაგებობები წლების განმავლობაში შეუკეთებელია, მაღალკვალიფიციური პერსონალის ნაკლებობაა (მათ შორის დირექტორებისაც), დღეს არსებული საგადასახადო სისტემა თავისი ნორმატივებით, გაუმართლებელი და გაუგებარი საჯარიმო სანქციებით, მუშაობას დიდად ართულებს. მთელ რიგ რაიონებში ერთეული საწარმოები თუ მუშაობენ, ისიც — მცირე დატვირთვით, ხოლო შესაბამის საგადასახადო განყოფილებებში რამდენჯერმე მეტი თანამშრომელია. მიუხედავად ამისა, მთელი წლის განმავლობაში საწარმოებში არავინ შედის შესამოწმებლად, რათა მერე საჯარიმო სანქციები დაადონ და დაახრჩონ. არც დროულად დაჰყავთ ადგილებამდე გადასახადებზე გამოსული დადგენილებანი და ინსტრუქციები. თუ ასე გაგრძელდა, ძალიან მალე ძლივს მომუშავე საწარმოებიც გაჩერდებიან და საგადასახადოს მხოლოდ უცხოური ლუდის გადამყიდველი დარჩება დასაბეგრი, ისიც — დროებით.

ზოგიერთი გაჰყვირის — ჩვენი საგადასახადო სისტემა ყველაზე ლიბერალურიაო, ის კი ავიწყდებათ სხვაგან ხარჯები ნედლეულზე, მასალებზე, ელექტროენერგიაზე, გაზზე, წყალზე, ტრანსპორტირებაზე სხვა არის. მათი დანადგარები სრულყოფილია, დანაკარგები ნაკლები, პროფესიონალიზმი მაღალია და ა. შ. ყოვლად შეუძლებელია საწარმოს მუშაობა, თუ ყველა მონაცემები სააღრიცხვო საბუთებში სრულად იქნება შეტანილი. გაცილებით მოსახერხებელია ქალაქის მერიის მიერ შემოღებული საფირმო გადასახადი. თუ ეს ფორმა სხვა სფეროებზეც გავრცელდება, თუ ცოტაც დაიხვეწება და გადახდის ვადებიც საანგარიშო პერიოდის მიხედვით დაზუსტდება, იგი გაცილებით მომგებიანი გახდება სახელმწიფო ბიუჯეტისათვის. რა თქმა უნდა, ეს მაინც დროებითი ღონისძიება იქნება.

რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებას, ჩემი აზრით, ხელს უშლის ზოგიერთი პოლიტიკოსის დაუფიქრებელი მოქმედებაც. ზოგი სამშობლოს სიყვარულს სხვების და, განსაკუთრებით, რუსეთის ლანძღვაში ხედავს, იმას კი არ ითვალისწინებს, რომ ცნობილი მიზეზების გამო, რუსეთთან მჭიდროდ ვართ დაკავშირებული. თუ რამ გვაბადია — მანქანა-იარაღები, დანადგარები, ჩარხები, მოწყობილობანი, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა ყოფილ საბჭოთა კავშირშია დამზადებული და მათი მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, თუნდაც უმნიშვნელო დეტალის გამო, აღდგენა ისევ რუსეთის დახმარებით თუ შეგვიძლია. ეს პროცესი ჩვენ გვსიამოვნებს თუ არა, კიდევ მრავალ წელს გაგრძელდება.

თუ დავიძარით, და რაღაც პროდუქცია გამოვუშვით, სად ვაპირებთ მისი დიდი ნაწილის რეალიზაციას? არა მგონია, იაპონიაში ან ამერიკაში გავასაღოთ იგი.

კიდევ რამდენიმე საკითხზე მინდა გავამახვილო ყურადღება. უამრავ მაკონტროლებელ ორგანოზე, გაბერილ შტატებზე, გაუთავებელ პრეტენზიებზე. არ ვითვალისწინებთ ჩვენს რეალურ შესაძლებლობებს, ყველას გვინდა გადავასწროთ სხვადასხვა სისტემების, უწყებების, განყოფილებების, სამდივნოების მრავალფეროვნებით და, ეს ყველაფერი, დღევანდელი ხელფასით (?!) აბსურდია....

კრიტიკაში მაგრები ვართ, ყველაფერში მარტო უარყოფითს ვხედავთ. ვერ გამიგია ჩვენმა თავდაცვის მინისტრმა თუ რუსი კოლეგა მონათლა, რა არის ამაში საძრახისი!....

ისე არ გამიგოთ, თითქოს მარტო ნაკლს ვხედავდე. მრავალი კაცი ვიცი, რომელიც უნარიანად უძღვება საქმეს. აი, დღეს ჩვენი თვალით ვნახეთ ასეთი მონდომების შედეგი — ველისციხის ფირმა „მიგი" და მისი თავკაცი მიხეილ გიორგაძე. არ გაგიკვირდათ ჩვენი დღეებისათვის უჩვეულო საამქროები? განსაცვიფრებელი არ არის როგორ შეძლეს ამდენი ძვირფასი იმპორტული დანადგარის შენარჩუნება ასეთ სრულყოფილ მდგომარეობაში?

ისიც სათქმელია, თუ ვითარება არ შეიცვალა, ფირმა „მიგიც" დიდხანს ვერ გაძლებს.

სხვა ვითარებაში შეიძლება ამ საკითხებზე არც არაფერი მეთქვა, მაგრამ დღეს დადგა დრო, როცა თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გაითავისოს ქვეყნის მდგომარეობა, თუ გვინდა, რომ ახლო მომავალში მას ეშველოს რამე.

• • •

ვუსმენდი ჩვენს სახელოვან სპორტსმენს და მეჩვენებოდა, რომ იგი თითოეული ჩვენგანის სათქმელს ამბობდა. მაგრამ რაც თქვა, ნეტა იმის ნახევარი გამოგვასწორებინა.

ჩაიწერა
გია პლატონიშვილმა.

მინაწერი: ფრიად ნიშანდობლივი და საყურადღებოა პრობლემები, რომლებსაც ბატონი ზარბეგ ბერიაშვილი ჟურნალისტებთან საუბარში შეეხო. რედაქციას გადაწყვეტილი აქვს ეს საკითხები კონკრეტული საწარმოების მაგალითზე შეისწავლოს და მასალები გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნოს.

შეიძლება უხაროდეს ადედეჯი ორესანიას

საქართველოსა და... ნიგერიის საერთო ეროვნული უბედურება

„დანაშაული, რომელიც კანონით არ ისჯება", — ასეთი თავისუფალი თემა შემოგვთავაზეს აბიტურიენტებს თბილისის უნივერსიტეტში 1985 წელს.

ხშირად მახსენდება და ვფიქრობ ამ თემის დედააზრზე.

რას ვუპასუხებდი, დღეს რომ მოეცათ მსგავსი კითხვა?! — ბოღმა მახრჩობს, გული მისკდება, აქვე, თბილისის ახლომახლო სოფლებში გამოგვალულ, დამსკდარ მიწას, არნახული სიცხისაგან ლამის დალუპვის პირამდე მისულ მოსავალს რომ ვუყურებ. ხალხს მიწა მისცეს და ხელი დაიბანეს — არც წყალი, არც ხელშეწყობა! უქმად ცდება დიდებული სარწყავი სისტემები. მშრომელებს არ შეუძლიათ ისარგებლონ ამ სიკეთით, რადგან ფიქციური მეურნეობები და მათი ხელმძღვანელობა წინააღმდეგი არიან. თანამედროვე კაბალის ეს თავისებური ფორმა ჭანცს აცლის გლეხობას და მომავლის ყოველგვარ იმედს უკარგავს.

ჩვენს უფროსებს იშვიათად ჰქონდათ და ახლა, მით უმეტეს, არ ექნებათ ზნეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა. მაშ, რა ვქნათ, როგორ დავსაჯოთ დამნაშავე, რომელიც კანონით არ ისჯება?!

ერთხელ რუსეთში მორქინალ თხას ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს.

შუა საუკუნეების ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში აბეზარი მწერების გასამართლების შემთხვევაც კი იყო.

ჩვენ, ქართველები ჰუმანურობით ვიწონებთ თავს და, მართლაც, ღირსეულად ვამაყობთ, რომ თამარ მეფის დროს საქართველოში სიკვდილით არავინ დაუსჯიათ.

მაგრამ საინტერესოა, რას იზამდა თამარი, მის ნაზირვეზირებსა და ქვეშევრდომებს ქვეყნის რკინის მარაგის დიდი ნაწილი რუქნადინისთვის რომ ეფეშქაშათ, ხმლები და მუზარადები რუმის სასულთნოში გაეყიდათ, ეკლესიის ზარები თურქ-სელჩუკთა სამფლობელოებში ან ბიზანტიაში გაეტანათ და იქაური ვაჭრებისათვის მიესაღებინათ ჩალის ფასად?

ალბათ, მიმიხვდით: ამჯერად, ისევ ფერადი ლითონების დატაცების მზარდ ტენდენციაზე მინდა ჩამოგიგდოთ სიტყვა.

რა ულეველი რამ ყოფილა ეს სპილენძი და ალუმინი — ცოტა ხანს შეისვენეს და ყვავებივით კვლავ წამოსკუპდნენ ელექტრობოძებზე.

რამდენიმე დღის წინათ, ჯვარ-მესტიის საავტომობილო გზის სიახლოვეს, 1,5 კილომეტრი სიგრძის 500-კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზი ჩამოჭრეს. ვგრძნობ, მოთმინება არ გყოფნით, სანამ ამ დივერსანტების ვინაობას გაიგებთ: ისინი წალენჯიხელები არიან: ზაურ ხასაია, როინ უბილავა, ტრისტან აკობია, თამაზ ჩხოტუა, ომარ აკობია, გიორგი შამუგია (ყველა სოფელ ჭალედანაა), ოტია ცომაია და რაუნდა მარლია (სოფელ ლიის მკვიდრნი).

ერთად უნდა ვებრძოლოთ

„ენგურჰესის" ელექტროგადამცემ ხაზებს დიდი ხანია მტრობენ. ამ განძის ბევრი მაძიებლის სული მიიბარა უკვე უფალმა... **მაინც არ ეშვებიან ცეცხლთან თამაშს, სიძნელეებთან ბრძოლას, სინათლის მტრობა ურჩევნიათ!**

ნუგზარ შოშიაშვილი და მალხაზ ბუთლიაშვილი ბათუმიდან სიღნაღამდე ფეხით ივლიან, ოღონდ ერთი-ორი ცენტის ჩხარუნი იგრძნონ ჯიბეში. მათ კარდენახ-წნორისწყლის სარკინიგზო გადასარბენზე მაღალი ძაბვის საკონტაქტო ხაზები ჩამოჭრეს.

თუ გინდათ ჩვენი ქვეყნის სპილენძი და ალუმინი ნახოთ, თბილის-ბათუმის მატარებლები და ავტობუსები უნდა შეამოწმოთ.

სპილენძ-ალუმინითაა გამოტენილი ვაგონები. მგზავრებსაც ხან სპილენძის ფერი ადევთ, ხან ალუმინისა... ხუნკელიძისნაირი გამცილებლები კი ატომს გადაიტანენ, ოღონდ „ცოლ-შვილს ერთი-ორი კაპიკი მიუტანონ". ავტობუსი „ლაზი":

852 კილოგრამი ალუმინი, 665 კილოგრამი სპილენძი და 40 კილოგრამი თითბერი.

თითბერივით გაუტეხელია მძღოლი ანზორ ნადირაძე. მისი მგზავრები თინა ცუცქირიძე (195 კილოგრამი სპილენძი), ირინა შარაბიძე (200 კილოგრამი), ნინო ჟვანია (60 კილოგრამი), რუსუდან სულაბერიძე (200 კილოგრამი), ზაზა ფერაძე (160 კილოგრამი) ალუმინივით იღუნებიან — იოლი არ არის ამოდენა განძის დაკარგვა.

ბევრი წარმავლობის სპილენძისფერ ნისლში გაეხვია და თავი დამალა. ასე და ამრიგად, 400 კილოგრამ ალუმინსა და 40 კილოგრამ სპილენძს პატრონი არ გამოუჩნდა.

საგზაო პოლიციის წყალწმინდის საგუშაგოზე ბათუმის ავტოსატრანსპორტო საწარმოს კუთვნილი ავტობუსი (№ 1784 გრკ) გააჩერეს. მის სალონში 200 კილოგრამი სპილენძი იდო.

იძულებული ვარ, ერთი ჩემი ძველი პუბლიკაციის (**„სულიერი კრიზისი, ტექნიკური პროგრესის მტრები და ადედეჯი ორესანიას იდეა", იხ. გაზ. „საქ. რესპუბლიკა" 10.10.92 წ.**). ფინალი გაგახსენოთ: „ამას წინათ 1990 წლის იანვარ-თებერვლის „ეხო პლანეტის" ვფურცლავდი და ერთ ისეთ ექსტრავაგანტურ ფაქტს წავაწყდი, სიმართლე გითხრათ, ცოტა გულზე მომეშვა და კინაღამ ავხარხარდი კიდეც: „კაბელების დატაცება ნიგერიაში ლამის ეროვნულ უბედურებად იქცა. მაგალითად, ქურდების წყალობით ლაგოსის ბევრი ქუჩა ჩაბნელებულია. ქალაქის ხელისუფალთ მოუწევთ ტვინის ჭყლეტა და დამატებითი რესურსების გამოყოფა საფარნე ბოძების ისეთი სპეციალური მოწყობილობებით აღსაჭურვად, რომლებიც აძნელებს კაბელების დატაცებას. ოიოს შტატის გუბერნატორმა გენერალმა ადედეჯი ორესანიამ თავისი წოდების შესაფერისი შემართება და სიმკაცრე გამოავლინა. მან განაცხადა, კაბელების დამტაცებლები საჭიროა მხრებამდე ჩავმარხოთ მიწაში და მატლების საღრღნელად დავტოვოთ. მხოლოდ ასეთი შუასაუკუნეობრივი დასჯა თუ შეაჩერებს ტექნიკური პროგრესის მტრებს, დარწმუნებულია გუბერნატორი"...

ახლა, როცა ნახევარი საქართველო სიბნელეში ჩაიმარხა, შეიძლება უხაროდეს ადედეჯი ორესანიას. ნიგერიაში თუ არა, შორეულ გეორგიაში მაინც აღსრულდა მისი „განაჩენი".

ზაურ მაჭარაძე.

ხსოვნა

იორამ ქემერტელიძე

ქართულმა მწერლობამ დიდი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე **იორამ ქემერტელიძე.**

იორამ ქემერტელიძე დაიბადა 1936 წლის 21 მაისს, საჩხერის რაიონის სოფელ მარჯვეთში. 1954 წელს, საჩხერის რაიონის პირველი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გერმანული ენის ფაკულტეტზე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ჭიათურის საქალაქო გაზეთში ლიტმუშაკად, იყო ჟურნალ „ცისკრის" განყოფილების გამგე, ჟურნალ „დილის" პასუხისმგებელი მდივანი, შემდგომ სათავეში ჩაუდგა გამომცემლობა „საქართველოს" მხატვრული ლიტერატურის განყოფილებას, ხოლო 1990 წელს დაინიშნა ჟურნალ „ცისკრის" მთავარ რედაქტორად, სიცოცხლის ბოლომდე კი მუშაობდა გამომცემლობა „ნაკადულის" დირექტორად.

იორამ ქემერტელიძემ თავისი მრავალწლოვანი სარედაქტორო და საგამომცემლო მოღვაწეობით დიდი ამაგი დასდო ქართულ მწერლობას, მან, როგორც შემდგენელმა და რედაქტორმა, არაერთი მნიშვნელოვანი გამოცემა მიაწოდა ქართველ მკითხველს, საკმარისია აღინიშნოს, იორამ ქემერტელიძის უშუალო მონაწილეობით გამოვიდა მსოფლიო ლიტერატურის ოთხმოცტომეულის უნიკალური გამოცემა.

როგორც ქართული ლექსის შესანიშნავმა ოსტატმა, იორამ ქემერტელიძემ, ღირსეული წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართული პოეზიის განვითარებაში. იგი მრავალი პოეტური კრებულის ავტორია. მკითხველმა გულთბილად მიიღო მისი პოეტური კრებულები: „მზე ფოთლებში", „ჩრდილების ცეკვა", „თურმე", „აქეთ და იქით", „ხიდები", „ლექსები" და მრავალი სხვა. იგი იყო ორიგინალური მხატვრული ხედვის პოეტი, მშობლიური მიწა-წყლის მოსიყვარულე, მისი ჭირისა და ლხინის გულმხურვალე მოზიარე.

იორამ ქემერტელიძე ეწეოდა ფართო მთარგმნელობით საქმიანობას, აღსანიშნავია მის მიერ თარგმნილი გოეთეს უკვდავი „ფაუსტი", რომელიც სპეციალისტების აღიარებით ერთ-ერთი საუკეთესოა ამ პოემის ქართულ თარგმანებს შორის, მასვე ეკუთვნის ჰაინეს ლექსების, აგრეთვე მსოფლიო პოეზიის სხვა მნიშვნელოვანი ნიმუშების თარგმანები.

განსაკუთრებული გულითადობითა და მეგობრობის ულალატო გრძნობით დაჯილდოებული ადამიანი, იორამ ქემერტელიძე, ყველგან თავის წარუშლელ კვალს ტოვებდა თანამშრომლებისა და კოლეგების გულში. ნაადრევად წავიდა ჩვენგან შესანიშნავი ქართველი პოეტი, ღირსეული ადამიანი და მეგობარი. იგი დააკლდა არა მარტო ქართულ მწერლობას, არამედ მთელ საქართველოს, თავის საყვარელ სამშობლოს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

კაპიტონ ჟორჟოლიანი

ექვსი თვის წინათ, პირველ ნოემბერს, ჩვენს სოფელში საშუალო სკოლის გახსნასთან დაკავშირებით, მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვით, ბატონო კაპიტონ! ამ სოფლის ხელმძღვანელობაც იკისრეთ და დღევანდელი დღისათვის საოცრად პრიმიტიულ სკოლაში საოცარი წესრიგიც დაამყარეთ. ნოემბერი და დეკემბერი უხელფასოდ იმუშავეთ და თქვენს კოლექტივს უანგარობის, უშურველობის მაგალითს აძლევდით. ექვსი თვის თავზე თქვენი სკოლა გამოსათხოვარ სიტყვას გეუბნებათ. რა მწარეა იმის გაფიქრებაც კი, რომ ეს უკანასკნელი საუბარია. აქამდე ჩვენ გისმენდით, ახლა თქვენ უნდა მოგვისმინოთ — რას ვფიქრობთ თქვენზე. ამას სიცოცხლეში ვერასოდეს გეტყოდით.

ბატონო კაპიტონ! თქვენი სკოლა, თქვენი პედაგოგები და აღსაზრდელები მუხლს იყრიან თქვენს წინაშე, თქვენი ხსოვნის წინაშე და პირობას გაძლევთ — დღეიდან კაპიტონ ჟორჟოლიანის სახელობის მე-2 საშუალო სკოლა ღირსეული მატარებელი იქნება თქვენი სახელისა. თქვენი ანდერძად დატოვებული სიტყვები — „გიყვარდეთ ერთმანეთი, ისწავლეთ, რადგან ცოდნას არაფერი შეედრება ამ ქვეყანაზე" — ჩვენი სკოლის დევიზი გახდება ამიერიდან. იძინეთ მშვიდად, ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილო ვაჟკაცო, მსუბუქი ყოფილიყოს ქვემო ქართლის მიწა თქვენთვის, ხოლო სვანეთი თავისთვის ჩუმად იგლოვებს ერთ-ერთი საუკეთესო შვილის დაკარგვას.

ბატონო კაპიტონ! თქვენს მაღალ ზნეობრიობასა და სიწმინდეზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ აღდგომა დღეს მიიცვალეთ, ამაღლება დღეს კი თქვენი სული სამუდამოდ შეერწყმება ზეციურ საქართველოს!

მარნეულის რაიონის სოფ. თამარისის მე-2 საშუალო სკოლის პედაგოგები.

ნოდარ კორსავა

ნოდარ კორსავა, კაცი, რომელიც დააკლდა არა მხოლოდ ოჯახს, არამედ ქალაქს.

თბილისში, დიდუბეში დაბადებული და აღზრდილი კაცისთვის არ არსებობდა კეთილი საქმე, რომელსაც იგი არ გააკეთებდა. არ არსებობდა ადამიანი, ვისაც მისი დახმარება სჭირდებოდა და უანგაროდ გვერდში არ დაუდგებოდა.

58 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან კეთილშობილებით აღსავსე კაცი. ბრწყინვალე მეგობარი, მოსიყვარულე მეუღლე, მამა, ბაბუა, წავიდა სწორედ მაშინ, როცა მისი თავი ყველას ყველაზე მეტად გვჭირდებოდა, წავიდა და თან გაიყოლა უდიდესი სიყვარული, უამრავი აუხდენელი ოცნება, გასაკეთებელი კეთილი საქმე.

სიკვდილის წინ ასე ბრძანა — მივდივარ და მიმაქვს სიყვარული ჩემი მეუღლის და თქვენი, მეგობრების, ახლობლების, ნათესავების, ყველასი, ვისაც კი ვიცნობდი.

უკვე 40 დღე გავიდა ნოდარ კორსავას გარდაცვალებიდან და მისი კეთილშობილი სული ზეცას შეუერთდა.

მეგობრები.

საქართველოს პარლამენტი იუწყება, რომ პარლამენტის წევრს ნისტან კირთაძეს გარდაეცვალა დედა და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის სახელმწიფო კორპორაციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი
იორამ ქემერტელიძე
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ცისანა, შვილები მიხეილი, რევაზი, დები ლენა, ზაირა, ძმა — ოთარი, რძლები რუსიკო, ინა, მაია, სიძეები ბიგენტი, ჯიბო, შვილიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ვლადიმერ (ვალოდია) მიხეილის ძე გაფრინდაშვილი
პანაშვიდი 4, 5 VI, 4 სთ., გამოსვენება 6 VI, 3 სთ. არბოს ქუჩა, კორპ. № 1 („ღრმაღელის" მეტროსთან).

დედა ციალა ფუტკარაძე, მამა რევაზი, ძმა ზაალი, მამიდა ბაბულია სუთიძეები; ელისო, ჰამლეტ ქემოკლიძეები ოჯახებით, დეიდები ცაბია, ლიანა, ქეთო ფუტკარაძეები ოჯახებით, ბიძაშვილები მირიან, ნანა, გიზო ფუტკარაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ზურაბ რევაზის ძე სუთიძე
პანაშვიდი 4, 5 VI, 5 სთ., გამოსვენება 6 VI, 3 სთ. ვაჟა-ფშაველას გამზირი III კვარტალი, 22ბ კორპ. (III სადარბაზო).

1995 წლის 10 ივნისს, შაბათს, 11 საათზე საქართველოს პარლამენტის აპარატი ქ. ზესტაფონში გამგეობის სხდომათა დარბაზში ატარებს საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლობათა წამყვანი სპეციალისტების რესპუბლიკურ თემატურ სემინარს — **„დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პრობლემები და საპარლამენტო წარმომადგენლობათა ამოცანები".**
რეგისტრაცია იქვე, 10 საათიდან.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.